პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 ოქტომბერი **ხუთშაბათი** 2011
№ 253 (13 550) ფასი 80 თეთრი



9

# TRESPANA

## ნეტავ, როგორ არის ესპანურად შეფუცხუნება?

ჩისკოს და კოტოს სამი გოლი გაგრას


2-4

დინამო-გაგრა 3:0. ჩისკოს (№28) ამ დარტყმას გოლი მოჰყვა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ქართულ-ევროლიგური 25

### სტამბოლური სენსაცია შენგელიას მონაწილეობით



გიორგი შერმადინი

ევროლიგაზე ყოფილა შემთხვევები, ერთ ქართველს (მაგალითად **ვლადიმერ ბოისას**) 30 ქულა ჩაუგდია, თუმცა ერთბაშად სამ ჩვენიანს ერთ დღეში მოეგროვებინოს 25 ქულა, ასეთი ფაქტი პირველად გუშინ დაფიქსირდა.

„კანტუმ“ ესპანეთში „კახა ლაბორალთან“ 69:81 დათმო. სტუმართა ქართველმა ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** 17 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით, იგი **ტელეტოვიჩთან** და **ბიელიცასთან** ერთად საუკეთესო იყო - 17. **მანუჩარ მარკოიშვილმა** - 14 წუთში 6 ქულა (3-დან 2 სამქულიანი), 3 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა გაიფორმა.

ისევე როგორც შერმადინი და მარკოიშვილი, **თორნიკე შენგელიაც** სასტარტო იყო. მისმა „შარლერუამაც“ სტუმრად ითამაშა, თუმცა „კანტუსგან“ განსხვავებით სენსაციური გამარჯვება მოიპოვა - სტამბოლში „ეფესი“ 80:79 დაამარცხა. **ილიასოვა, თუნჩერი, სავანოვიჩი, ილიევსკი, ვუიაჩიჩი, კინსი**... - აი, ვინ თამაშობდა „ეფესში“.

თორნიკემ 17 წუთიდან მაქსიმუმი გამოწურა: 8-8 ქულა-მოხსნა, 4 პასი. მან მატჩი ხუთი ფოლით დაასრულა.

ვაჟა სიმონიშვილი



თორნიკე შენგელიას შარლერუამ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა

# დღეს სტუმარია ის ჩემი...

## როდესაც გორში ბურთი არ გორავს

26.10. გორი. ქართლი.
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დილა | 1 |
| სპარტაკი | 2 |

0:1 ჯიქია (25), 0:2 მეტრეველი (38), 1:2 გოგინაშვილი (დ. ჩაგელიშვილის პასით)

| დილა | სპარტაკი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-2-3-1 |
| მერლანი | ძაგანია |
| ლ. ჩაგელიშვილი | თიბილაშვილი |
| ბაქრაძე | ტეტუნაშვილი |
| ქარქუზაშვილი | ლომაია |
| შათირიშვილი | ხუბუა |
| ნ. ნოზაძე | შალამბერიძე |
| ჯოჯუა | თ.შონია |
| ვ. ხორგუაშვილი | მამუჩიშვილი |
| რაყამაშვილი | შარაშენიძე |
| დ. ჩაგელიშვილი | ჯიქია |
| გოგინაშვილი | მეტრეველი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. ცეცაძე | ვ. ხაჩიძე |

**დილა**

46. ვ. ხორგუაშვილი — **ნემსაძე**
56. ჯოჯუა — **ახალკაცი**
77. ნოზაძე — **ი. ბერაია**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ჭითანავა, მაჭავარიანი, სადალაშვილი*

**სპარტაკი**

55. შარაშენიძე — **ნ. მაისურაძე**
90. ჯიქია — **დ. გელაშვილი**

*სათადარიგოები: დაუშვილი, ბოიომო, გ.სეფიაშვილი, ლობჟანიძე, რუხაძე,*

**გაფრთხილება: შათირიშვილი (62), მაისურაძე (63), შონია (79), რაყამაშვილი (80), ხუბუა (80), მამუჩიშვილი (80)**

გაძევება: **მაისურაძე (85)**

არბიტრი: **თ. გვანცელაძე**

ბევრი ატარეს თუ ცოტა, ფედერაციის მესვეურებმა გორის „დილა" ისევ „ქართლზე" დააბრუნეს. დიახ, სულ ორიოდე თვის წინ „ქართლი" „სპარტაკის" საშინაო არენა იყო, თუმცა ფედერაციამ აკრძალა აქ თამაში და ვიდრე „თენგიზ ბურჯანაძეზე" ახალი საფარი დაგებულა, გორის უპირველესი გუნდის მესვეურთა თხოვნა გაითვალისწინეს და მათსავე მშობლიურ ქალაქში არსებულ ამ არენაზე თამაშის ნება დართეს. ისე, „ქართლის" სტადიონი სულიერი არსება რომ იყოს, ძალიან შეგვეცოდებოდა. საქმე ისაა, რომ აქაურობას ყველა მუდამ ამრეზით უყურებს, უმაღლესი ლიგისთვის შეუფერებელ სტადიონებზე ლაპარაკისას მისთვის ქოქოლის მიყრა არავის ავიწყდება, მაგრამ, როცა გაუჭირდებათ, საშველად პირველ რიგში ისევ მას აკითხავენ. თავად განსაჯეთ: ბოლო სამ წელიწადში, სხვადასხვა დროს, ის ასრულებდა „ცხინვალის" („სპარტაკში" არ აგერიოთ), „ჩიხურას", „სპარტაკის" და ახლა „დილას" საშინაო არენის ფუნქციას. მეტიც, გუშინ აქ „დილაც" და „სპარტაკიც" შინაურად თვლიდნენ თავს. ნიშანდობლივია, რომ ცხინვალელთა ხელმძღვანელობა სტადიონის ლოჟაში კვლავინდებურად იმ მხარეს იჯდა, რომელიც ადრე მასპინძლის ამპლუაში ყოფნისას ეკავა ხოლმე. სხვათა შორის, ტაქტიკური თვალსაზრისითაც არც ერთ გუნდს არ აურჩევია ე. წ. მეორე ნომრად თამაში და ამ მხრივაც ორივე მასპინძელივით გამოიყურებოდა. „დილასგან" ეს გასაკვირი ნაკლებად იყო, რადგან გორელთა გუნდი წლეულს შინაც და გარეთაც უპირატესობას მხოლოდ შემტევ სტილს ანიჭებს, მაგრამ „სპარტაკი" რომ პირველივე წუთებიდან **მერლანის** კარისკენ ჯიქურ დაიგეშა — ნაკლებად ველოდით. აქედანვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გორში წინა საღამოს დაწყებულ წვიმას მატჩის ბოლომდე არ გადაუღია, მინდორზე გუბეები მრავლად იყო და ბურთი თითქმის არ გორავდა. ამ ვითარებას **ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდებმა უფრო იოლად აუღეს ალღო, ვიდრე „დილას" ფეხბურთელებმა, რომელთაც მხოლოდ მეორე ტაიმში უკლეს საშუალო დისტანციაზე გათვლილი დაბალი პასების კეთებას და ერთგვარი მახვილგონივრული გადაცემებით თანაგუნდელის უკეთეს პოზიციაზე გაყვანას. არადა, არც ერთი გამოსდიოდათ და არც მეორე. ცხინვალელები კი მარტივად და იმის გათვალისწინებით ირჯებოდნენ, რის საშუალებასაც მათ წინ გაშლილი გუბეები აძლევდათ. პირველ ტაიმში ბურთს „სპარტაკი" ფლობდა, „დილა" კი საკმაოდ დაბნეული გამოიყურებოდა. თამაში განსაკუთრებით მასპინძელთა დაცვის ხაზს ჩაუვარდა. ხაჩიძის შეგირდებს გატანა ჯერ კიდევ მე-2 წუთზე შეეძლოთ, ორ წუთში **ლევან ჩაგელიშვილმა** ვერ გაითვალისწინა სველი მინდვრის ფაქტორი, მეკარეს თავით დაუგდო ბურთი, რომელიც კარიდან ხუთიოდ მეტრში მყოფ **მეტრეველს** მიუვიდა, მაგრამ მან ეს „საჩუქარი" ვერ შეირგო. ცოტა ხანში **რეზო ჯიქიამ** კარში დარტყმას ბურთის უკეთეს პოზიციაში მყოფი მეტრეველისთვის გადაცემა არჩია, რომელიც ზვიადმა სასწაულებრივად ააცილა მიზანს. 25-ზე ჯიქიამ იმავე მახვილი კუთხიდან უკვე თვითონ დაურტყა ზუსტად მასპინძელთა კარის დარაჯს - 0:1. თავისი გოლი მეტრეველმა მაინც გაიტანა, როდესაც **გაგა თიბილაშვილის** შორიდან დარტყმული ბურთი მერლანმა მოიგერია, ხარიხიდან ასხლეტილი ბურთის დაუფლებაში კი „სპარტაკის" თავდამსხმელმა აჯობა „დილას" ცენტრალურ მცველებს. აქვე დავძენთ, რომ შესვენებამდე მეტრეველს კიდევ რამდენჯერმე შეეძლო გატანა. გორელებმა ორბურთიანი ჩამორჩენის მერე მკვეთრად მოუმატეს. 44-ე წუთზე **დავით ჩაგელიშვილმა ნოზაძის** მშვენიერი პასი გოლად ვერ აქცია, თუმცა მე-60 წუთზე ასისტენტობაში უფრო ივარგა- დროულად შენიშნა **გოგინაშვილი**, რომელმაც მისი პასით გაიტანა - 1:2. „დილამ" დარჩენილ დროში ცდა არ დააკლო, რათა ქულა მაინც გადაერჩინა. **გია ცეცაძემაც** შეცვლებით შემტევთა რიცხვი გაზარდა, მაგრამ უშედეგოდ. მეტიც, „სპარტაკმა" კიდევ ერთი გოლის თითქმის ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა. შეხვედრის მიწურულს დაძაბულობამაც იმატა, რის გამოც არბიტრს ერთხელ წაკინკლავების გამო ერთდროულად სამი ყვითლის, ცოტა ხანში კი წითელი ბარათის გამოყენებაც მოუხდა. გვერდს ვერ ავუვლით მატჩის შემდგომ „დილას" ქომაგთა რეაქციასაც, რომლებიც ზედიზედ წაგებული თამაშების გამო გუნდის თავკაცებს მწვრთნელის გაშვებას სთხოვდნენ. ქომაგებს მიაჩნიათ, რომ სეზონის სტარტზე წაგებულ მატჩებს მათი გუნდის თამაშის სანახაობრივი მხარე მეტ-ნაკლებად აბათილებდა, მაგრამ, რაც დრო გადის, „დილა" ამ მხრივაც ველარ გამოიყურება ძველებურად და უკმაყოფილების საბაბს ესეც ზრდის.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# დილას და ცეცაძის გზები გაიყარა

გუშინ "დილამ" ჩემპიონატის ზედიზედ მეოთხე შეხვედრა წააგო, თანაც შინ, ამჯერად ცხინვალის "სპარტაკთან" (1:2) და კლუბის ახალმა დირექტორმა **ზურაბ დალაქიშვილმა** მთავარი მწვრთნელი **გია ცეცაძე** თანამდებობიდან გაათავისუფლა.

გორელებმა ჩემპიონატის სტარტზე ფეხბურთი უფრო კარგი აჩვენეს, ვიდრე შედეგი – ბოლოს და ბოლოს, "ზესტაფონი" სტუმრად 4:0 დაამარცხეს, ლია და ლამაზ ფეხბურთს თამაშობდნენ, რაც ცეცაძის დამსახურება იყო, მაგრამ ბოლო ოთხი ტურია, გუნდი საკუთარ თავს აღარ ჰგავდა - რა გახდა ამის მიზეზი?

*"როდესაც ოთხ მატჩს წააგებ, გათავისუფლება არ უნდა გაგიკვირდეს. "სპარტაკთან" მატჩის შემდეგ ეს გადაწყვეტილება რომ მაცნობეს, კითხვები არ დამისვამს. ფაქტია, რომ კონცენტრაცია ვერ მოვახერხეთ, იყო რაღაც სხვა მიზეზებიც, რამაც ჩავარდნა გამოიწვია. მაგრამ სხვაზე გადაბრალება არ მიყვარს, ესეც ჩემი ბრალი იყო. მოვა სხვა მწვრთნელი და, იმედია, საქმეს უკეთ გაუძღვება.*

*თუმცა, მიმაჩნია, რომ "დილაში" ცუდი სამუშაო არ ჩამიტარებია, ალბათ, მაყურებელს პატარა სიხარულიც მივანიჭეთ და იმედია, მცირე მადლიერების გრძნობა მაინც დარჩათ. სხვა ყველაფერი ბუნებრივია, იგებ, კარგად ხარ, აგებ და — გიშვებენ"* – ამბობს ცეცაძე.

დალაქიშვილის თქმით, გუნდს დროებით **რამაზ სოლოლაშვილი** გაწვრთნის, გორელთა ყოფილი მეკარე, რომელსაც საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში მუშაობის გამოცდილება და "ა" კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზია აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**



გია ცეცაძე

დავით ასპანიძის ფოტო

# ხმაურიანი და თითქმის სკანდალური დერბი

26.10. ბოლნისი. თ. სტეფანია.
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 2 |
| მეტალურგი | 2 |

1:0 კემუხტაშვილი (5, რეხვიაშვილის პასით), 2:0 ქუცურუა (45), 2:1 მოდებაძე (78), 2:2 რაზმაძე (88, პენალტით)

| სიონი | მეტალურგი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-2-3-1 |
| ლობჟანიძე | ბედიაშვილი |
| ლ. ჩხეტიანი | სეთურიძე |
| სვანიძე | კვახაძე |
| თარგამაძე | მახვილაძე |
| ალავიძე | ჯაფარიძე |
| გაბრიჭიძე | რაზმაძე |
| ისიანი | ქავთარაძე |
| ვ. ბოლქვაძე | ი. მაისურაძე |
| ქუცურუა | მიქაბერიძე |
| კემუხტაშვილი | მოდებაძე |
| რეხვიაშვილი | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ლ. ბაჭელიძე | კ. ჟორჟიკაშვილი |

**სიონი**

77. ისიანი - **ფეიქრიშვილი**
79. კემუხტაშვილი - **უგულავა**

*სათადარიგოები: ზუხბაია, მ. ოქროპირიძე, კობერიძე, ა. ნოზაძე, ხურციძე*

**მეტალურგი**

58. მაისურაძე - **პავლიაშვილი**
65. ქავთარაძე - **დობროვოლსკი**
77. ტატანაშვილი - **გავაშელიშვილი**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ჩადუნელი, წენგუაშვილი*

გაფრთხილება: **კვახაძე (44), ისიანი (54), ქუცურუა (57), სვანიძე (77), ლ. ჩხეტიანი (88), პავლიაშვილი (88)**

გაძევება: **ლ. ჩხეტიანი**

არბიტრი: **ა. ნონიკაშვილი**

...ორიოდე წუთიც და „სიონი" ჩემპიონატში პირველ (თანაც, დამსახურებულ) გამარჯვებას მოიპოვებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მატჩის არბიტრმა **არსენ ნონიკაშვილმა** მასპინძელთა კარში პენალტი (ამ შეხვედრაში — მეორე) დანიშნა! ბოლნისელ ფეხბურთელთა თუ ქომაგთა პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია და **ლუკა რაზმაძემ** ზუსტი დარტყმით ამ მართლაც უმძიმეს (ყველა გაგებით) მატჩში „მეტალურგს" ქულა მოუტანა. ამ გოლს კი უკვე ფეხბურთელებს შორის ჯერ შელაპარაკება, მერე კი კაცური გაწევ-გამოწევა თუ „საქმეების გარჩევაც" მოჰყვა: თამაში სულ მცირე 4-5 წუთით იყო შეჩერებული და კიდევ კარგი, ბოლნისელმა წესრიგის დამცველებმა იყოჩაღეს და მართლაც ლამის ჭკუიდან გადასულ ადგილობრივ ქომაგებს მოედანზე შევარდნის საშუალება არ მისცეს. არბიტრთა ბრიგადას (პოლიციელთა „საპატიო ესკორტით"), ვიდრე გასახდელამდე მიაღწევდა, ბოლნისელი გულშემატკივრებისაგან კიდევ არაერთი „ტკბილი სიტყვის" მოსმენა მოუხდა; „ნეტავ, სხვა ქალაქში თუ დანიშნავენ მასპინძელი გუნდის კარში ორ პენალტს და ამასთან ერთად, ფეხბურთელსაც გაუძევებენ", „ფოთში უსამართლოდ მოგვექცნენ, დღესაც არ მოგვაგებინეს, ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს", — მსაჯობით აღშფოთებული ბოლნისელი ქომაგი მატჩის დამთავრებიდან კიდევ დიდი ხნის განმავლობაში წუხდა. ისე, მასპინძელთა კარში დანიშნულმა ორივე პენალტმა მართლაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: ზოგი მიიჩნევდა, რომ პირველი უფრო „ნაღდი" იყო, ზოგს პირიქით მიაჩნდა, უმრავლესობის აზრით კი... არც ერთი იყო დასანიშნი! აი, რაც შეეხება გაძევებას, ჩვენი აზრით, არბიტრმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო: საპენალტო სიტუაციებისაგან განსხვავებით, იმ ეპიზოდისას ტრიბუნიდან კარგად ჩანდა, თუ როგორ ჩაარტყა სახეში ხელი „სიონის" ფეხბურთელმა მეტოქის მოთამაშეს...

აი, ასეთი სკანდალური დასასრული ჰქონდა ამ ქვემოქართლურ „დერბის", მეტისმეტად არასაფეხბურთო კლიმატურ პირობებში რომ ჩატარდა და სადაც მასპინძლებმა, უდავოდ, სეზონის საუკეთესო თამაში უჩვენეს. არადა, წყვილში აშკარა ფავორიტად „მეტალურგი" მიიჩნეოდა, მაგრამ არნახულად მოტივირებულმა მასპინძლებმა პირველი წუთებიდანვე აგრესიული და აქტიური თამაში შესთავაზეს მეტოქეს და ეს მონდომებაც მალე დაუფასდათ! მარცხენა ფლანგიდან შეტევა **არჩილ ალავიძემ** წამოიწყო, მერე **გიორგი რეხვიაშვილმა** (ამ შეხვედრის, უდავოდ, ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა) ჩინებულად გააგრძელა და ზუსტი პასით მეტოქის საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი **ლაშა კემუხტაშვილი** მოძებნა - „სიონის" ახალწვეულმა „ერთი შეხებით" ბურთი სტუმართა კარში ზუსტად გაგზავნა — 1:0! გოლიდან სამიოდ წუთში რეხვიაშვილმა ამჯერად უკვე მარჯვნიდან გაილაღა, მაგრამ მის სახიფათო გადაცემას პარტნიორთა შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. „სიონი" კვლავაც აგრძელებდა აგრესიული სტილით თამაშს და ამჯერად უკვე რეხვიაშვილი-ბოლქვაძის კომბინაცია ვიხილეთ, **ვილი ისიანის** თავური დარტყმით რომ დამთავრდა — „მეტალურგის" გამოცდილ მეკარეს **გრიგოლ ბედიაშვილს** სწორი პოზიცია ჰქონდა შერჩეული და ამ ბურთის აღება არ გასჭირვებია. თუმცა, ბედიაშვილიც უძლური იყო იმ ეპიზოდში, მასპინძლებმა მეორე გოლი როცა გაიტანეს: **გიორგი ქუცურუამ**, ისე როგორც წინა ტურში, ამჯერადაც ეფექტურად, და, რაც მთავარია, ზუსტად შეასრულა „სტანდარტული" და თავის გუნდს სერიოზულზე-სერიოზული ჰანდიკაპი მოუპოვა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „მეტალურგის" ასპარეზობა პირველ ტაიმში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა: ჩემპიონატის ერთ-ერთმა გამორჩეულმა გუნდმა პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ დაარტყა მეტოქის კარისკენ, როცა **გიორგი ქავთარაძის** შორეულ „გასროლას" **ვახტანგ ლობჟანიძის** ჩინებული რეაქცია მოჰყვა. სხვათა შორის, ბოლნისელთა ახალგაზრდა მეკარემ თავის ხანმოკლე კარიერაში, უდავოდ საუკეთესო მატჩი ჩაატარა, თანაც 21 წლის ვახტანგ ლობჟანიძე „განსაკუთრებული" მოტივაციით ასპარეზობდა მშობლიური ქალაქის გუნდის წინააღმდეგ...

...როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე ტაიმი სტუმართა გააქტიურებით დაიწყო და მალე მოხდა კიდეც ის პირველი ეპიზოდი, მასპინძელ ფეხბურთელთა თუ ქომაგთა აღშფოთება რომ გამოიწვია: „სიონის" საჯარიმოში ვილი ისიანისა და **ალექსანდრე კვახაძის** ორთაბრძოლას ... პენალტის დანიშვნა მოჰყვა! 11-მეტრიანის ნიშნულთან ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **დიმიტრი ტატანაშვილი** მივიდა, მაგრამ ლობჟანიძემ ეს დარტყმაც მოიგერია, და მერე, არანაკლებ ჩინებულ ნახტომში **ირაკლი მოდებაძესაც** არანაკლებ რთული ბურთი აუღო! აი, ამის შემდეგ კი თამაში „გაიხსნა" და ბევრს რომ ეგონა, მასპინძლები დაცვაში „ჩაჯდებოდნენ", პირიქით მოხდა: „სიონმა" ორი უმწვავესი შეტევა განახორციელა და ერთ ეპიზოდში თუ გიორგი რეხვიაშვილის თავური დარტყმა მიზანს სულ ოდნავ ასცდა, მეორეჯერ სტუმრები **ლაშა ჯაფარიძემ** გადაარჩინა, როდესაც **დავით სვანიძის** თავით დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა! „სიონის" ერთ ფეხბურთელზეც გვინდა ორიოდ სიტყვის თქმა: 23 წლის **ვალერი ბოლქვაძე** ბურთს რომ მიიღებდა, მუდამ არასტანდარტულ გაგრძელებებს ირჩევდა, მაგრამ ხშირად იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა პარტნიორები ვერ ხვდებოდნენ მის მართლაც გონივრულ ჩანაფიქრს. ამასობაში კი დრო იწურებოდა და ამ სეზონის ერთ-ერთი ხმაურიანი სენსაციის მომსწრენიც უნდა გავმხდარიყავით, თუმცა ცალკე სტუმართა გუნდის ერთი-ორი ფეხბურთელის კლასმა (უპირველეს ყოვლისა, ირაკლი მოდებაძეს ვგულისხმობთ), ცალკე კი „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელის **კობა ჟორჟიკაშვილის** სწორმა შეცვლებმა მატჩს ინტრიგა დაუბრუნა. ჯერ იყო და, მოდებაძის ფლანგური გარღვევის მერე ტატანაშვილს შეეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება, მერე კი თვითონ მოდებაძე გაერკვა კარგად სიტუაციაში და ზუსტი დარტყმით გოლი გაიტანა. მერე ის ეპიზოდიც მოხდა, მასპინძელთა კარში მეორე პენალტი რომ დაინიშნა — ლუკა რაზმაძე კი, როგორც წესი, 11-მეტრიანებს უნაკლოდ ასრულებს...

**გია ტუხაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯაბა ჯიღაურს მეკარე სეფიაშვილმა აჯობა

ალექსანდრე კოტრამაშვილის ფოტო

26.10. თბილისი. მ. მესხი. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 3 |
| გაგრა | 0 |

1:0 ჩისკო (48. კახელიშვილის პასით), 2:0 კოტო (71. პენალტით), 3:0 ჩისკო (74. ოდიკაძის პასით)

| დინამო 4-3-3 | გაგრა 4-4-1-1 |
|---|---|
| ლორია | სეფიაშვილი |
| ოდიკაძე | ყურულაშვილი |
| ჰომოლა | კალანდაძე |
| თომაშვილი | ტყეშელაშვილი |
| რეხვიაშვილი | ჯიშკარიანი |
| კვეკვესკირი | ხუციძე |
| ალვარო | ზ. ჩხეტიანი |
| ჯიღაური | ნაკონეჩნი |
| კოტო | შარიქაძე |
| კახელიშვილი | გაგედავა |
| ჩისკო | კვანტალიანი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. გარსია | ზ. ჯელაძე |

**დინამო**

77. ჩისკო - **თექთურმანიძე**
82. თომაშვილი – **ხოჭოლავა**
85. კოტო – **როზერტინიო**

*სათადარიგოები: ზარქუა, შ. კაშია, ლექვთაძე, იაგუე*

**გაგრა**

54. ზ. ჩხეტიანი – **ჯერემია**
65. ხუციძე – **ორდინსკი**

*სათადარიგოები: ბეგაშვილი, გაბუნია, ხოჯაშვილი, ჭკუასელი, ზვიადაძე*

გაფრთხილება: ჰომოლა (57), თომაშვილი (63), ნაკონეჩნი (70)
არბიტრი: ხ. გაგნიძე

# ცოტა ესპანური პასუხი ბევრ ქართულ კითხვაზე

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ "დინამოს" ქომაგთა თვალში რეაბილიტაცია სჭირდებოდა და, ბოლოდროინდელი აშკარა პრობლემების მიუხედავად, **ალექს გარსიას** გუნდი მატჩის უპირობო ფავორიტადაც მიიჩნეოდა. "დინამომ" უსახურ პირველ ტაიმს შთამბეჭდავი მეორე ნახევარი მოაყოლა და ნავსი საკმაოდ ხარისხიანი ფეხბურთით გატეხა.

შესვენებამდე გასახსენებელი ბევრი არაფერი მომხდარა. მასპინძლები იშვიათად ახერხებდნენ საქართველოს თასის მფლობელთა დაცვის შეწუხებას. ერთადერთი რეალური შანსი შესვენების წინ **გიორგი კახელიშვილს** მიეცა, მაგრამ მეკარის შეცდომით ვერ ისარგებლა და ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა.

მეორე 45 წუთი "დინამომ" გაცილებით მაღალ დონეზე ჩაატარა. დედაქალაქელები ტაიმის დასაწყისშივე დაწინაურდნენ – კახელიშვილის ფლანგურ გარღვევასა და ჩაწოდებას **ჩისკომ** ეფექტური ნახტომი და ულამაზესი გოლი დაურთო.

"გაგრა", რომელსაც "მეორე ნომრად" თამაში მანამდე ნორმალურად გამოსდიოდა, გათანაბრებას კი შეეცადა, მაგრამ **გიორგი ლორიასთან** პირისპირ გასული ნიგერიელი **ჯერემიას** მიერ გაცუდებული დარტყმის გარდა ვერაფერს გამორჩა.

სამაგიეროდ, "დინამო" ერთ ბურთს არ დასჯერდა და უპირატესობის განმტკიცებას შეეცადა, რაც დამაჯერებლად გამოუვიდა. **ალვაროსა** და ჩისკოს მიერ გაფუჭებულ მომენტებს მათი თანამემამულე **კოტოს** კუთხური მოჰყვა. "გაგრას" უკრაინელმა **მიკოლა ნაკონეჩნიმ** მდგომარეობის განმუხტვა სცადა, მაგრამ ბურთი ხელზე მოხვდა და მისი გუნდი პენალტით დაისაჯა. თერთმეტმეტრიანი კოტომ გამოიყენა – 2:0.

ბოლო სიტყვა ჩისკოსი იყო – ცენტრფორვარდად გამწესებულმა ესპანელმა **დავით ოდიკაძის** პასით პირველზე არანაკლებ ეფექტური გოლი გაიტანა და **ჯაბა დვალსა** და **დიმიტრი ტატანაშვილთან** ერთად უმაღლესი ლიგის ბომბარდირთა დავას სათავეში ჩაუდგა.

მოკლედ, გუშინ "დინამოს" არაფერი გასჭირვებია, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონთა თაობაზე დაგროვებულ კითხვის ნიშნებს კი უფრო მკაფიო პასუხებს უახლოესი მატჩები გასცემს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

26.10. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 წინამძღვრიშვილი (59. გრიგალაშვილის პასით), 2:0 დვალი (70)

| ზესტაფონი 4-4-2 | ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 |
|---|---|
| მამალაძე | ძაძამია |
| ალადაშვილი | ხურცილავა |
| გ. ონიანი | ადამაძე |
| მ. კობახიძე | გოგიაშვილი |
| ელიავა | ლანიაშვილი |
| აფციაური | ვასაძე |
| ძარია | გურამ გურეშიძე |
| გორგიაშვილი | კორიფაძე |
| შ. გრიგალაშვილი | ჯანელიძე |
| დვალი | ზაქრაძე |
| გელაშვილი | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ჭიაბრიშვილი | ზ. ბერიძე |

**ზესტაფონი**

54. ძარია – **ბენაშვილი**
56. გელაშვილი – **წინამძღვრიშვილი**
73. გორგიაშვილი – **ფიფია**

*სათადარიგოები: მეშველიანი, თ. ლონლაძე, საჯაია, ბაბუნაშვილი*

**ვიტ ჯორჯია**

64. ზაქრაძე – **ოთარიშვილი**
69. ჩიმაკაძე – **სიხარულიძე**
75. კორიფაძე – **გიორგი გურეშიძე**

*სათადარიგოები: ნ. სვანაძე, ხუმარაშვილი, მაისაშვილი, ჯულელი*

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

# ძალა და ალმართი

წინა ტურში "ზესტაფონმა" თბილისში "სპარტაკი" ისე დამაჯერებლად გაანადგურა, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, შინ "ვიტ ჯორჯიასთანაც" დაუბრკოლებლად რომ ემარჯვა. მართალია, საქართველოს მოქმედ ჩემპიონებს ვეტერინარებმა გაცილებით დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ფეროელთა იერიშებს "ვიტ ჯორჯია" მხოლოდ ტაიმი და ათი წუთი გაუმკლავდა და საბოლოოდ, ძლიერმა გაიმარჯვა.

პირველი ტაიმი არცთუ სანახაობრივი გამოდგა. მეტოქეები შეტევაში დიდი ძალებით არ წასულან, თუმცაღა "ზესტაფონის" მცირე უპირატესობა მაინც იგრძნობოდა. შესვენებამდე ვიტელთა კართან აშკარა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა.

სამაგიეროდ, დაწინაურების შანსი გაუშვეს ხელიდან სტუმრებმა - **ბექა ზაქრაძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან სუსტად დაარტყა. გოლთან უფრო ახლოს **ზურაბ ბერიძის** გუნდი ტაიმის მიწურულს იყო, როცა **გურამ ადამაძის** დარტყმისას "ზესტაფონი" **გიორგი ონიანმა** იხსნა.

მეორე ნახევარი **გიორგი ჭიაბრიშვილის** შეგირდებმა გაცილებით მაღალ დონეზე ჩაატარეს და სანადელსაც მიაღწიეს – შეცვლაზე შესულმა **რატი წინამძღვრიშვილმა თორნიკე აფციაურის** წამოწყებული და **შოთა გრიგალაშვილის** გაგრძელებული კომბინაცია დააგვირგვინა.

ამით მასპინძლებმა გადამწყვეტი ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვეს და მალე 26 წლის **ჯაბა დვალმა** ბომბარდირული მონაგარი კიდევ ერთი გოლით გაიმდიდრა – ახლო მანძილიდან გაიტანა.

დარჩენილ დროში არაფერი მომხდარა ისეთი, დედაქალაქელებს თამაშის გადარჩენის შანსი რომ მისცემოდათ. "ზესტაფონი" უახლოეს მდევრებს უკვე ოთხი ქულით უსწრებს, წარმოსახვით ცხრილში კი, რომლითაც ჩემპიონატის მეორე ეტაპზე უნდა ვიხელმძღვანელოთ, კიდევ უფრო სოლიდური ჰანდიკაპი აქვს.

**ნიკა გვათუა**
ზესტაფონიდან



ჯაბა დვალი

# 600
# რა უხდება იუბილეს? გოლები და ტაში!

26.10. ქუთაისი. ტორპედო. 1500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 4 |
| კოლხეთი | 1 |

1:0 გოცირიძე (16. გურულის პასით), 2:0 გოცირიძე (43. დოლიძის პასით), 3:0 გ. დათუნაიშვილი (54), 3:1 ციცხვაია (66), 4:1 დოლიძე (72)

| ტორპედო 4-4-1-1 | კოლხეთი 4-2-3-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | ბობლიაშვილი |
| დ. ფოფხაძე | კილასონია |
| ს. თოდუა | ცხვიტარია |
| გამეზარდაშვილი | ინწკირველი |
| გურული | ლემონჯავა |
| დოლიძე | გვალია |
| გ. დათუნაიშვილი | გოგონაია |
| დიღმელაშვილი | პ. დათუნაიშვილი |
| თარხნიშვილი | ქებაძე |
| დ. ბოლქვაძე | შავგულიძე |
| გოცირიძე | მდივნიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. გეგუჩაძე | ს. ფილია |

**ტორპედო**

55. გ. დათუნაიშვილი - **კუხიანიძე**
62. გოცირიძე - **საბანაძე**
69. ბოლქვაძე - **იოსელიანი**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, ჩიკვილაძე, კირკიტაძე*

**კოლხეთი**

46. პ. დათუნაიშვილი - **ლომაშვილი**
59. შავგულიძე - **ციცხვაია**
75. გვალია - **ცხადაია**

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, თედიაშვილი, გულუა, წიქარიშვილი*

გაფრთხილება: გოგონაია (70)
არბიტრი: ლ. სილაგავა

ფოთის „კოლხეთთან" გუშინდელი შეხვედრა „ტორპედოსთვის" უმაღლეს ლიგაში საიუბილეო, მე-600 იყო და ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ქუთათურებმა ბრწყინვალე გამარჯვებით აღნიშნეს. ფაქტია, რომ „ტორპედოში" **გია გეგუჩაძის** დანიშვნის შემდეგ გუნდმა სტაბილურობა შეიძინა და გამარჯვებულის მენტალიტეტიც ჩამოუყალიბდა. პატარა საქმე ხომ არ არის, „ტორპედომ" ახალი მწვრთნელის თავკაცობით ოთხივე შეხვედრა მოიგო და ლიდერთა შორის დამკვიდრდა. თანაც, რიონისპირელები თამაშიდან თამაშამდე უკეთეს ფეხბურთს აჩვენებენ. ყოველივე ამას ქუთაისური გუნდის ამბიციური გულშემატკივარიც აფასებს და „კოლხეთთან" მატჩისას მათი მხრიდან გეგუჩაძესა და მის გუნდს ოვაცია არ მოჰკლებია. რაც შეეხება შეხვედრას, ქუთათურებმა მეტოქე ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჩაგრეს და პირველ ტაიმში ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვეს, რამაც მათი საბოლოო გამარჯვებაც განაპირობა. მასპინძლებმა მეტოქეს თავიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზეს, ისინი კარგად იყენებდნენ ფლანგებს და მეტოქეს დაძაბულობაში ამყოფებდნენ. მარჯვენა ფრთის ბატონ-პატრონი **გრიგოლ დოლიძე** იყო, რომლის სახიფათო გარღვევებს მეტოქემ ვერაფერი დაუპირისპირა. ჩვეულებისამებრ, პროდუქტიულები იყვნენ **დავით ბოლქვაძე** და **თორნიკე თარხნიშვილი, რევაზ გოცირიძემ** კი გუშინ კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და დუბლითაც გამოირჩა. ქუთაისელთა უპირატესობას სწრაფი გოლი მოჰყვა, **თარხნიშვილის** ჩაწოდების შემდეგ გოცირიძემ თავურით **ბობლიაშვილი** უშანსოდ დატოვა და თავისიანები დააწინაურა - 1:0. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს მასპინძლები ისევ გააქტიურდნენ და მეტოქე მეორე გოლითაც დასაჯეს. ამ ეპიზოდში კარგად ითამაშა დოლიძემ, რომელმაც მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოსკენ შეიჭრა და მცველთაგან უყურადღებოდ დატოვებულ გოცირიძეს საგოლედ უპასა, ვეტერან ფორვარდსაც ალღომ არ უმტყუნა და „ტორპედო" გასახდელში სოლიდური უპირატესობით გავიდა - 2:0.

შესვენებისას სტადიონზე შუქი ჩაქრა, თუმცა პრობლემა მალევე მოგვარდა და თამაში შეუფერხებლად განახლდა. მეორე ტაიმში ქუთაისელთა პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დაგვირგვინდა - **ფოფხაძის** აქტიურობის შემდეგ მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს, რასაც ფოთელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, ბოლქვაძის დარტყმა მცველებმა მოიგერიეს, მაგრამ დამატებაზე **გიორგი დათუნაიშვილმა** ივარგა - 3:0. მესამე გოლის მერე „ტორპედომ" ტემპს უკლო, რასაც მეტოქემ გააქტიურებით უპასუხა. მე-60 წუთზე **გვალიას** თავურისას ქუთათურები გოლისგან **დავით გამეზარდაშვილმა** იხსნა, რომელმაც კარის ხაზიდან ბურთი თავით მოიგერია. **სოსო ფილიას** შეგირდებმა პრესტიჟის გოლის გატანა მალევე მოახერხეს, მცველების შეცდომით შეცვლაზე შესულმა **დავით ციცხვაიამ** ისარგებლა და **მიგინეიშვილს** შანსი არ დაუტოვა - 3:1. ფოთელებმა კიდევ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს, თავის გამოჩენა **ქებაძესა** და ციცხვაიას შეეძლოთ, პირველის სახიფათო თავური მიზანს ასცდა, ციცხვაიამ კი ხელსაყრელი პოზიციიდან სუსტად დაარტყა და მიგინეიშვილს არ გასჭირვებია ბურთის დაუფლება. სამაგიეროდ, საპასუხო შეტევისას შანსი კარგად გამოიყენა დოლიძემ, რომელმაც **საბანაძის** აქტიურობის შემდეგ მცველების მიერ უხეიროდ მოგერიებულ ბურთს დაამატა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა - 4:1. დარჩენილ დროში ტორპედოელებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, დოლიძემ მეტოქის კარი დალაშქრა კიდეც, თუმცა მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირეს... ქუთაისურმა გუნდმა იმერული დერბის წინ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, კვირას კი გეგუჩაძეს და მის შეგირდებს ზესტაფონში სტუმრობა და დიდი გამოცდა ელით.

**მატჩის შემდეგ**

**სოსო ფილია:** *„წლეულს ყველაზე სუსტად „ტორპედოსთან" ვითამაშეთ. მეტოქემ ყველა კომპონენტში გვაჯობა და ღირსეულად გაიმარჯვა."*

**გია გეგუჩაძე:** *„დღევანდელი მატჩი ჩვენი გუნდისთვის უმაღლეს ლიგაში საიუბილეო, მე-600 იყო და სასიხარულოა, რომ გავიმარჯვეთ. შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა მატჩისას იყო ისეთი ეპიზოდები, როცა ინიციატივა დავთმეთ და მეტოქეს თავისუფლად მოქმედების საშუალება მივეცით. შედეგი კარგია, მაგრამ თამაშის ხარისხით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო."*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

რეკლამის მენეჯერის ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

## საქართველოს ჩემპიონატი XI ტური



ჩალაძის გოლი ბაიას კარში

ავტორის ფოტო

# ჯერ არასდროს არ ყოფილა...

## მარტვილელების ისტორიული გამარჯვება მეგრულ დერბიში

26.10. მარტვილი. ცენტრალური. 1200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მერანი | 1 |
| ბაია | 0 |

1:0 ჩალაძე (42)

| მერანი | ბაია |
|---|---|
| 4-4-2 | 4-2-3-1 |
| შეროზია | მაქაცარია |
| კაკუბაძე | რიგვავა |
| ჟვანია | აფაქიძე |
| იოგაშვილი | მგელაძე |
| სუხიაშვილი | აკოფია |
| დიდავა | ტყემალაძე |
| ე. გრიგალაშვილი | გუგუჩია |
| მანწკავა | სიხარულია |
| ჩალაძე | წურწუმია |
| ამბროლაძე | ეხვაია |
| ტაპე | ქობალია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ა. ჩხაბერიძე | ე. ქომეთიანი |

**მერანი**

74. ამბროლაძე - **მემარნიშვილი**
85. ჩალაძე - **კუჭუხიძე**
88. ტაპე - **ჭაფოძე**

*სათადარიგოები: ქამუშაძე, შალიკაშვილი, ტორაძე, შენგელია*

**ბაია**

65. გუგუჩია - **შ. ლომია**
72. ქობალია - **კუკავა**
81. წურწუმია - **სამუშია**

*სათადარიგოები: ჯომიდავა, პაჭკორია, ნ. შონია, ბენდელაძე*

გაფრთხილება: ტაპე (49), ტყემალაძე (80), ჩალაძე (84) შეროზია (90)
არბიტრი: ჯ. ხორავა

მარტვილის „მერანი" და ზუგდიდის „ბაია" უმაღლეს ლიგაში გუშინ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. მეგრული დერბის ფავორიტად წინა ტურში თბილისის "დინამოსთან" ხმაურიანი გამარჯვების შემოქმედნი, ზუგდიდელი ფეხბურთელები მიიჩნეოდნენ, მაგრამ...

შეხვედრის პირველი წუთები უფრო მოთელვას ჰგავდა, ორივე გუნდი ფრთხილობდა. შემდგომ კი **ელგუჯა ქომეთიანის** შეგირდები გააქტიურდნენ და რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს: მარტვილელთა კარს ჯერ „ბაიას" კაპიტანი **ზვიად სიხარულია** დაემუქრა, თუმცა მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა; 31-ე წუთზე კი „მერანის" ერთ-ერთი შეტევა **ვალიკო ტყემალაძემ** ჩაჭრა, რომლის შორი მანძილიდან გასროლილი ბურთი მასპინძელთა კარის ძელს მოხვდა, ასხლეტილი კი **ლევან წურწუმიას** მიუვიდა და მისი სახიფათოდ დარტყმული **ჯონი შეროზიამ** მოიგერია.

ამასობაში მარტვილელებიც გამოცოცხლდნენ, კოტდივუარელი ლეგიონერი **ტაპე მუნინი,** ფაქტობრივად, პირისპირ გადიოდა მეკარესთან, თუმცა მოულოდნელად ფეხი დაუცდა და წაიქცა.

ტაიმის ბოლოს გუნდებმა სახიფათოდ შეუტიეს ერთურთს: 41-ე წუთზე **ირაკლი ქობალიას** ძლიერად დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს, ერთ წუთში კი მარტვილელთა შეტევა გოლით დასრულდა: „ბაიას" საჯარიმოში არეულობისას ბურთი მარტვილელთა შემტევ ნახევარმცველს **ლაშა ჩალაძეს** მიუვიდა, რომელმაც თანაგუნდელები არ დაალალატა — 1:0.

მეორე ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა," გატანა "მერანსაც" შეეძლო და „ბაიასაც": ერთ-ერთ ეპიზოდში **გიორგი მანწკავას** ჩინებული გადაცემის შემდეგ **გიგა ამბროლაძე** დარჩა **მაქაცარიასთან** მარტო, თუმცა ამ უკანასკნელმა შესაშური რეაქცია გამოავლინა. ანგარიშის შეცვლა შეეძლოთ ზუგდიდელ **კუკავასა** და მარტვილელ მანწკავას, თუმცა მათი მცდელობა უშედეგო გამოდგა. აქვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ 29 წლის მანწკავა გუნდის ლიდერად და ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა.

90-ე წუთზე სტუმრებმა ძალზე მწვავე მომენტი შექმნეს: სიხარულიას მიერ ჩინებულად ჩაწოდებულ ბურთს **აფაქიძემ** შეაგება თავი, მაგრამ ოდნავ ააცილა შეროზიას კარს.

ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მარტვილელები საკუთარ მოედანზე დაუმარცხებლად ასპარეზობენ: მათ შინ გამართული 5 მატჩიდან ოთხში იმარჯვეს, „დილასთან" კი ფრე ითამაშეს. კოლხურ დერბიში გამარჯვებით **არჩილ ჩხაბერიძისა** და **მალხაზ ჟვანიას** შეგირდებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ზედა ეშელონში ადგილის დასამკვიდრებლად.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 11 | 8 | 2 | 1 | 25 | 13 | 26 |
| 2 | ტორპედო | 11 | 7 | 1 | 3 | 14 | 7 | 22 |
| 3 | დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 23 | 12 | 22 |
| 4 | მეტალურგი | 11 | 6 | 3 | 2 | 16 | 10 | 21 |
| 5 | ბაია | 11 | 6 | 1 | 4 | 15 | 8 | 19 |
| 6 | მერანი | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 12 | 17 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 11 | 4 | 2 | 5 | 10 | 14 | 14 |
| 8 | გაგრა | 11 | 4 | 1 | 6 | 12 | 16 | 13 |
| 9 | დილა | 11 | 3 | 1 | 7 | 15 | 18 | 10 |
| 10 | სპარტაკი | 11 | 2 | 4 | 5 | 8 | 16 | 10 |
| 11 | კოლხეთი | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 17 | 9 |
| 12 | სიონი | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 22 | 3 |

შენიშვნა: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

*1. მოგებათა მეტი რაოდენობა;*
*2. ურთიერთშეხვედრები;*
*3. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;*
*4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
*5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
*6. ფეარ პლეი;*
*7. წილისყრა.*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო) | 8 |
| დვალი (ზესტაფონი) | 8 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 8 |

**II წრე**

**XII ტური**

**30 ოქტომბერი, კვირა**

კოლხეთი-მეტალურგი
სიონი-ბაია
მერანი-გაგრა
დინამო-სპარტაკი
დილა-ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი-ტორპედო *Live*

## ქართული ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● *ლეგიონერები*

# ეს უნდა ნახოთ!

## ყაზაიშვილმა დავიწყებული ქართული გაგვახსენა

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ინფორმაცია იყო: "ვიტესი 2" "ბრედა 2"-ს ახალგაზრდებს შორის ჰოლანდიის თასის მატჩში შეხვდა და 2:1 გაიმარჯვა. შინ მოთამაშე არნემელები გათამაშების შემდგომ ეტაპზე **ვალერი ყაზაიშვილის** გოლმა გაიყვანა.

ცხადია, დუბლშემადგენლობების თამაში უმაღლესი რანგის მეტოქეთა მატჩი არ იყო, მაგრამ ვინც მისი ფრაგმენტები ნახა, დამეთანხმება, რომ ყაზაიშვილი ძალზე ეფექტურიც იყო და სასარგებლოც – ორ, სამ და ოთხ მოწინააღმდეგესაც იოლად ატყუებდა, "ვიტესის" შეტევებს ამწვავებდა და მეტოქეს გამუდმებით უქმნიდა პრობლემებს.

მატჩის დასაწყისში 18 წლის ქართველმა მოედნის ცენტრში სწრაფი დრიბლინგით ორი მეტოქე ჩამოიცილა და ჩინებული გადაცემით თანაგუნდელი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ არნემელმა ფორვარდმა ვერ ივარგა.

მალე ვალერიმ მარჯვენა ფლანგზე ორი მცველი ეფექტური ფინტით ჩამოიშორა, საჯარიმოში შეიჭრა, იქ მესამეც მოატყუა და კარში დაარტყა – მეკარემ ამჯერადაც იმარჯვა.

არანაკლებ დასამახსოვრებელი იყო მეორე ტაიმის ეპიზოდი, როდესაც საჯარიმოსთან მცველს ბურთი ფეხებში გაუტარა, მეორეს გასცდა და დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა – "ბრედა" ამჯერადაც მეკარემ გადაარჩინა.

84-ე წუთზე კი პატარა ქართველმა "ქინქლაძე" ჩაატარა: ამ დროს ანგარიში 1:1 იყო, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო, მცველს გვერდი აუარა და ცენტრისკენ დაიძრა, სადაც კიდევ ოთხ ბრედელს დაახვია თავბრუ, საჯარიმოში მეექვსე ახლოს არ გაიკარა და შორეულ კუთხეში დარტყმით "ვიტესი" 2:1 დააწინაურა. არნემელებმა სწორედ ყაზაიშვილის ამ ულამაზესი გოლით გაიმარჯვეს.

ქართველის შესრულებით ასეთი ეფექტური გოლი ბევრი არ გვახსენდება: 1990 წელს "შევარდენის" ნახევარმცველმა **ლევან ყიფიანმა** საჯარიმოს ხაზთან თბილისის "დინამოს" მცველებს **მარადონას** ფინტი გაუკეთა, ერთ მეტრში ოთხი მოატყუა და ულამაზესი გოლი გაიტანა.

1996 წელს "მანჩესტერ სიტის" პლეიმეიკერმა **გიორგი ქინქლაძემ** "საუთჰემპტონის" ოთხი მცველი და მეკარე გააპამპულავა და ისეთი გოლი შეაგდო, დღემდე ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესოთა შორის მეექვსე ადგილზეა.

2005 წელს **გოჩა ხოჯავამ** თბილისში, ავლაბრის სტადიონზე ფოთის "კოლხეთის" ექვსი მცველი დრიბლინგით ჩამოიცილა, ზედ მეკარეც მიაყოლა და ისე შეაგდო.

2010 წელს კი დანიის პირველ ლიგაში **დავით დევდარიანმა** მოაწყო ტექნიკის დემონსტრირება, კუთხურის ხაზთან მოედნის მცირე მონაკვეთზე ოთხი მცველი მოატყუა და მეკარეს შორეულ კუთხეში ულამაზესი გოლი გაუტანა.

ნახეთ ყაზაიშვილის ეს გოლი და აუცილებლად გაგახსენდებათ ქინქლაძის ბავშვობა. ძალიან მინდა ვირწმუნო, რომ არნემულ კლუბში სწორედ ის მოთამაშე იზრდება, რომელიც ეროვნულ ნაკრებს გამოადგება - დრიბლიორი, სწრაფი, ტექნიკური, არაორდინარული გადაცემებით შეტევების გამამწვავებელი, რომელიც მეტოქეს გამუდმებით უჩენს თავსატეხს.

ისაც მაიმედებს, რომ ვაკო ყაზაიშვილი შრომისმოყვარე და თავმდაბალი ბიჭია, ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელია: იმედია, მალე ფიზიკურადაც მოღონიერდება, ტაქტიკურად და თეორიულად გაიზრდება და საქართველოს ნაკრების კარს შეაღებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ვალერი ყაზაიშვილი

# კლიმიაშვილი ტვინის შერყევას გადაურჩა

ტაშკენტის „პახტაკორში" მოასპარეზე **ირაკლი კლიმიაშვილი** უზბეკეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. ტაშკენტელები სტუმრად „ნეფთჩის" ხვდებოდნენ, მე-40 წუთზე კლიმიაშვილს მოწინააღმდეგის იდაყვი საფეთქლის სიახლოვეს მოხვდა, რის გამოც ექიმებმა მიიჩნიეს, რომ ფეხბურთელმა ტვინის შერყევა მიიღო.

ირაკლის რამდენიმე დღით წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს. როგორც შემდეგ გაირკვა, მას მხოლოდ მსუბუქი შერყევა ჰქონდა და მოედანს რამდენიმე დღეში დაუბრუნდება.

კლიმიაშვილის შეცვლისას მისი გუნდი უკვე 0:3-ს აგებდა, საბოლოოდ კი ტაშკენტელებმა 1:4 წააგეს და 44 ქულით მესამე ადგილზე არიან.

26 ოქტომბერს უზბეკეთის თასის ფინალი უნდა გამართულიყო, რომელშიც „პახტაკორი" სწორედ კლიმიაშვილის გოლის წყალობით გავიდა. ეს მატჩი 3 ნოემბრისთვის გადაიდო, კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ქართველი იმ დროისთვის სრულად გამოჯანმრთელდება.

**მაგდა კლდიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაული და სასჯელი

# ტევესი დაუნდობლად დასაჯეს



„მანჩესტერ სიტიმ" 27 წლის არგენტინელი ფორვარდი **კარლოს ტევესი** 800 ათასი ფუნტით დააჯარიმა და თან დასძინა, რომ თუ კლუბს, უფრო სწორად კი მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** მოეპრიანება, კონტრაქტის თანახმად დარჩენილი სამი წლის განმავლობაში არსად გაუშვებს. ტევესმა საჩივარი შეიტანა.

ერთი სიტყვით, პრემიერლიგის კლუბმა დაადგინა, რომ ყოფილი კაპიტანი სექტემბერში, მიუნხენის „ალიანს არენაზე" მომხდარ ინციდენტში დამნაშავეა — მოგეხსენებათ, „ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ტევესმა მანჩინის მოედანზე შესვლა გაუპროტესტა. ყოველ შემთხვევაში, კლუბი სწორედ ამას ამტკიცებს, თუმცა ფეხბურთელი ამბობს, რომ საქმე სხვანაირად იყო და ის, რაც იწერება, მანჩინის მოგონილია.

„სიტის" წარმომადგენლებმა არგენტინელს უთხრეს, რომ მან მიუნხენში კონტრაქტის ხუთი პუნქტი დაარღვია. სასჯელზეც მოგახსენეთ: ტევესს დაექვითება ოთხი კვირის ხელფასი, ხოლო რაც შეეხება ორკვირიან დისკვალიფიკაციას, ის მან უკვე მოიხადა.

მანჩინი ამ ისტორიაში კლუბის მეპატრონეების მხარდაჭერით სარგებლობს. თავმჯდომარე **ხალდუნ ალ მუბარაქმა** იტალიელ მწვრთნელს უთხრა, რომ აბუ დაბიში სრულ მხარდაჭერას უცხადებენ და მიაჩნიათ, რომ თავდამსხმელმა „სიტის" და ფანებს უღალატა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გაყიდის კლუბი ტევესს თუ დაიტოვებს, მანჩინიზეა დამოკიდებული. ეს გადაწყვეტილებაც არაბ მეპატრონეებს მიუღიათ. ისტლენდელთა პრესმდივანმა განაცხადა:

*„ვადასტურებ, რომ რობერტოსა და თავმჯდომარეს შორის შედგა სატელეფონო საუბარი, რომელზეც გადაწყდა, რომ კარლოს ტევესი იაფად არ გაიყიდება. ფეხბურთელის ტრანსფერზე ლაპარაკი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული მხარე რეალურ ფასს შემოგვთავაზებს".*

შეგახსენებთ, რომ ტევესის შეძენით დაინტერესებულია ბრაზილიური „კორინთიანსი", რომლის პრეზიდენტი **ანდრეს სანჩესი** ამბობს, რომ „სიტისთან" შეთანხმება შორს არ არის.

*„გარწმუნებთ, რომ კარლოსი ჩვენი ფეხბურთელი გახდება. ჩვენი გულშემატკივრები ვერც კი ხვდებიან, რა ახლოს ვართ მიზანთან".*

„კორინთიანსი" არგენტინელის გადაბირებას ზაფხულშიც ცდილობდა.

ვარსკვლავის შესახებ



# სუპერმარიო სუპერპრობლემა არ არის

„მანჩესტერ სიტის" მწვრთნელის, **რობერტო მანჩინის** ასისტენტი, წარსულში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, **დევიდ პლატი** ამბობს, რომ 21 წლის ფორვარდი, **მარიო ბალოტელი** სულაც არ არის პრობლემური ბავშვი. მოგეხსენებათ, მოედანზე ჩინებული თამაშისა და მოედანს მიღმა ჩადენილი სისულელეების გამო სუპერმარიო ბოლოხანს ინგლისური და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ თვალშისაცემ ფიგურად იქცა. ახალგაზრდა ფორვარდის ბოლო თავგადასავლები მანჩესტერულ დერბიში ორი გოლის გატანა და წინადღეს, საკუთარი სახლის აბაზანაში ფოიერვერკების მოწყობა (თვითონ ამბობს, ჩემი მეგობარი იყოო) გახლდათ. პლატმა თქვა:

*„არ დაგიმალავთ, ბალოტელი სულაც არ გახლავთ ძნელად მოსარჯულებელი ფეხბურთელი. ის ბუტიაც არ არის. რასაკვირველია, კონცენტრაციას კარგავს ხოლმე — მას ეს ახასიათებს — მაგრამ, რომ შეუძახებ, კვლავ მწყობრში დგება. ბალოტელის ათდღიანი ჩავარდნები არ სჩვევია. ათ წამში გონს მოეგება ხოლმე. მოკლედ, უცნაური ხასიათის ადამიანია, ნამდვილი გამოცანაა".*

ბალოტელი ინგლისში შერეკილი ადამიანის სახელით ჩავიდა. ასეთი რეპუტაცია მან „ინტერში" თამაშის დროს შეიძინა - ბოლოს, „ინტერში" მისი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** გახლდათ. აფრო-იტალიელმა „სიტიშიც" დაიწყო უცნაურად მოქცევა და ჯამში, მანჩესტერში ჩადენილი სისულელეები 300 000 ფუნტი დაუჯდა. ერთ-ერთი ასეთი სისულელე, რომლისთვისაც დააჯარიმეს, „სიტის" ბაზაზე, ახალგაზრდა თანაგუნდელისთვის დართსის ნემსის სროლა გახლდათ. ბაზაზევე იჩხუბა თანაგუნდელებთან, **ჯერომ ბოატენგთან** და **ვენსან კომპანისთან**. თვალშისაცემი და სასაცილო რამ გააკეთა გასულ ზაფხულზე, სეზონისწინა შეკრების დროს „ლოს ანჯელეს გელექსისთან" თამაშის დროს. მაშინ, როდესაც შეეძლო ბურთი, ფაქტობრივად დაუცველ კარში ჩვეულებრივად შეეგდო, ქუსლი დაარტყა და ააცილა. განრისხებულმა მანჩინიმ დაუყოვნებლივ გაიყვანა მოედნიდან.

მაგრამ, ბალოტელის „შერეკილ" საქციელი ცალკე იყოს და, მოედანზე მისი ნიჭი და უნარი ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. სუპერმარიოს ცნობილმა თანამემამულემ, ინგლისის ნაკრების თავკაცმა, **ფაბიო კაპელომ** სწორედ გასულ კვირას შეაქო ფორვარდი — უკვე დაღვინდაო. პლატმა კი დასძინა:

*„ხალხმა „ბალოს" ნიჭი გასულ სეზონშიც ნახა, მაგრამ ეპიზოდურად. ვერც ყოფაქცევას ვუსაყვედურებთ, ერთადერთი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პერიოდულად კონცენტრაციას კარგავდა. საბედნიეროდ, ბოლო ორი თუ სამი თვეა მარიოს არც ამ მხრივ აქვს პრობლემა".*

კვირას „მანჩესტერ იუნაიტედის" 6:1 განადგურების შემდეგ „სიტის" ფეხბურთელებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება გასაკვირი ნამდვილად არ არის. პლატმა ბალოტელის გარდა შესანიშნავ ფორმაში მყოფ 25 წლის ესპანელ **დავიდ სილვაზეც** ილაპარაკა.

*„ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია, — თქვა ისტლენდელთა ხელმძღვანელმა, — თუმცა, ჯერ, რასაკვირველია, სეზონის საუკეთესო მოთამაშეზე ლაპარაკი ნაადრევია. ჩემპიონატის დამთავრებამდე დიდი დროა და ჩვენი გუნდის გარდა სხვა გუნდებშიც არიან ძლიერი ფეხბურთელები. მეორე მხრივ, ძალიან გამიკვირდება, დავიდ სილვას სტაბილურმა და ძლიერმა თამაშმა შედეგი რომ არ მოიტანოს".*

ამბობენ, რომ „იუნაიტედის" 6:1 ძლევის შემდეგ მთავარია ისტლენდელებმა ცხვირი არ ასწიონ და არ დაიჯერონ, რომ საქმე უკვე მოგვარებულია.

*„არ დავმალავ, „იუნაიტედთან" გამარჯვების შემდეგ ეიფორიის გრძნობა მართლაც დაგვეუფლა, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ცხრილში პირველ ადგილზე დავმკვიდრდით და არა იმიტომ, რომ ძლიერ გუნდს დიდი ანგარიშით მოვუგეთ. თუმცა, ცოტა ხანი რომ გავიდა რობერტომ ბიჭებს უთხრა, რომ კვირას მათ ჩვეულებრივი სამი ქულა მოიპოვეს და მეტი არაფერი მომხდარა. ყოველი მომდევნო თამაშის დაწყებისას ანგარიში 0:0-ია".*

რასიზმი

# ტერის პრობლემები უგროვდება

„ჩელსის" 30 წლის კაპიტან **ჯონ ტერის** მოედანს მიღმა სერიოზული ბრძოლა ელის. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია იძულებულია ოფიციალურად განიხილოს მის მიერ „ქუინზ პარკ რეინჯერსის" 26 წლის მოთამაშის, **ანტონ ფერდინანდის** რასისტულად შეურაცხყოფის საქმე. მოგეხსენებათ, თავიდან ისე ჩანდა, თითქოს ტერისა და ფერდინანდის ინციდენტი აღარ უნდა გამწვავებულიყო, მაგრამ „რეინჯერსის" ფეხბურთელმა თავის წარმომადგენელთან და მწვრთნელთან, **ნილ უორნოკთან** ითათბირა და ასოციაციაში მაინც აღძრა საქმე.



როგორც ცნობილია, ვიდეოჩანაწერზე კარგად ჩანს, რომ ტერი ფერდინანდს შეურაცხმყოფელ სიტყვებს ეუბნება, თუმცა, „ლურჯების" კაპიტანი კატეგორიულად აცხადებს, რომ შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია და მოწმედ თანაგუნდელი, **ეშლი კოული** მოჰყავს.

მიიღო რა „რეინჯერსისგან" საჩივარი, ფეხბურთის ასოციაციამ დაადასტურა, რომ ამიერიდან სერიოზულ გამოძიებას შეუდგება, ოღონდ, ჯერჯერობით სხვა კომენტარებისგან თავს შეიკავებს.

ამ ისტორიამ ასოციაცია მეტად უხერხულ დღეში ჩააგდო. გამოდის, რომ ნაკრების კაპიტნად დანიშნული ჰყავს კაცი, რომელსაც რასიზმში სდებენ ბრალს. ამბობენ, რომ შესაძლოა ტერის კაპიტნობა კიდევ ერთხელ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ: გეხსომებათ, რომ „ჩელსის" მცველი 2010 წლის თებერვალში ერთხელ უკვე მოხსნეს ეროვნული გუნდის კაპიტნობიდან. მაშინ მიზეზი თანაგუნდელის, **უეინ ბრიჯის** მეუღლესთან რომანი იყო.

რომ შეიტყო, ასოციაცია გამოძიებას აპირებსო, ტერიმაც გაავრცელა განცხადება: *„ასოციაციის გამოძიებას მივესალმები და ველოდები, რომ მისი დახმარებით ცილისწამების გამო შებღალულ რეპუტაციას აღვიდგენ. მანამდე კი ამ თემაზე კომენტარს აღარ გავაკეთებ".*

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგის გაფრთხილება



„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** თავის ფეხბურთელებს, რომელთაც კვირას „მანჩესტერ სიტისთან" 6:1 წააგეს, მიანიშნა, რომ მათ კისერში სარეზერვო გუნდის ბიჭები სუნთქავენ და ნებისმიერ წამს მზად არიან ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიკავონ. შოტლანდიელმა სპეციალისტმა „ქარლინგის თასზე" მეორე ლიგის „ოლდერშოტთან" სრულიად შეცვლილი შემადგენლობა ათამაშა და 3:0 გაიმარჯვა. გოლები გაიტანეს **დიმიტარ ბერბატოვმა, მაიკლ ოუენმა** და **ანტონიო ვალენსიამ**. ამ გამარჯვების წყალობით ინგლისის ჩემპიონი შეჯიბრების მეოთხედფინალში გავიდა.

„ოლდერშოტთან" შეხვედრაში გამოჩნდა, რომ ახლა სარეზერვო გუნდის ბიჭები არიან კარგ ფორმაში. იყოჩაღა **ტომ კლევერლიმ**, რომელსაც ფერგი, ალბათ, ამ უქმეებზე, „ევერტონთან" შეხვედრაში დაეყრდნობა. ფერგიუსონმა თქვა:

*„ეს ბიჭები სულ „მუჯლუგუნებს მკრავენ" და თავსატეხს მიჩენენ. ძალიან ძნელია, როდესაც ამდენი კარგი ფეხბურთელი გყავს. თითოეულ მათგანს პრაქტიკა სჭირდება და სწორედ ამიტომ ვათამაშე „ქარლინგის თასზე" განსხვავებული შემადგენლობა. მაიკლ ოუენს, მაგალითად, ყოველ შეხვედრაში გოლი გააქვს. მას საოცარი შედეგი აქვს და ამას ვერავინ უარყოფს. დიმიტარ ბერბატოვმა „ოლდერშოტთან" საუცხოო გოლი გაიტანა. ძალიან გამიხარდა ტომ კლევერლი რომ დაგვიბრუნდა, ის შესანიშნავი ფეხბურთელია".*

გუნდში შექმნილ მდგომარეობაზე თავისი აზრი თქვა 2001 წლის „ოქროს ბურთის" ლაურეატმა, 31 წლის ოუენმაც:

*„ალბათ, ხვდებით, რომ მანჩესტერულ დერბიში წაგების შემდეგ გასახდელში ხუმრობა და მხიარულება ძალიან შემცირდა. ხანდახან ადამიანს კბილებში უნდა მოხვდეს, რომ გამოფხიზლდეს და სწორი გზით განაგრძოს სვლა. ჩვენ ძლიერად მოგვხვდა. გასული კვირის შედეგის გამო ერთგვარი ზეწოლის ქვეშ ვართ. ამიტომაც, ძალიან გვინდოდა „ქარლინგის თასზე" მოგებით განწყობა გამოგვეკეთებინა. მართალია, იმ ბიჭებიდან, რომლებმაც „ოლდერშოტთან" ვითამაშეთ მანჩესტერულ დერბიში მონაწილეობა არც ერთს არ მიგვიღია, მაგრამ „იუნაიტედის" სახელი და პრესტიჟი გვავალდებულებდა, რომ კარგად გვეთამაშა და რეპუტაცია გამოგვესწორებინა".*

ინგლისის ნაკრები

# ჯერარდი ინგლისელს უჭერს მხარს

„ლივერპულის" კაპიტანმა, 31 წლის **სტივენ ჯერარდმა** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მოუწოდა, რომ ნაკრების მომავალ მწვრთნელად აუცილებლად ინგლისელი დანიშნოს. ჯერარდს ნაკრებში მოხვედრის პრობლემა არც იტალიელი **ფაბიო კაპელოს** დროს აქვს და არც შვედი **სვენ გორან ერიქსონის** დროს ჰქონდა, მაგრამ მაინც ამბობს, რომ დღეს, მის სამშობლოში საკმაოდ არიან ისეთი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომელთაც შეიძლება ნაკრები ანდონ.

*„ინგლისში ბევრი კარგი მწვრთნელია. ბოლო დროს ძალიან ხშირად ახსენებენ ჰარი რედნაპს და მართლაც, მას, როგორც მწვრთნელს, შესანიშნავი შედეგი აქვს. ვფიქრობ, მარტო იმიტომ, რაც „ტოტენჰემში" გააკეთა, რედნაპი ნაკრებში დანიშვნის ღირსია. ვფიქრობ, ჰარის გარდა კიდევ არის ორი-სამი კანდიდატი. ერთი სიტყვით, მენდეთ, კაპელოს შემცვლელის საძებნელად საზღვარგარეთ ნამდვილად არ ვართ წასასვლელები. რაც შეეხება კაპელოს... თუკი მომავალ ზაფხულში ის ევროპის ჩემპიონატზე წამიყვანს, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა გუნდი რაც შეიძლება კარგად გამოვიდეს. ძალიან მინდა, ფაბიო ინგლისიდან ღიმილით წავიდეს".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასი ამერიკიდან

ბრაზილია. სერია A. XXXI ტური

## სან პაულუ ახალი მწვრთნელით

**პალმეირასი-ფიგეირენსე 1:2**

**გოლები:** 0:1 ველინგტონ ნემი (10), 0:2 ჟულიო სეზარი (76), 1:2 რიკარდო ბუენო (90)

**ფლუმინენსე-ატლ. მინეირო 0:2**

**გოლები:** 0:1 დანი კარვალიო (10-პენ), 0:2 ანდრე (45)

**გაძევება:** ლეანდრო ეუზებიო (82. ფლუმინენსე)

**ავაი-ბოტაფოგო 3:2**

**გოლები:** 0:1 აბრეუ (9), 1:1 რობინიო (15), 2:1 კლევერსონი (17), 2:2 რენატო (62), 3:2 რობერტი (85)

**გაძევება:** ლუკასი (82. ბოტაფოგო)

**ამერიკა-გრემიო 2:2**

**გოლები:** 1:0 ტიაგო კარლეტო (10), 1:1 ანდრე ლიმა (34), 1:2 ანდრე ლიმა (52), 2:2 ანდერსონი (87)

**გაძევება:** მარკოს როჩა (31)

**სან პაულუ-კორიტიბა 0:0**

**შენიშვნა:** ანდერსონ აკინომ (კორიტიბა) 21 წუთი ითამაშა შეცვლაზე

**ატლ. პარანაენსე-სეარა 1:0**

**გოლი:** 1:0 პაულო ბაიერი (32)

**ბაია-ვასკუ და გამა 0:2**

**გოლები:** 0:1 ფელიპე (22), 0:2 დიეგო სოუზა (90)

**ინტერნასიონალი-კორინთ. 1:1**

**გოლები:** 1:0 ნეი (66), 1:1 ალექსი (90)

**გაძევება:** ალესანდრო (41. კორინთიანსი), დ'ალესანდრო (87. ინტერნასიონალი)

**ფლამენგო-სანტოსი 1:1**

**გოლები:** 0:1 ნეიმარი (48), 1:1 დევიდი (77)

**კრუზეირო-ატლ. გოიანენსე 3:2**

**გოლები:** 0:1 ტიაგო ფელტრი (16), 1:1 ფარიასი (41), 1:2 ფელიპე (67), 2:2 ანსელმო რამონი (70), 3:2 ანსელმო რამონი (74)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვასკუ და გამა | 31 | 16 | 9 | 6 | 49-35 | 57 |
| 2. კორინთიანსი | 31 | 16 | 7 | 8 | 44-31 | 55 |
| 3. ბოტაფოგო | 31 | 15 | 7 | 9 | 48-37 | 52 |
| 4. ფლამენგო | 31 | 13 | 13 | 5 | 50-39 | 52 |
| 5. ფლუმინენსე | 31 | 16 | 2 | 13 | 44-40 | 50 |
| 6. სან პაულუ | 31 | 13 | 10 | 8 | 45-38 | 49 |
| 7. ინტერნასიონ. | 31 | 12 | 12 | 7 | 51-38 | 48 |
| 8. ფიგეირენსე | 31 | 12 | 11 | 8 | 40-37 | 47 |
| 9. გრემიო | 31 | 12 | 7 | 12 | 36-40 | 43 |
| 10. სანტოსი | 31 | 12 | 6 | 13 | 43-45 | 42 |
| 11. კორიტიბა | 31 | 11 | 9 | 11 | 47-37 | 42 |
| 12. ატლ. გოიანენ. | 31 | 11 | 9 | 11 | 41-37 | 42 |
| 13. პალმეირასი | 31 | 9 | 14 | 8 | 36-32 | 41 |
| 14. ბაია | 31 | 8 | 12 | 11 | 34-39 | 36 |
| 15. კრუზეირო | 31 | 9 | 7 | 15 | 37-41 | 34 |
| 16. ატლ. მინეირო | 31 | 9 | 6 | 16 | 37-48 | 33 |
| 17. სეარა | 31 | 8 | 8 | 15 | 36-52 | 32 |
| 18. ატლ. პარანაენ. | 31 | 7 | 10 | 14 | 30-45 | 31 |
| 19. ავაი | 31 | 7 | 8 | 16 | 42-65 | 29 |
| 20. ამერიკა | 31 | 4 | 13 | 14 | 40-54 | 25 |

**ბომბარდირები:** 22 - ბორჟესი (სანტოსი); 13 - ფრედი (ფლუმინენსე), ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), რონალდინიო (ფლამენგო), ვილიამი (ავაი); 12 - დეივიდი (ფლამენგო), მონტილიო (კრუზეირო)

**მომდევნო ტური**

29 ოქტომბერი: **სანტოსი-ატლ. პარანაენსე, ბოტაფოგო-კრუზეირო, სეარა-ფლუმინენსე.**

30 ოქტომბერი: **კორინთიანსი-ავაი, ვასკუ და გამა-სან პაულუ, გრემიო-ფლამენგო, ფიგეირენსე-ბაია, ატლ. მინეირო-პალმეირასი, კორიტიბა-ამერიკა, ატლ. გოიანენსე-ინტერნასიონალი.**



ემერსონ ლეაო

ბრაზილიის სერია A-ს დასრულებამდე 7 ტურით ადრე დანამდვილებით იმის თქმა თუ შეიძლება, რომ „სანტოსის" 31 წლის ფორვარდ **ბორჟესს** ბომბარდირთა დავაში ვერავინ შეეცილება. სალვადორელი თავდამსხმელი უახლოეს კონკურენტებს 9-9 გოლით უსწრებს. და ალბათ, ბრაზილიის ორგზის ჩემპიონი („სან პაულუს" რიგებში), რომელიც აქამდე იაპონიის ჯეილიგა-2-ის ბომბარდირობით თუ დაიკვეხნის, პირველ ადგილზე დაასრულებს ტურნირს.

სხვა მხრივ კი რა ვთქვათ? ჩემპიონობის შანსი 8 გუნდს აქვს, აქედან ყველაზე რეალური - „ვასკუ და გამასა" და „კორინთიანსს". ამ ტურში „ვასკუმ" „კორინთიანსის" წაფორხილებით ისარგებლა და 2 ქულით დაწინაურდა.

„სან პაულუს" ამიერიდან ახალი მწვრთნელი ჰყავს - **ადილსონ ბატისტას** ნაცვლად გუნდს **ემერსონ ლეაო** გაწვრთნის. 62 წლის სპეციალისტი 6 წლის წინათ წვრთნიდა ამ გუნდს და მაშინ „სან პაულუს" პაულისტას პირველობა მოაგებინა. ემერსონ ლეაოსთან კონტრაქტი წლის ბოლომდე გააფორმეს, „სან პაულუ" კი დღეისათვის მე-6 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

არგენტინა. სუპერკლასიკო

## ბოკა-რივერი მაინც იქნება




არგენტინული სუპერკლასიკო იანვარში მაინც გაიმართება, თანაც ორ მატჩად. მოგეხსენებათ, რომ პრიმერადან „რივერ პლეიტის" გავარდნის გამო სუპერკლასიკო ქვეყნის პირველობის რანგში არ ტარდება, „ბოკა ხუნიორსი" ელიტაში თამაშობს, ხოლო „რივერი" იქ დასაბრუნებლად იბრძვის.

სუპერკლასიკო ტრადიციული ამხანაგური ტურნირის, „ტორნეო დე ვერანოს" ეგიდით ჩატარდება. ეს დაპირისპირება ჩაშლის პირას იყო, რადგან ტრიბუნებზე და მათ გარეთაც არეულობის საფრთხე ძალიან მაღალია. საბოლოოდ ტურნირის ორგანიზატორებმა თავისი გაიტანეს და დიდი დაპირისპირება მაინც იქნება.

პირველი მატჩი 28 იანვარს ჩაკოს პროვინციაში ახალთახალ „სენტენარიოზე" (რომელიც 25 ათას გულშემატკივარს იტევს) გაიმართება. მეორე მატჩი რომელ ქალაქში გაიმართება, ჯერ უცნობია. შეიძლება, ეს არგენტინული ქალაქიც არ იყოს და გუნდებმა მაიამიში ითამაშონ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

MLS. რეგულარული ჩემპიონატი

**აღმოსავლეთი**: *1. კანზასი (51 ქულა), 2. ჰიუსტონი (49), 3. ფილადელფია (48), 4. კოლამბუსი (47), 5. ნიუ იორკი (46), 6. ჩიკაგო (43), 7. დი სი (39), 8. ტორონტო (33), 9. ნიუ ინგლენდი (28)*

**დასავლეთი**: *1. ლოს ანჯელესი (67 ქულა), 2. სიეტლი (63), 3. სოლ ლეიკი (53), 4. დალასი (52), 5. კოლორადო (49), 6. პორტლენდი (42), 7. სან ხოსე (38), 8. ჩივასი (36), 9. ვანკუვერი (28)*

**ბომბარდირები**: 16 - დე როსარიო (დი სი), ვონდოლოვსკი (სან ხოსე); 14 - ანრი (ნიუ იორკი); 13 - მენდოსა (კოლამბუსი).

ფიფა



ფრანც ბეკენბაუერი ფიფას წესების კომისიასთან ერთად ბევრს მუშაობს

## იდეები და წესები ციურიხიდან

ფიფას წესების კომისიამ გადაწყვიტა, რომ თამაშების მიმდინარეობისას მწვრთნელებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება აუკრძალოს. კონკრეტულად ლაპარაკია "აიპოდსა" და "აიფოუნზე". ასოციაციაში ფიქრობენ, რომ აღნიშნული ტექნიკის დახმარებით მწვრთნელებს შეუძლიათ მომენტების განმეორებით ნახვა, თანაც შენელებული კადრით, რაც ხშირად მსაჯებისადმი მათი უკმაყოფილების დამატებითი საფუძველი ხდება. ტექნიკის დახმარებით შესაძლებელია ისეთ პირებთან მუდმივი კონტაქტიც, რომელთაც სათადარიგოთა სკამზე ყოფნის უფლება არ აქვთ. ჯგუფს სათავეში **ფრანც ბეკენბაუერი** უდგას. *"შეუძლებელია ფიფამ დაუშვას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მატჩების დროს. ასეთ მოვლენებთან ბრძოლაა საჭირო,"* – აცხადებს ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, იტალიის ნაკრებისა და "მილანის" ყოფილი საყრდენი ნახევარმცველი **დემეტრიო ალბერტინი.**

პირველი რეაქცია აღნიშნულ ინიციატივაზე საკმაოდ მშვიდი იყო. *"რა თქმა უნდა სიამოვნებით გამოვიყენებ ნებისმიერ თანამედროვე ტექნიკას, რომელიც საქმეს გამიადვილებს, მაგრამ თუკი ფიფაში სურთ, რომ ისინი აიკრძალოს, ჩემი მხრიდან პრობლემა არ იქნება. ისედაც ტექნიკას მხოლოდ ოფიციალურ მატჩებში ვიყენებ. ამიერიდან კი ვარჯიშებზე თულა ვისარგებლებ,"* - განაცხადა "რომას" ესპანელმა მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ენრიკემ**. უნდა აღინიშნოს, რომ "აიპედით" სარგებლობის პიონერი თანამედროვე ფეხბურთში "რეალის" მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** იყო. რას იტყვის "განსაკუთრებული კაცი", შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ.

იმავე ჯგუფმა საინტერესო იდეა წამოაყენა საჯარიმო მოედანში ე.წ. "ბოლო იმედის ჯარიმასთან" დაკავშირებით. ამჟამად მოქმედი წესებით მსაჯს შეუძლია წესის დამრღვევი გუნდი პრაქტიკულად სამმაგად დასაჯოს – უჩვენოს ფეხბურთელს პირდაპირ წითელი ბარათი, რაც შემდგომში მის ავტომატურ დისკვალიფიკაციას გამოიწვევს და დანიშნოს პენალტი. კომისიას მიაჩნია, რომ ასეთ ეპიზოდებში ყვითელი ბარათი და თერთმეტმეტრიანი სავსებით საკმარისი უნდა იყოს. წითლის ჩვენების უფლება კი არბიტრს წესის დამრღვევის მხრიდან განსაკუთრებული უხეშობის შემთხვევაში შეიძლება დარჩეს. კომისიამ განიხილა კონკრეტული შემთხვევა, როცა მსაჯის გადაწყვეტილებამ მატჩის ბედზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ურუგვაი-სამხრეთი აფრიკის შეხვედრის 76-ე წუთზე მეკარე **იტუმელენგ ხუნემ ლუის სუარესთან** ბრძოლაში წესები უმნიშვნელოდ დაარღვია, თუმცა მსაჯმა **მასიმო ბუზაკამ** გოლკიპერს პირდაპირ წითელი აუფრიალა. შედეგად კი ის მოხდა, რომ სამხრეთამერიკელებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს და პენალტის გარდა მატჩის ბოლო წამებზე მასპინძლებს კიდევ ერთი გოლი გაუტანეს. *"პენალტი საკმარისი სასჯელია ისეთი უმნიშვნელო დარღვევის გამო, რაც ბურთისთვის ბრძოლას მოჰყვება ხოლმე. განხილულ შემთხვევაში უხეშობა ზღვარს გადასული რომ ყოფილიყო, ბუზაკას გადაწყვეტილება გამართლებული იქნებოდა. ზედმეტი უხეშობის გამო კი ფეხბურთელს მინდვრიდან აძევებენ, სადაც უნდა ჩაიდინოს მან მსგავსი საქციელი,"* – განაცხადა კომისიის ხელმძღვანელმა ფრანც ბეკენბაუერმა. გარდა ამისა, "კაიზერმა" მოუწოდა არბიტრებს თავი შეიკავონ ბარათების ზედმეტად ფრიალისგან. მისი აზრით, აუცილებლად უნდა ჩაიდოს წესებში, რომ საჯარიმოში პენალტი დაინიშნოს მხოლოდ გამიზნულად ხელით თამაშისთვის და არა ბურთის ხელზე ყოველი შეხების გამო. კომისია ამზადებს ცვლილებას ასევე თამაშგარე მდგომარეობის დეფინიციის გასამარტივებლად. საფეხბურთო წესებში შესატანი ცვლილებების პროექტს კომისია ფიფას აღმასრულებელ კომიტეტს 2012 წლის მარტში წარუდგენს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ევრო 2012

## პოლონელების მთავარი სიამაყე



არა უგვიანეს ნოემბრისა ვარშავაში ეს არენა გაიხსნება

ევრო 2012-ის თანამასპინძელი პოლონეთი ტურნირის სამასპინძლოდ ხვალვე იქნებოდა მზად, რომ არა ერთი გარემოება: ვარშავის 58-ათასიანი "ნაციონალური სტადიონი" ჯერ მზად არ არის. სხვა მხრივ ქვეყანაში სამზადისი უკვე დასრულებულია. დარჩენილია მხოლოდ დეტალები. ტყუილად კი არ აღუნიშნავს უეფას დელეგაციას, პოლონელთა მომზადების უკეთესი დონე, ვიდრე მათი "კომპანიონი" უკრაინელებისა. "ნაციონალური სტადიონი" მზად მხოლოდ ერთ თვეში იქნება და მასზე პირველი თამაში 2012 წლის 29 თებერვალს გაიმართება, მაგრამ ამის მიუხედავად, არენის გარშემო ტერიტორიის კეთილმოსაწყობად სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ სტადიონის მშენებლობის უფლებას თავიდან სხვა კომპანია ფლობდა, მაგრამ სპეციალურმა კომისიამ მას მშენებლობის პროცესში დარღვევები აღმოუჩინა და სამუშაოების გაგრძელების უფლება ჩამოართვა. სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია ის, რომ არენა ჯერ კიდევ არ არის მზად. პოლონეთის მხრიდან საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი **ადამ ოლკოვიჩი** დარწმუნებულია, რომ სხვა რაიმე გაუგებრობას ადგილი არ ექნება.

ევრო 2012-ის მზადების პროცესში სიახლეა უკრაინულ მხარესაც. ქალაქ ხარკოვის ხელმძღვანელობა სტადიონზე (და არა მხოლოდ) განსაკუთრებულ სიტუაციებში წინასწარი გაფრთხილების სისტემის დამონტაჟებას აპირებს. ინფორმაცია ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **ალექსანდრ კრივცოვმა** გაავრცელა. მისი თქმით, ეს იდეა თურქეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ გაუჩნდათ.

**ლევან ბიბილაშვილი**

მარსელი

## დავიწყებული ღიმილი

"მარსელის" 21 წლის განელი თავდამსხმელის **ანდრე აიუს** განცხადებით, ის მოხარულია, რომ მისმა თამაშმა "არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერიც** კი მოხიბლა. შეგახსენებთ, რომ ჯერ ერთი კვირაც არაა გასული მას შემდეგ, რაც ფრანგმა სპეციალისტმა პრესასთან ანდრეს მიმართ ქება-დიდება არ დაიშურა. მუსიე ვენგერმა განაცხადა, რომ მისი გუნდი შეტევაში კარგად დაკომპლექტებული რომ არ იყოს, აუცილებლად იფიქრებდა ამ ფეხბურთელის გადაბირებაზე. *"მოგატყუებდით, რომ მეთქვა, ისეთი ცნობილი მწვრთნელის მხრიდან ქება, როგორიც ვენგერია, არ მსიამოვნებს-მეთქი. ის დიდი მწვრთნელია, ვინც "არსენალთან" ერთად ბევრ რამეს მიაღწია. მისი ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქრო, რომ ევროპული კლუბების თვალთახედვის არეში შეიძლება ვიყო. ეს კი მოტივაციას მაძლევს, რომ სამომავლოდ კიდევ მეტი ვიშრომო და პროგრესი განვაგრძო. ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ, ასე რომ, დასახვეწი და მოსამატებელი უამრავ კომპონენტში მაქვს".*

გუშინწინ "მარსელმა" საფრანგეთის თასზე "ლანსი" 4:0 გაანადგურა. ეს **დიდიე დეშამის** ბიჭების ზედიზედ მეორე გამარჯვება იყო, რაც შეიძლება იმის ნიშანი იყოს, რომ გუნდმა კრიზისს თავი დააღწია და ამიერიდან შეძლებს ცხრილში მისთვის უფრო შესაფერისი ადგილებისკენ ნელ-ნელა სვლას. "ლანსთან" თამაშის ხარისხით და ანგარიშით აღფრთოვანებული დარჩა პროვანსელთა საყრდენი ნახევარმცველი **შარლ კაბორე**: *"კარგია, რომ გავიმარჯვეთ. თანაც მაგრად ვიდექით დაცვაში და ბრწყინვალედ გამოვიყურებოდით შეტევაში. ამ მატჩის დამთავრების შემდეგ როგორც იქნა, გავიღიმეთ. ყველაფერი "აიაჩოსთან" გამარჯვებით დაიწყო და ამ შეხვედრაში გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდისთვის პრიორიტეტი ლიგა 1-ში კარგი თამაშია, ლიგის თასზეც ვეცდებით წარმატების მიღწევას, რადგან ესეც მნიშვნელოვანი ტურნირია. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ 4-4-2-ზე დაბრუნების შემდეგ უფრო მეტად შევძლებთ შეტევების ორგანიზებას და გოლების გატანას. ამას გუნდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს."*



ანდრე აიუ ვენგერის ყურადღებით მოხიბლულია

აქვე გეტყვით, რომ "მარსელის" ხელმძღვანელობა "სევილიიდან" 24 წლის არგენტინელი ცენტრალური მცველის **ფედერიკო ფასიოს** შეძენას გეგმავს. სამხრეთამერიკელი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება. ლა ლიგის თამაში ძირითადში მან სულ ორჯერ დაიწყო და ერთხელაც შეცვლაზე შევიდა. ფეხბურთელის ტრანსფერი სულ რაღაც 3 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი. 1/16 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ელიტელებმა ბეწვის ხიდზე გაიარეს

## ჰამბურგმა დიდხანს ინერვიულა, გლადბახმა ბოლომდე

**გერმანიის თასის 1/16 ფინალის სამშაბათის მატჩებმა მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა – თუმცა სენსაციურ ფიასკოსთან ძალიან ახლოს იყვნენ „ჰამბურგი“ და „გლადბახი“. HSV გადარჩენას დენის აოგოს უნდა უმადლოდეს, „ბორუსია“ კი მეკარე მარკ-ანდრე ტერ შტეგენს. დორტმუნდის „ბორუსიამ“ დრეზდენის დინამოს ბარიერი საკმაოდ იოლად გადალახა.**

| ტრირი–ჰამბურგი | 1:1 (1:2 დ.დ.) |
|---|---|

**ჰამბურგი (4-2-2-2):** დრობნი – ვესტერმანი, მანსიენი (46. სკიელბრედი), რაიკოვიჩი, აოგო – ტეშე, იაროლიმი (46. გერერო) – დიკმაიერი, ლამი – ბერგი, სონი (117. რინკონი).

**გოლები:** 1:0 კულაბასი (8), 1:1 ბერგი (62), 1:2 აოგო (110)



„ჰამბურგი“ სირცხვილისგან დენის აოგომ (მარცხნივ) იხსნა

„ჰამბურგი“ გერმანიის თასის ფინალში გასვლას პირველ რიგში ილბალს, მერე კი მარცხენა მცველ **დენის აოგოს** უნდა უმადლოდეს. ამ უკანასკნელმა 110-ე წუთზე შეძლო და გაიტანა გოლი, რომელმაც ჩრდილოგერმანული კლუბი ტრირის „აინტრახტთან“ სრულ ფიასკოს გადაარჩინა, ხოლო ახალი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** კი „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელის რანგში გამარჯვებით პირველად გაახარა. გერმანიის ნაკრების მცველმა ხსენებულ დროს საჯარიმო დარტყმა უნაკლოდ შეასრულა. მანამდე, ტრირელები ელიტელ მეტოქეს **კულაბასის** გოლით უგებდნენ და ბუნდესლიგის ისედაც გასაჭირში მყოფი „უკანასკნელი დინო“ ძალიან დიდხანს ანერვიულეს. ანგარიში ჰამბურგელთა შვედმა ფორვარდმა **მარკუს ბერგმა** 62-ე წუთზე გაათანაბრა და რაკი ძირითად დროში გოლი აღარ გასულა, დამატებითი ტაიმების დანიშვნა გახდა საჭირო, სადაც „ჰამბურგს“ აოგოს ჯარიმამ უშველა.

| ჰაიდენჰაიმი–ბორუსია (მ) | 0:0 (3:4 პენ.) |
|---|---|

**პენალტები გაიტანეს:** ზაუტერი, კრებსი, შიტენჰელმი – დემსი, დანტე, ნორდტვეიტი, შტრანცლი

**პენალტები ვერ გაიტანეს:** შპანი, ტაუზენდპფუნდი (ორივე ჰაიდენჰაიმი)

მთელი 120 წუთის განმავლობაში სენსაციის სუნი ასდიოდა მესამე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „ჰაიდენჰაიმისა“ და მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ თამაშსაც. გერმანიის თასის სამგზის მფლობელმა გაცილებით სუსტ მეტოქეს ვერც ძირითად და ვერც დამატებით დროში ვერაფერი მოუხერხა და მხოლოდ პენალტების სერიითღა მოუგო. თუმცა „ჰაიდენჰაიმი“ არც ისე ხელწამოსაკრავი გუნდია – რაც უნდა იყოს, ამ გუნდმა პირველ წრეში გერმანიის თასიდან თვით ბრემენის „ვერდერი“ დაიფრინა. თერთმეტმეტრიანების სერიაში კი „გლადბახის“ მეკარე **მარკ-ანდრე ტერ შტეგენმა** ორი გმირობა ჩაიდინა, ექსბორუსიელი **ანდრეას შპანისა** და **ფლორიან ტაუზენდპფუნდის** დარტყმები მოიგერია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიონხენგლადბახელთა წარმატება პირველ რიგში მისი დამსახურებაა.

| ბორუსია (დ)–დინამო (დ) | 2:0 |
|---|---|

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ლანგერაკი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, კელი – გიოტცე (89. ბლაშჩიკოვსკი), კაგავა (72. ბარიოსი), გროსკროიტცი (61. პერიშიჩი) – ლევანდოვსკი.

**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (31), 2:0 გიოტცე (65)

დორტმუნდის „ბორუსიამ“ „საშინაო დავალება“ ზედმეტი დაძაბვის გარეშე შეასრულა, დრეზდენის „დინამო“ 2:0 დაამარცხა და თასის მერვედფინალში გავიდა. არადა, „დინამო“ ის გუნდია, რომელიც პირველ წრეში „ლევერკუზენთან“ 0:3-ს აგებდა, საბოლოოდ კი 4:3 მოუგო. თუმცა ის, რაც ვიცე-ჩემპიონებთან გამოუვიდათ, დრეზდენელებმა ჩემპიონთან ველარ შეძლეს. **იურგენ კლოპმა** ფაქტობრივად ძირითადი შემადგენლობა ათამაშა, თუ არ ჩავთვლით **რომან ვაიდენფელერის** დასვენებას – დორტმუნდელთა კარს **მიტჩელ ლანგერაკი** იცავდა.

| ფიურტი–პადერბორნი | 4:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 პეკოვიჩი (4), 2:0 ნიოთე (28), 3:0 ოკეანი (35), 4:0 პექთურქი (78)

მეორე ბუნდესლიგის ლიდერმა „ფიურტმა“ თავი არც გერმანიის თასზე შეირცხვინა, თანალიგელი „პადერბორნი“ 4:0 გაანადგურა და მერვედფინალში უპრობლემოდ გავიდა. სხვათა შორის, გერმანიის თასის მერვედფინალში გასვლისთვის საფეხბურთო კავშირი თითოეულ კლუბს 600 000 ევროს აძლევს ხოლმე, რაც „ფიურტისთვის“ მშვენიერი შემოსავალია.

| ჰოფენჰაიმი–კიოლნი | 2:1 |
|---|---|

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-2):** ჰაასი – ბეკი, ვესტერგაარდი, კომპერი, ბრააფჰაიდი – კაიზერი, ვილიამსი – ობასი ოგბუკე, ბაბელი (70. მლაპა) – მუსონა (83. ჯონსონი), შიპლოკი (90. იბერტსბერგერი).

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი – ბრეჩკო, სერენო, ჯემალი, აიხნერი (80. მატუშიკი) – ლანიგი, რიტერი – კლემენსი (80. ფრაისი), ჟაჟალო, პეჟკო (90. პეცონი) – პოდოლსკი.

**გოლები:** 0:1 ჟაჟალო (6), 1:1 ობასი ოგბუკე (40), 2:1 მუსონა (50)

სამშაბათს გერმანიის თასს პირველი ბუნდესლიგიდან ერთადერთი კლუბი გამოეთხოვა და ისიც იმიტომ, რომ ასევე პირველი ბუნდესლიგის წარმომადგენელს ეთამაშებოდა: ზინსჰაიმში, „ჰოფენჰაიმმა“ „კიოლნი“ 2:1 დაამარცხა. არადა, ანგარიში „თხებმა“ გახსნეს და მთელი პირველი კარგად თამაშობდნენ. პირველი ნახევრის მიწურულს კი „ჰოფე“ გამოცოცხლდა და **ჩინედუ ობასი ოგბუკემ** ანგარიში გაათანაბრა. „სოფლელები“ შესვენებიდანაც აღგზნებულები დაბრუნდნენ, მეორე ტაიმის პირველივე წუთებში ეკვეთნენ მეტოქის საჯარიმოს, რასაც 50-ე წუთზე **მუსონას** გოლი მოჰყვა. „კიოლნი“ ბევრს ეცადა, მაგრამ გათანაბრება ველარ შეძლო – ამ წაგებამ „თხების“ მთავარი მწვრთნელი **სტალე სოლბაკენი** „ჩემოდნებზე შემოსვა“.

| ლაიფციგი–აუგსბურგი | 0:1 |
|---|---|

**გოლი:** 0:1 ბრინკმანი (62)

„აუგსბურგის“ სასტარტო შემადგენლობას მთლად მეორე გუნდი არ ეთქმოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მწვრთნელმა **იოს ლუჰუკაიმ** ძირითადი შემადგენლობის არაერთი მოთამაშე დაასვენა. ეს კი, მისი მხრიდან, საკმაოდ ვაჟკაცური გადაწყვეტილება გახლდათ, რადგან „რედ ბულ ლაიპციგი“ ერთი შეხედვით უსუსური გუნდი კი არის, მაგრამ პირველ წრეში ამ კლუბმა თასიდან „ვოლფსბურგი“ გააგდო. აუგსბურგელებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს, ერთადერთი გოლი კი **დანიელ ბრინკმანის** ანგარიშზეა.

| უნტერჰახინგი–ბოხუმი | 1:4 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 დაბროვსკი (7), 0:2 გინჩეკი (21), 1:2 ბიგალკე (66), 1:3 ფედერიკო (72), 1:4 ტაესე (75)

მეორე ბუნდესლიგაში არც ისე კარგად მოასპარეზე „ბოხუმი“ 2007 წლის შემდეგ პირველად გავიდა გერმანიის თასის მერვედფინალში. რურელებმა „უნტერჰახინგი“, რომელსაც „ბოხუმის“ ყოფილი დამრიგებელი **ჰაიკო ჰერლიხი** ავარჯიშებს, 4:1 გაანადგურეს. ორი აზრი არ არსებობს: გერმანიის საფეხბურთო კავშირის მიერ მერვედფინალში გასვლისთვის დაწესებული პრემია, 600 000 ევრო, ფინანსურად შეჭირვებულ „ბოხუმს“ ნამდვილად წაადგება.

| ფორტუნა–მიუნხენ 1860 | 3:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ბენჯამინი (15-საკ. კარში), 2:0 რიოსლერი (39), 3:0 რიოსლერი (91-პენ)

წლებია, ისტორიული გუნდი „მიუნხენ 1860“ მეორე ბუნდესლიგაში „ბუქსაობს“ და ელიტაში დაბრუნებას ვერ ახერხებს, რის გამოც ამ გუნდის ფანები გერმანიის თასზე შორს წასვლის იმედით ცხოვრობენ ხოლმე, მაგრამ „ლომებს“ ახლა ხელი მოეცარათ. მართალია, „მიუნხენს“ დიუსელდორფის „ფორტუნას“ სახით ძლიერი მეტოქე ჰყავდა, მაგრამ 3:0 მაინც ნამეტანია. თავის მხრივ, დიუსელდორფელები გერმანიის თასის მერვედფინალში 1998 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ფორტუნას“ 18 მარტის შემდეგ (0:1 დუისბურგთან) არც ერთი ოფიციალური თამაში არ წაუგია.

მოსალოდნელი ტრანსფერი



მარკო როისი შესაძლოა ბაიერნში გადავიდეს

# ბაიერნმა როისი დაადასტურა

მიუნხენის „ბაიერნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ოფიციალურად დაადასტურა მოარული ხმები იმის შესახებ, რომ რეკორდმაისტერი გერმანიის ნაკრებისა და მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ახალგაზრდა შემტევ ნახევარმცველს, **მარკო როისს** უმიზნებს. ამ დღეებში ბავარიულ გრანდთან მიმართებაში „შალკეს“ გარემარბ **ჯეფერსონ ფარფანის** გვარმაც გაიჟღერა, მაგრამ რუმენიგე პერუელით დაინტერესებას კატეგორიულად უარყოფს, იმას კი ადასტურებს, რომ ფარფანის მრჩეველმა მიუნხენურ კლუბს ეს მოთამაშე არაერთხელ შესთავაზა.

*„შემიძლია დავადასტურო ის, რომ ჩვენ მარკო როისი მართლაც გვაინტერესებს, მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია და არც „ბორუსიას“ შეფებისთვის მიგვიმართავს,* - ამბობს რუმენიგე „შპორტ-ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *როისი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია, გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდა და ფაქტია, რომ დიდი მომავალი აქვს. ჩვენც სწორედ ასეთი მოთამაშეები გვაინტერესებს.“*

რაც შეეხება ფარფანს: მართალია, რუმენიგე ამბობს, ეს უკანასკნელი არ გვაინტერესებსო, მაგრამ „შალკეს“ ბოსის, **კლემენს ტიონიესის** თქმით, ზაფხულში ბავარიელებს ფარფანის ყიდვა უნდოდათ. ჯეფერსონს გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და როგორც გაირკვა, მისმა აგენტმა მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელობას მიმართა და ფარფანი შესთავაზა, მაგრამ რეკორდმაისტერი ახლა როისზეა გადართული, რაც რუმენიგეს გარდა, „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმაც** დაადასტურა.

საინტერესოა მიუნხენური კლუბის იმ მოთამაშეების საკითხიც, რომლებსაც ამ სეზონის ბოლოს კონტრაქტები უმთავრდებათ. რუმენიგეს თქმით, რეკორდმაისტერს ამ მხრივაც კონკრეტული გეგმა აქვს. კალე ამბობს, რომ მიმდინარე სეზონის პირველ წრეში მოლაპარაკებები არც ერთ ფეხბურთელთან არ გაიმართება.

*„მოლაპარაკებებს არც იმ მოთამაშეებთან დავიწყებთ, რომლებსაც კონტრაქტები 2012 ან 2013 წლებში უმთავრდებათ – მათთან ახალი ხელშეკრულებების გაფორმება სეზონის მეორე ნახევარშიც გამორიცხულია. იანვრიდან მხოლოდ იმ ფეხბურთელებს დაველაპარაკებით, რომლებსაც ხელშეკრულებების ვადა ამ სეზონის ბოლოს ეწურებათ,“* - აცხადებს რუმენიგე, რომელიც იმასაც ადასტურებს, რომ „ბაიერნი“ ზამთარში ბრაზილიელი მცველის, **ბრენოს** გაყიდვას არ აპირებს.

შალკე

# პუტინს მანუელ ნოიერის ტრანსფერის ჩაშლა უნდოდა!

**ვლადიმირ პუტინს მანუელ ნოიერის** „შალკედან“ „ბაიერნში“ ტრანსფერის ჩაშლა სურდა და მზად იყო, ამაში დიდი ფულიც გადაეხადა. სად ნოიერი და სად პუტინი? – მათთვის, ვისაც ასეთი კითხვა გაუჩნდა, სიამოვნებით განვმარტავთ: „შალკეს“ გენერალური სპონსორი „გაზპრომია“, რომელსაც პუტინი მართავს.

*„ბაიერნთან“ ამ ტრანსფერზე აპრილში შევთანხმდით,* - „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იხსენებს „შალკეს“ შეფი **კლემენს ტიონიესი**, - *და სწორედ ამის შემდეგ დამირეკა პუტინმა. რუსეთის პრემიერ-მინისტრი მანუელის დიდი ფანია და მთხოვა, ყველაფერი გააკეთე იმისათვის, რომ „შალკემ“ ნოიერი არ დაკარგოსო. სამწუხაროდ, მანუელის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. მას არც ზღაპრული ხელფასი აინტერესებდა და მით უმეტეს, არც პუტინის თხოვნა. ნოიერს „ბაიერნში“ გადასვლა უნდოდა და ვერაფერი შეაჩერებდა.“*

„შალკეს“ სამწვრთნელო შტაბში კი ახალი ცნობილი სახე გამოჩნდა: გერმანიის ნაკრების ყოფილი, 90-იანი წლების ლეგენდარული ფეხბურთელი **თომას ჰესლერი** ამიერიდან გელზენკირხენული კლუბის მთავარ მწვრთნელ **ჰუუბ სტევენსს** დაეხმარება. „იკე“ აქამდე კიოლნში მუშაობდა, საიდანაც სპორტულ დირექტორ **ფოლკერ ფინკესთან** უთანხმოების გამო წამოვიდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბორუსია (დ)

# დორტმუნდს კრასიჩი აინტერესებს

იტალიური გამოცემა „ტუტოსპორტი“ იტყობინება, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ ზამთარში ტურინის „იუვენტუსის“ მარჯვენა გარემარბის, **მილოშ კრასიჩის** არენდით აყვანა სურს. 26 წლის სერბ ნახევარმცველს „ბებერი ქალბატონის“ მთავარ მწვრთნელ **ანტონიო კონტესთან** უთანხმოება ჰქონია, რის გამოც, ჩვენი იტალიელი კოლეგები არ გამორიცხავენ, რომ „იუვენტუსმა“ კრაშიჩი იოლად დათმოს. კონტემ სერბი ნახევარმცველი არც „ჯენოასთან“ (2:2) ათამაშა და არც „ფიორენტინასთან“ (2:1), რაც ეჭვს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს. დორტმუნდელთა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** ინფორმაცია კრაშიჩით დაინტერესების შესახებ არც უარყო და არც დაადასტურა.

Made in GERMANY
REHAU
Unlimited Polymer Solutions
ენერგოდამზოგავი ფანჯრები
დაიცავს სითბოს. დაგიზოგავთ ფულს.


შეიძინეთ ფანჯრები „ენერგოკრედიტით“ და დაიბრუნეთ ღირებულების 15% უკან
ა-3ე ლუქსი რეჰაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
ჯავახიძის 2 ☎ 245 02 05 www. fanjara.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

სერია A IX ტური



მატრის საგოლე დარტყმა

# იუვეს წაუგებელი სერია გრძელდება

IX ტური ტურინში გამართული მატჩით გაიხსნა, სადაც ერთმანეთის პირისპირ პრინციპული მეტოქეები, „იუვენტუსი“ და „ფიორენტინა“ წარდგნენ. **ანტონიო კონტესთვის** ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან „ჯენოასთან“ და „კატანიასთან“ დაკარგული ქულების შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტი კრიტიკის ქარცეცხლში გაახვიეს. ერთი სიტყვით, მასპინძლებს სარეაბილიტაციოდ ჰქონდა საქმე და, მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიზანს მიაღწიეს.

განსაკუთრებით კარგად ტურინელებმა პირველი ტაიმი ჩაატარეს, მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. აქტიურობდნენ ნახევარმცველები: **ანდრეა პირლო** ტრადიციულად არიგებდა ზუსტ პასებს, **სიმონე პეპე** ფლანგიდან ანიოკებდა ფლორენციელთა უკანახაზელებს, **არტურო ვიდალმა** კი შორი მანძილიდან სცადა რამდენჯერმე მეტოქის კარის აღება. არც კლაუდიო მარკიზიოს უნდა დავუკარგოთ გარჯა, რომელიც „ფიორენტინასთან“ პაექრობაში უფრო დაცვაზე გახლდათ ორიენტირებული და წინ წასულ პირლოს დროულად და ეფექტურად აზღვევდა.

პირველ ტაიმში ტურინელების მიერ მოპოვებულმა დიდმა უპირატესობამ მხოლოდ ერთხელ გამოილო შედეგი - მე-13 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც პირლომ კუთხური ჩააწოდა, რასაც თავური დარტყმა და სტუმართა კიპერის მიერ ბურთის მოგერიება მოჰყვა, დამატებაზე ყველას **ლეონარდო ბონუჩიმ** დაასწრო და გახსნა კიდეც ანგარიში, 1:0.

მეორე ნახევარში შედარებით გათანაბრდა თამაში და ფლორენციელებმა შეტევებისთვისაც მოიცალეს. განსაკუთრებით **სტევან იოვეტიჩი** აქტიურობდა, ვინც მძიმე ტრავმა სულ ახლახან მოიშუშა და ენერგიის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. გახსოვთ ალბათ, ჩერნოგორიელმა გასულ ტურში დუბლი მიითვალა აქტივში, რასაც „იუვეს“ კარში გატანილი გოლიც დაუმატა - სტევანმა **მანუელ ვარგასისგან** მიილო შესანიშნავი პასი, ერთი ახედა კარებს და ბურთი მეკარისაგან მარცხენა კუთხეში მოათავსა, 1:1.

ტურინელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაშვებული გოლის შემდეგ არ დაიბნენ, კიდევ უფრო გააქტიურდნენ და სულ რამდენიმე წუთში, კიდევ ერთხელ გავიდნენ წინ - საგოლე ეპიზოდში საოცრად ითამაშა **სიმონე პეპემ**, ურთულეს ვითარებაში, ხუთი ფეხბურთელის გარემოცვაში შეინარჩუნა ბურთი და **ალესანდრო მატრი** ფლორენციელთა კიპერს პირისპირ შეჰყარა - დარტყმა უზადო გამოდგა და 2:1 „ბიანკონერის“ სასარგებლოდ. ამის შემდეგ, გუნდებმა რამდენიმე მეტ-ნაკლებად მწვავე მომენტი გაცვალეს, თუმცა განსაკუთრებულად საინტერესო ალარაფერი მომხდარა და „ვეკია სენიორამ“ მნიშვნელოვანი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. აქვე აღვნიშნოთ, რომ „იუვენტუსისთვის“ ეს მერვე წაუგებელი მატჩი გახლავთ. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის თავკაცი გამოცხადდა...

**სინიშა მიხაილოვიჩი (ფიორენტინას მთავარი მწვრთნელი):** *„მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და ანგარიშის გათანაბრებაც მოვახერხეთ, თუმცა შემდეგ კონცენტრაცია დავკარგეთ და დავისაჯეთ. „იუვე“ ძლიერი გუნდია და ტურინში აუცილებელ გამარჯვებას შეგირდებს ვერ მოვთხოვდი, ამიტომ, ტრაგედიის შექმნა არ ღირს. მთავარია, რომ ტრავმირებული ფეხბურთელები გვიბრუნდებიან, რაც მომავლის ოპტიმიზმს მიღრმავებს. ალბერტო ჯილარდინოსთან და სტევან იოვეტიჩთან ერთად ჩვენი თავდასხმა გაცილებით ძლიერი იქნება“.*

**ანტონიო კონტე (იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი):** *„სამი ქულა ჰაერივით გვესაჭიროებოდა და ძალიან მიხარია, რომ მიზანს მივაღწიეთ. ამაში გულშემატკივრებს მიუძღვით დიდი წვლილი და მინდა მათ საგანგებო მადლობა გადავუხადო. რაც შეეხება თამაშს, ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა: პირველში მთლიანად ჩვენ ვაკონტროლებდით თამაშის მიმდინარეობას, მეორეში კი გაცილებით სერიოზულ წინაამდეგობას წავაწყდით. საბედნიეროდ, თითო ტაიმში თითო გოლი გავიტანეთ, რაც გამარჯვების მოსაპოვებლად საკმარისი აღმოჩნდა“.*

### მილანი-პარმა 4:1

**მილანი (4-4-2):** აბიატი – აბატე (79. მექსე), ბონერა, ტიაგო სილვა, ტაივო – ნოჩერინო, აკვილანი (72. ემანუელსონი), ამბროზინი, ბოატენგი – კასანო, იბრაჰიმოვიჩი (74. რობინიო).

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ფელტშერი, გობი – ვალიანი (55. ბიაბიანი), მორონე, ობიორა (61. ჟადიდი), მოდესტო (72. პელე) – ჯოვინკო – ვალდესი.

**გოლები:** 1:0 ნოჩერინო (30), 2:0 ნოჩერინო (32), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (73), 3:1 ჯოვინკო (78), 4:1 ნოჩერინო (90).

**გაფრთხილება:** ნოჩერინო, ბოატენგი (მილანი).

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 11(7)-5(1); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 53 000

### ატალანტა-ინტერი 1:1

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო, კაპელი, ლუკინი, პელუზო – შელოტო, ჩიგარინი (75. კარმონა), პადოინი, ბონავენტურა – მორალესი (82. მარლუნგო) – დენისი (90. გაბიადინი).

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი (46. კასტელაცი) - მაიკონი, ლუსიო, კივუ, ნაგატომო - ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი – სნეიდერი (62. პაცინი) – სარატე (68. ობი), მილიტო.

**გოლები:** 0:1 სნეიდერი (32), 1:1 დენისი (44).

**გაფრთხილება:** შელოტო, მორალესი – კივუ, სტანკოვიჩი.

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 4(4)-11(4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 22 000

### ჩეზენა-კალიარი 1:1

**ჩეზენა (4-4-1-1):** ანტონიოლი – კომოტო (83. ჩეკარელი), ფონ ბერგენი, ლაურო, როდრიგესი – კანდრევა, გუანა, მარტინესი (87. მალონგა), პაროლო – გეზალი (72. ბოგდანი) - ედერი.

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – პიზანო, კანინი, არიაუდო, აგოსტინი – ბიონდინი (75. რუი სამპაიო), კონტი, ნაინგოლანი – რიბეირო (58. ლარივეი), კოსუ, ნენე (90. იბარბო).

**გოლები:** 0:1 ნენე (20-პენ.), 1:1 კანდრევა (45-პენ.).

**გაფრთხილება:** კომოტო, გუანა – კანინი, კონტი, ნაინგოლანი.

**კუთხური:** 13-1; **ჯარიმა:** 21-19; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9(3)-4(3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 14 000

### კიევო-ბოლონია 0:1

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, ცეზარი, მორერო (49. მანდელი), იოკიჩი – ბრედლი, რიგონი, ჰეტემაი – სამარკო (72. პალოსკი) – პელისიერი, ტერეუ (61. მოსკარდელი).

**ბოლონია (4-3-2-1):** ჟილე – გარიჩი, პორტანოვა, ჩერუბინი, ლორია – პერესი, მუდინგაი, კონე – აკვაფრესკა (83. ვანტაჯატო), რამირესი (72. ხიმენესი) – დი ვაიო (62. პულცეტი).

**გოლი:** 0:1 აკვაფრესკა (53).

**გაფრთხილება:** პორტანოვა, პერესი, ხიმენესი (ბოლონია).

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12(2)-7(3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 11 000

### ჯენოა-რომა 2:1

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – დაინელი, მორეტი (46. ბოვო), მესტო, ანტონელი – როსი, სეიმური (55. კუჩკა), ველოზო, მერკელი – პალასიო, იანკოვიჩი (71. კონსტანტი).

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – პეროტა (71. ბორიელო), ბურდისო, ჰაინცე, ანხელი – გაგო, დე როსი, პიზარო (59. გრეკო) – ბორინი, ბოიანი, ლამელა (71. ოსვალდო).

**გოლები:** 1:0 იანკოვიჩი (38), 1:1 ბორინი (82), 2:1 კუჩკა (89).

**გაფრთხილება:** სეიმური, მერკელი - ბურდისო.

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 7(5)-14(5); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 26 000

### ლაციო-კატანია

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი – კონკო, ბიავა (43. დიაკიტე), სტანკევიჩუსი, რადუ – ლულიჩი, ბროკი, ლედესმა – სკული (70. კოზაკი) – სისე (53. ერნანესი), კლოზე.

**კატანია (4-4-2):** ანდუხარი – სპოლი, ბელუში, ლეგროტალიე, ისკო – ალმირონი, ლოდი, დელ ვეკიო (63. ლანცაფამე), მარკეზე (78. შაკა) – მაქსი ლოპესი (72. კატელანი), ბერგესიო.

**გოლები:** 1:0 კლოზე (17), 1:1 ბერგესიო (63).

**გაფრთხილება:** ლულიჩი – სპოლი, მარკეზე, ლოდი, ბერგესიო, ლანცაფამე.

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 14(4)-8(4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 32 000

### ნაპოლი-უდინეზე 2:0

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა – ინლერი, დოსენა (88. მასკარა), ჯემაილი (80. სუნიგა), მაჯო – ჰამშიკი (74. სანტანა), ლავეცი – კავანი.

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, ბასტა (84. აბდი) – ფერონეტი, ბადუ, პინცი, ასამოა (64. ნიუტონი), არმერო – ტორჯე (46. ფაბრინი), ფლორო ფლორესი.

**გოლები:** 1:0 ლავეცი (20), 2:0 მაჯო (44).

**გაფრთხილება:** პინცი, ასამოა, ტორჯე (უდინეზე).

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 9(4)-11(2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 48 000

### ნოვარა-სიენა 1:1

**ნოვარა (4-3-1-2):** ფონტანა – დელა ფიორე, პაჩი, ლუდი (15. ჩენტურიონი), გარსია (46. ჯემიტი) – ჯორჯი, პორკარი, რიგონი – პინარდი (60. მაძარანი) – ჯედა, მეჯორინი.

**სიენა (4-4-2):** ბრკიჩი – ვიტიელო, პეზოლი, კონტინი, დელ გროსო – ანჯელო (59. ბრიენცა), ვერგასოლა, ბოლცონი, რეჯინალდო (66. მანინი) – კალაიო, გონსალესი (72. ტერცი).

**გოლები:** 0:1 კალაიო (17), 1:1 ჯემიტი (80).

**გაფრთხილება:** პაჩი, მეჯორინი – ვიტიელო, კონტინი, ტერცი.

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12(6)-9(4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 11 000

პალერმო-ლეჩე დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 8 | 4 | 4 | 0 | 13-6 | 16 |
| 2. უდინეზე | 8 | 4 | 3 | 1 | 10-3 | 15 |
| 3. ლაციო | 8 | 4 | 3 | 1 | 12-8 | 15 |
| 4. ნაპოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-5 | 14 |
| 5. მილანი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-12 | 14 |
| 6. კალიარი | 8 | 3 | 4 | 1 | 9-6 | 13 |
| 7. ჯენოა | 8 | 3 | 3 | 2 | 13-11 | 12 |
| 8. რომა | 8 | 3 | 2 | 3 | 9-8 | 11 |
| 9. კატანია | 8 | 2 | 5 | 1 | 10-11 | 11 |
| 10. პალერმო | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 10 |
| 11. სიენა | 8 | 2 | 4 | 2 | 7-5 | 10 |
| 12. ატალანტა | 8 | 4 | 3 | 1 | 11-9 | 9 |
| 13. ფიორენტინა | 8 | 2 | 3 | 3 | 9-8 | 9 |
| 14. კიევო | 8 | 2 | 3 | 3 | 6-7 | 9 |
| 15. პარმა | 8 | 3 | 0 | 5 | 10-17 | 9 |
| 16. ინტერი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-14 | 8 |
| 17. ბოლონია | 8 | 2 | 1 | 5 | 5-12 | 7 |
| 18. ნოვარა | 8 | 1 | 3 | 4 | 11-16 | 6 |
| 19. ლეჩე | 7 | 1 | 1 | 5 | 6-13 | 4 |
| 20. ჩეზენა | 8 | 0 | 3 | 5 | 3-10 | 3 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

### ბომბარდირები

6 - დი ნატალე (უდინეზე), ჯოვინკო (პარმა); 5 - პალასიო (ჯენოა), დენისი (ატალანტა), კლოზე (ლაციო), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

ტრავმა

# გარგანო ლაზარეთში



იტალიურმა სპორტულმა პრესამ „ნაპოლის“ გულშემატკივრებისთვის ერთობ სამწუხარო ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც გუნდის 27 წლის შუახაზელი **ვალტერ გარგანო** მინიმუმ ერთ თვეს იუქმებს. დიახ, ურუგვაელმა ნახევარმცველმა „კალიარისთან“ პაექრობაში ტრავმა მიიღო და 72-ე წუთზე შესაცვლელი შეიქმნა. პირველადი გამოკვლევა იმაზე უფრო ცუდი გამოდგა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა - ოთხი კვირა მოედანს მიღმა იმას ნიშნავს, რომ ვალტერს სერია A-ს რამდენიმე მნიშვნელოვანი თამაშის გარდა, ჩემპიონთა ლიგაზე მიუნხენის „ბაიერნთან“ დაპირისპირების გამოტოვებაც მოუწევს. „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელი **ვალტერ მაძარი** სეხნიის დაშავებით შეშფოთებულია:

*„აშკარად ჩანს და ვერც დავმალავთ, რომ ორ ფრონტზე თანაბარი წარმატებით ბრძოლა გვიჭირს. შესაბამისად, ნებისმიერი ფეხბურთელის ტრავმა ჩვენთვის სერიოზული პრობლემაა. მით უმეტეს, გარგანო ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა გუნდისთვის და როდესაც მოედანზეა, კოლოსალურ სამუშაოს ასრულებს. იმედია, პროგნოზირებულზე ადრე დაუბრუნდება მოედანს“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ესპანეთი. ლა ლიგა. IX ტური

**ზედიზედ** 7 მოგება - ასეთია ხუან იგნასიო მარტინესის „ლევანტეს“ მიღწევა და 9 ტურის შემდეგაც ვალენსიური კლუბი ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. მოკლედ, აღმოსავლური სასწაული გრძელდება. წუხელ „ლევანტემ“ ბოლო წუთებზე გამოგლიჯა გამარჯვება „რეალ სოსიედადს“, რუბენ სუარესის გადამწყვეტი დარტყმის წყალობით ბასკებს 3:2 მოუგო. რუბენმა გოლი 90-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გაიტანა. „რეალმა“ კი იოლად მიაღწია საწადელს, „სამეფო კლუბი“ უკვე 30-ე წუთისთვის დიდი ანგარიშით უგებდა „ვილიარეალს“, თამაში ეგრევე დასრულდა - 3:0.

**ლევანტე-რეალ სოსიედადი 3:2**

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ხავი ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი (73. დელ ორნო) - ფარინოსი (66. ხ. ტორესი), იბორა - ვალდო, ბარკერო (83. რ. სუარესი), ხუანლუ - კონე.

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, დემიდოვი (61. მ. გონსალესი), ი. მარტინესი, დე ლა ბელა - მარიგა, არანბურუ (76. ჩაბი პრიეტო) - ესტრადა (66. ხ. ლორენტე), ზურუტუზა, გრიზმანი - კარლოს ველა.

**გოლები:** 0:1 ესტრადა (3), 1:1 ნანო (56), 2:1 ვალდო (61), 2:2 ი. მარტინესი (87), 3:2 სუარესი (94)

**გაფრთხილება:** ვალდო, კონე - დე ლა ბელა

**გაძევება:** ხუანფრანი (95 სათ. სკამიდან)

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10-19 (4-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 12 400

**ხეტაფე-ოსასუნა 2:2**

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, კატა დიასი, ლოპო, მ. ტორესი - რ. პერესი (71. მიჩელი), ლასენი (71. სარაბია) - პ. რიოსი (53. გუისა), აბდელი, დ. კასტრო - მიკუ.

**ოსასუნა (4-3-3):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, ლოლო, სერხიო, რაიტალა (46. კალეხა) - პუნიალი, ნეკუნამი, რ. გარსია (83. ტიმორი) - სეხუდო (26. დამია), ნინო, იბრაჰიმა.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმა (7), 1:1 გუისა (62), 1:2 იბრაჰიმა (66), 2:2 გუისა (76)

**გაფრთხილება:** ტორესი, პერესი - ფერნანდესი, ნეკუნამი, გარსია, დამია

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 13-6 (4-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 8 000

**რაიო ვალეკანო-მალაგა 2:0**

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** კობენიო - ტიტო, არიბასი, ხორდი, ბოტელიო - მოვილია, ფუეგო - ლ. ბანგურა (47. დანი პაჩეკო), მიჩუ, პიტი (65. ტრაშორასი) - ტამუდო (77. კოკე).

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, ს. სანჩესი, დემიკელისი, ელიზეუ - ტულალანი (72. აპონიო), დუდა (42. მონრეალი) - ხოაკინი, სება ფერნანდესი, კასორლა (72. მარესკა) - ვან ნისტელროი.

**გოლები:** 1:0 ბოტელიო (7), 2:0 ტამუდო (70)

**გაფრთხილება:** ხორდი, ტიტო - ტულალანი, ხოაკინი

**გაძევება:** ელიზეუ (36)

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 15-5 (6-0); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 10 000

**სარაგოსა-ვალენსია 0:1**

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ხუარესი, მატეოსი, დ. სილვა, პარედესი - პონსიო, მეირა - ბარერა (61. ხუან კარლოსი), რუბენ მიკაელი (56. ლაფიტა), ლუის გარსია - პოშტიგა (75. ორტი).

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბრუნო, დეალბერტი, რუისი, ხორდი ალბა - ბანეგა, მ. თოპალი - პიატი (60. ჟონასი), პარეხო (46. მატიო), ფეგული - სოლდადო (82. ადურისი).

**გოლი:** 0:1 ხორდი ალბა (82)

**გაფრთხილება:** მატეოსი, პარედესი, მეირა - გუაიტა, რუისი, თოპალი, ფეგული

**კუთხური:** 0-9; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 7-15 (0-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 28 000

**მალიორკა-სპორტინგი 1:2**

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ჟოაო ვიქტორი, რამისი, ბიგასი - ტისონე (68. ტეხერა), პინა - პერეირა (60. ვიქტორი), ნსუე (77. ალფარო), გ. კასტრო - ჰემედი.

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა (79. დ. სუარესი), ბოტია, ი. ერნანდესი, კანელია - რივერა, ნაჩო კასესი - ტრეხო, ანდრე კაშტრო, დე ლას კუევასი (83. ეგურენი) - ბარალი (46. ბილიჩი).

**გოლები:** 1:0 კასტრო (16), 1:1 ბილიჩი (49), 1:2 ჟოაო ვიქტორი (65 ს.კ.)

**გაფრთხილება:** რამისი, ტეხერა, სენდროსი, პინა - დე ლას კუევასი, ერნანდესი, კასტრო

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 15-10 (7-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 13 000

**რეალი-ვილიარეალი 3:0**

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ჩაბი ალონსო (80. ფაბიო კოენტრაო), ხედირა - დი მარია (70. იოზილი), კაკა, რონალდო - ბენზემა (75. იგუაინი).

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - საპატა, გონსალო, მუსაჩიო, კატალა - კანი, ბორხა ვალერო, ბრუნო, დე გუზმანი (52. კამუნიასი) - მარკო რუბენი (76. სენა), როსი (61. გასპარი).

**გოლები:** 1:0 ბენზემა (4), 2:0 კაკა (10), 3:0 დი მარია (30)

**გაფრთხილება:** ჩაბი ალონსო, კაკა - გონსალო, კატალა, რუბენი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 10-6 (6-5); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 60 000

**ესპანიოლი-ბეტისი** დღეს

**ბილბაო-ატლეტიკო** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევანტე | 9 | 7 | 2 | 0 | 17-5 | 23 |
| 2. რეალი | 9 | 7 | 1 | 1 | 31-6 | 22 |
| 3. ბარსელონა | 9 | 6 | 3 | 0 | 27-4 | 21 |
| 4. ვალენსია | 9 | 5 | 3 | 1 | 12-8 | 18 |
| 5. სევილია | 9 | 4 | 5 | 0 | 10-6 | 17 |
| 6. მალაგა | 9 | 4 | 1 | 4 | 10-13 | 13 |
| 7. ბეტისი | 8 | 4 | 0 | 4 | 10-13 | 12 |
| 8. ვალეკანო | 9 | 3 | 3 | 3 | 10-11 | 12 |
| 9. ესპანიოლი | 8 | 4 | 0 | 4 | 7-11 | 12 |
| 10. ოსასუნა | 9 | 2 | 5 | 2 | 11-17 | 11 |
| 11. ატლეტიკო | 8 | 2 | 4 | 2 | 9-7 | 10 |
| 12. ბილბაო | 8 | 2 | 3 | 3 | 11-11 | 9 |
| 13. მალიორკა | 9 | 2 | 3 | 4 | 8-11 | 9 |
| 14. სარაგოსა | 9 | 2 | 3 | 4 | 9-17 | 9 |
| 15. სოსიედადი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-13 | 8 |
| 16. ხეტაფე | 9 | 1 | 4 | 4 | 8-12 | 7 |
| 17. სპორტინგი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-13 | 7 |
| 18. ვილიარეალი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-17 | 7 |
| 19. რასინგი | 9 | 0 | 5 | 4 | 6-15 | 5 |
| 20. გრანადა | 9 | 1 | 2 | 6 | 2-11 | 5 |

**ბომბარდირები:** 10 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 9 - გონსალო იგუაინი (რეალი); 6 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

# ზედიზედ შვიდი!

## ბარსას ბნელი მხარე და კუპერის უიღბლობა



რომ არა ჩავი, ვინ იცის, რა მოხდებოდა...

ისეთი დუნე თამაში იყო, რომ არა **ჩავის** ვირტუოზული საჯარიმო დარტყმა შეიძლება არაფერიც მომხდარიყო - უფრო ზუსტად კი, ბევრი სალაპარაკო გვექნებოდა, ჩემპიონი ხომ ქულებს ერთ-ერთ აუტსაიდერთან და ობიექტურად ერთ-ერთ ყველაზე სუსტ კლუბთან დაკარგავდა. მაგრამ, რაც არ მოხდა, იმაზე ლაპარაკი არ ღირს - „ბარსამ“ კი უმთავრეს მიზანს მიაღწია, ანდალუსიიდან შინ 3 ქულით გაემგზავრა, **ვიქტორ ვალდესმა** კი უგოლო „მშრალი“ სერია კიდევ 90 წუთით გაზარდა.

ახლა, რაც შეეხება ჩავის - 31 წლის ფეხბურთელს ნელ-ნელა მეორე პლანზე გადასვლა უწინასწარმეტყველეს. იქ **სესკ ფაბრეგასის** ტრანსფერი, **ტიაგო ალკანტარას** დაწინაურება, მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და... ჩავის კარიერაში ყველაზე შედეგიანი ტურნირი აქვს კარიერაში! ჩავი „გრანადასთან“ 392-ედ თამაშობდა „ბარსას“ მაისურით (**მიგელის** რეკორდი მოხსნა). ნახევარმცველი მასპინძელთა საჯარიმოსთან წააქციეს და ანდალუსიელები თავად დაზარალებულმა დასაჯა, ოსტატურად შემოატარა ბურთი კედელს და მეკარე **რობერტოს** გუნდის გადარჩენის შანსი არ დაუტოვა - 1:0.

**პეპ გვარდიოლამ** სასტარტო შემადგენლობაში **ისააკ კვენკა** დააყენა, ეს ალბათ გამაფრთხილებელი მესიჯი იყო **დავიდ ვილიასთვის**, რომელიც ბოლო დროს ვერ თამაშობს პროდუქტიულად. კვენკამ შეტევის მარცხენა ფლანგზე ერთი-ორჯერ დაგვანახა, რომ ნიჭიერია, მაგრამ მეორე ტაიმში ოქროს შანსი გაუშვა ხელიდან, როცა მეკარე რობერტოსთან პირისპირ გავიდა.

„ბარსამ“ ვერ ითამაშა ჩვეულად, რაც დიდწილად **ლეო მესის** სუსტი გამოსვლის ბრალია, ორი კარგი შანსი არგენტინელს მაინც ჰქონდა (ერთხელ მისი დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანეს). მოკლედ, ჯერჯერობით მესი **კუბალას** მიღწევას (194 გოლი) ვერ ასცდა.

ჩემპიონს სამი ქულა ძვირი დაუჯდა - მეორე ტაიმში კოჭი დაიზიანა **პედრო როდრიგესმა** და ის გუნდს საკმაო ხანს დააკლდება. კლუბის ექიმთა ცნობით, ახალგაზრდა ფორვარდი 10-დან 15 დღემდე დაისვენებს. მანამდე მწყობრში ვერც **ალექსის სანჩესი** ჩადგება და, მით უმეტეს, ვერც **იბრაჰიმ აფელაი**. ასე რომ, პეპს შეტევაში პრობლემები აქვს და წინ სესკის ან **ინიესტას** წაწევა მოუწევს.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ფაქტი ისაა, რომ ჩვენ ჩვეულზე ნაკლები სისწრაფით ვუტევდით, თუმცა ბურთის გაკონტროლებას მაინც ვახერხებდით. რას ვიზამთ, როცა სეზონში ამდენი მატჩის თამაში გიწევს, ყოველთვის მაღალ ტემპში ვერ ითამაშებ. როცა მხოლოდ 1:0-ს იგებ, 10 კაცის წინააღმდეგ თამაშობ და გოლი ვერ გაგაქვს, სახიფათოა - ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არ ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშეთ - უბრალოდ, ეს არ იყო ჩვეული „ბარსა“.*

შაბათს „ბარსა“ „კამპ ნოუზე“ **ხოაკინ კაპაროსის** „მალიორკას“ უმასპინძლებს.

„სევილიას“ ჩვევად ექცა, ქულის მისაღწევად რომელიმე ფეხბურთელის გმირობაა საჭირო - წინა ტურში ეს იყო მეკარე **ხავი ვარასი**, ახლა „რასინგთან“ - ფორვარდი **მანუ დელ მორალი** - „ხეტაფეს“ ყოფილმა კაპიტანმა „სევილიას“ მაისურით პირველი დუბლი შეასრულა, გადამწყვეტი კი მისი მეორე გოლი გამოდგა 92-ე წუთზე, რომლის წყალობითაც „რასინგის“ ყოფილი თავკაცი **მარსელინო** კვლავ დაუმარცხებელი დარჩა, ხოლო ახლანდელი, **ექტორ კუპერი** - მოუგებელი - 2:2.

დელ მორალი მადრიდის „ატლეტიკოს“ აღზრდილია, 27 წლისაა და წლეულს ესპანეთის ნაკრებში დებიუტიც ჰქონდა. მოკლედ, მოკრძალებული „ხეტაფეს“ შემდეგ დიდი ასპარეზი მიეცა. სასტარტოში კი დიდწილად **კანუტეს** დისკვალიფიკაციისა და **ნეგრედოს** ტრავმის (ის მეორე ტაიმში გამოჩნდა) წყალობით მოხვდა.

37-ე წუთზე დელ მორალმა საჯარიმოდან ჩამოწოდებულს თავი დაუხვედრა, უფრო ზუსტად ნახტომში დაჰკრა და ანგარიში გახსნა. კუპერის გუნდი არ გამოდგა ჯაბანი - მეორე ტაიმში კონტრშეტევებზე არგენტინელმა **არიელ ნაუელპანმა** და 18 წლის **ხაირო სამპერიომ** ივარგეს. ბოლოს კი ისევ მანუს თავური იყო, რომელმაც მხარეები ზავით გაჰყარა.

**მარსელინო** (სევილია): *„მეტოქე ვერ გვჯობდა, მაგრამ შეტევაში უფრო ყოჩაღობდა. ორი სერიოზული პოზიციური შეცდომა ორ გოლად დაგვიჯდა. მომავალში ეს აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. კიდევ კარგი, გუნდმა ბოლომდე იბრძოლა. ასეთი თამაშით კი მოგება შეუძლებელია“.*

● აშკარა დაუჯერებელი

# ყველაფერს ფულით ვერ იყიდი

დღეს, როცა სპორტი სრულად გადავიდა პროფესიულ რელსებზე, ყველაფერს თუ არა ბევრს ფული წყვეტს, რადგან ის ღირებულებათა ყველაზე ობიექტური შემფასებელია, რაც კი აქამდე ადამიანს შეუქმნია. ყველაზე ობიექტური, მაგრამ არა უნაკლო. ნათელი დასტური კი პრიმერადივიზიონის ახალ სეზონში განვითარებული მოვლენებია, როცა 8 ტურის შემდეგ ლა ლიგას სათავეში მოკრძალებული „ლევანტე“ მოექცა.

მაშინ როცა, „რეალი“, „ბარსელონა“, „მალაგა“, „ატლეტიკო“ და სხვები ვარსკვლავებში გრანდიოზულ თანხებს ხარჯავდნენ (მაგალითად, **რადამელ ფალკაო** „ატლეტიკოს“ 40 მილიონი ევრო დაუჯდა), ეს ვალენსიური კლუბი ტყავიდან ძვრებოდა, „ჩამოფასებულ საქონელს“ ყიდულობდა, თხოულობდა ფეხბურთელებს ან სამუშაოს სთავაზობდა უმუშევრებს.

გახსოვთ ალბათ, როგორი ობსტრუქცია მოუწყეს **კრიშტიანო რონალდოს** ზაგრებში ჩემპიონთა ლიგის მატჩზე ხორვატმა ფანებმა. თამაშის შემდეგ პორტუგალიელი სუპერვარსკვლავის კომენტარი სკანდალური გამოდგა: *„ხალხს ჩემი შურს, რადგან მდიდარი, სიმპათიური და დიდი ფეხბურთელი ვარო“*. ოთხი დღის შემდეგ „რეალს“ ვალენსიაში მოუწია ჩასვლამ, რონალდოს ფეხი სტკიოდა და მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა. „ლევანტეს“ ფანები მას დიდი პლაკატით დახვდნენ: *„ღარიბი, მახინჯი და ნაგავი... ჩვენ ვართ „ლევანტე“*.

„ლევანტეს“ ფანებს იუმორი და ირონია არ დაეწუნებათ, ერთიც და მეორეც უხვად დასჭირდებათ ამ მომქანცველი სეზონის განმავლობაში. კლუბს ლა ლიგაში სიდიდით მე-19 ბიუჯეტი აქვს და ყველაზე ხანდაზმული შემადგენლობა ჰყავს. მოკლედ, ოპტიმიზმის საბაბი, თითქოსდა, არ იყო. მაგრამ ის თამაში „ლევანტემ“ მოიგო, შემდეგ „რაიო ვალეკანო“, „ესპანიოლი“, „ბეტისი“, „მალაგა“ და „ვილიარეალიც“ „სამეფო კლუბის“ გზას გაუყენა.

დავუბრუნდეთ ისევ „ლევანტე“-“რეალს“. მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. არადა, მათ ის 14 ფეხბურთელი, რომელიც ათამაშეს, ჯამში 200 ათასი ევრო დაუჯდათ (**ლეო მესი** და კრიშტიანო რონალდო კვირაში იღებენ ამდენს). 13 მათგანში ევროც კი არ გადაუხდიათ, 200 ათასი კი ბოლო წუთებზე შესული **მიგელ პალიარდოს** ფასია! „რეალმაც“ 14 ფეხბურთელი ათამაშა იმ დღეს, რომლებიც ჯამში 390 მილიონი ევრო დაუჯდა, 389 მილიონ 800 ათასით მეტი!!!

ახალი მწვრთნელი **ხუან იგნასიო მარტინესიც** არაპოპულარული არჩევანია ფანებს შორის, ის ხომ **ლუის გარსიას** ცვლიდა, ძალზე პერსპექტიულ სპეციალისტს. და ვინ იყო, ხუან იგნასიო - არც პოპულარული, არც გამოცდილი და არც ახალგაზრდა... სეზონში ხუთი გოლის გამტანი **ხუანლუ** ამბობს, რომ რაც მოხდა, სეზონის დაწყების მერე აუხსნელია, მხოლოდ სიტყვა საოცრებას თუ მოვიშველიებთ.



როცა ხუანლუ ამბობდა, „ბარსას“ ან „რეალის“ ერთი ვარსკვლავის ჯამაგირი ჩვენ მთლიანად გამოგვკვებავდაო, კი არ ხუმრობდა, ეს იყო ფაქტის კონსტატაცია - „ლევანტეს“ ვარსკვლავის შემოსავალი წელიწადში დაახლოებით 350 ათასი ევროა, თუმცა უმეტესობას კიდევ უფრო ნაკლები ხელფასი აქვს.

**სერხიო ბალესტეროსი**, „ლევანტეს“ 36 წლის კაპიტანი ნათელი დადასტურებაა კლუბის პოლიტიკის. უფრო ზუსტად ამ ფეხბურთელის ისტორია: ბალესტეროსმა კარიერა „ბაყაყებში“ დაიწყო. ის **იუპ ჰაინკესმა** შეამჩნია და „ტენერიფეში“ წაიყვანა. შემდეგ იყო „რაიო ვალეკანო“, „ვილიარეალი“ და „მალიორკა“. 2008 წელს კი ბალესტეროსი „ჩამოალაბორანტეს“... ის ქვედა ლიგაში მოთამაშე „ლევანტეს“ დაუბრუნდა. ახლა სერხიო „ლევანტეს“ ფანების კერპია, რომლებიც სერიოზულად მოითხოვენ, ვეტერანს ესპანეთის ნაკრებში თამაშის შანსი მიეცეს. სხვათა შორის, ბალესტეროსი კლუბის პრეზიდენტ **კიკო კატალანზე** უფროსია.

„მალაგასთან“ მატჩში „ლევანტემ“ ხანდაზმულობის რეკორდი დაამყარა ესპანეთის ჩემპიონატში - სასტარტო შემადგენლობა ჯამში 346 წლის იყო (საშუალოდ 31,45 წლის). ეს რიცხვი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, შემადგენლობაში ახალ **ბუსკეტსად** მონათლული 23 წლის **ვისენტე იბორა** რომ არ მოხვედრილიყო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ძიუდო

# შემოდგომა და დასათვლელი წინილები

## ოლიმპიურ ლიცენზიებში წლეულს აშკარად ჩამოვრჩით

ოლიმპიური ლიცენზიები

### ჯერ მხოლოდ შვიდი

შემოდგომაც იწურება და წლევანდელი სალიცენზიო ტურნირებიც, თუმცა ქართული ოლიმპიური გუნდის ყულაბაში უჩვეულოდ მწირი მონაგარია - მხოლოდ და მხოლოდ 7 საგზური, როცა ადრე თამაშებისწინა სეზონის ამ პერიოდში ლიცენზიების უმეტესობა უკვე ჯიბეში გვედო. ამ 7 საგზურიდან ერთი ტყვიის სროლაშია მოპოვებული - ის, ტრადიციულად, ყველაზე ადრე ამჯერადაც ნინო სალუქვაძემ დაიმსახურა, ერთიც მშვილდოსანთა მონაგარია - ქრისტინე ესებუამ მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალთან ერთად დაისაკუთრა, დანარჩენი 5 კი მოჭიდავეების დამსახურებაა. მოჭიდავეთაგან 1 ბერძნულ-რომაულ ნაკრებზე მოდის - ასევე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ მანუჩარ ცხადაიაზე (66), ხოლო 4 თავისუფალი სტილით მოასპარეზეებს ერგოთ - მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსნებს: დავით ხუციშვილს (74), დავით მარსაგიშვილს (84), დავით მოძმანაშვილს (120) და მეხუთეზე გასულ ევროპის ვიცე-ჩემპიონ მიხეილ ზარქუას (60). სამწუხაროდ, მსოფლიოს პირველობაზე უსაგზუროდ დარჩნენ მოკრივეები, ძალოსნებს კი უახლოეს პერიოდში ელოდებათ ანალოგიური ტურნირი. სალიცენზიო სიაში ლომის წილი მოჭიდავეებზე კი მოდის, მაგრამ მათგან წლეულს მაინც ბევრად მეტს მოველოდით. განსაკუთრებით - ბერძენ-რომაელთაგან. ამ შემოდგომაზე ხელმოცარულებსა და აგრეთვე სხვა სახეობების წარმომადგენლებს (მძლეოსნობა, საწყლოსნო სახეობები, ჩოგბურთი...) შანსი გაისად ისევ მიეცემათ. იმედია, მას წლევანდელზე ბევრად უფრო შედეგიანად გამოიყენებენ.

### ძიუდოს შანსები

როგორც ხედავთ, ჩამონათვალში არ არიან ძიუდოისტები, რადგან მათთან ოლიმპიადის მონაწილეთა გამოვლენა ცოტა სხვანაირად ხდება - ეს ორწელიწადნახევარზე გაწერილი მთელი პროცესია, რომელიც მრავალ შეჯიბრებას მოიცავს. მათზე ნაჩვენები შედეგებით დგება საერთო რეიტინგი, სადაც 22 ქვეყანა და არა მონაწილე იღებს საგზურს - იმ შემთხვევაში, თუ 22 მოწინავეს შორის ერთი ქვეყნის რამდენიმე წარმომადგენელი მოხვდება, მაშინ ოლიმპიურ რეიტინგში საუკეთესოს შედეგი შედის, სხვები კი უკონკურსოდ რჩებიან, თუმცა არა უშანსოდ - ოლიმპიადაზე მოხვედრის იმედი მათაც რჩებათ, რადგან ამ შემთხვევაში მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვის წაიყვანს თამაშებზე, ოღონდ აქ ერთი აუცილებელი პირობაა - ის შემცვლელიც უნდა შედიოდეს იმ 22 კაცში. ამ 22-ს რეგიონული კვოტებიც ემატება, სადაც ევროპას 14 ადგილი ეკუთვნის. ამჟამად ლიცენზიების მხრივ ყველაზე კარგი ვითარება მაინც ძიუდოისტთა ნაკრებში გვაქვს, რადგან საგზურის მოპოვების შანსს შვიდივე წონაში ვინარჩუნებთ - ხუთში შევდივართ 22-კაციან სიაში, 2-ში კი რეგიონულ კვოტაში ვხვდებით. იმ ხუთიდან რამდენიმეს განაღდებული აქვს საგზური - სასწაული უნდა მოხდეს, ისინი ხელცარიელნი რომ დარჩნენ, მაგრამ რადგან სალიცენზიო ტურნირები ჯერ ისევ გრძელდება, კონკრეტულ გვარ-სახელებს გადაჭრით ვერ დავასახელებთ. მით უფრო, ოლიმპიადამდე წელიწადნახევრით ადრე ჩატარებულ შეჯიბრებებში ქულები ნახევრდება ანუ 50%-იანი ხდება, ოლიმპიურ ჩათვლაში კი მათგანაც და 100%-იანთაგანაც 5-5 საუკეთესო შედეგი შედის.

### ...და პოზიციები

60 კილოგრამში ყველაზე მყარი პოზიცია გვაქვს - **ამირან პაპინაშვილი** მსოფლიოს რეიტინგში მეშვიდეა, ოლიმპიურში კი 708 ქულით - მეხუთე. ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანი** 360-ით ოლიმპიურ სიაში მე-17 ადგილს იყოფს. სალიცენზიო ზონაში 285 ქულით **დავით ასუმბანიც** შედის, რეიტინგს კი 2290 ქულით მყარად ლიდერობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, უზბეკი **რიშოდ სობიროვი** შესაშური მაჩვენებლით - ბოლო ორი მსოფლიოს გარდა, წლეულს მოიგო მასტერსი, პარიზისა და მოსკოვის "დიდი მუზარადები". შარშანდელ ქულებს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ ამითაც კი გაინაღდებდა ლიცენზიას. მას კვალში უდგანან მსოფლიოს პირველობების ფინალში წლეულს და შარშან მასთან დამარცხებული ფალავნები, იაპონელი **ჰიროაკი ჰიროაკა** და ჩვენი უკრაინელი თანამემამულე **გიორგი ზანთარაია.** პაპინაშვილს ოლიმპიურ რეიტინგში რუსი ევროპის ჩემპიონი **არსენ გალსტიანიც** უსწრებს.

**66 კგ**

66-ში **შალვა ქარდავა** მსოფლიოს რეიტინგში 200 ქულით მხოლოდ 42-ეა და სალიცენზიო 22-ში ვერ ხვდება იმის მიუხედავად, რომ წინა 41 კაციდან ბევრი ერთი და იმავე ქვეყანას წარმოადგენს, მაგრამ შედის ევროპის 14-კაციან კვოტაში - ამ სიაში სულაც მეორეა. სამწუხაროდ, ამ წონაში სხვა დამაიმედებელი არაფერია - რეიტინგში ქარდავას ისევ ასუმბანი მოსდევს, რომელიც 40 ქულით 107-ეა. იმედია, ქარდავა მალე მოიშუშებს ტრავმას, ვარჯიშსაც განაახლებს და რეიტინგში ქულათა მარაგსაც გაიხვავრიელებს.

**73 კგ**

ევროპის კვოტით ხვდება რეიტინგში **ნუგზარ ტატალაშვილიც** - მისი 228 ქულა მსოფლიოს რეიტინგში 38-ე შედეგია და 22 კაცში ვერ შედის, მაგრამ ევროპულ სიაში მეექვსეა. ამ კვოტაში 176-ქულიანი **ამბაკო ავალიანიცაა,** თუმცა ტატალაშვილის დაწინაურების გამო ის უკონკურსოდ რჩება.

**81 კგ**

ბოლო დროს ცოტა დავთმეთ პოზიციები 81-ში, სადაც ჩვენგან საუკეთესო **ავთანდილ ჭრიკიშვილი** 344 ქულით მსოფლიოს ჩამონათვალში 28-ეა, ოლიმპიურში - მე-19, 292-იანი **ლევან წიკლაური** კი, შესაბამისად, 35-ე და 21-ე. აღსანიშნავია, რომ ჭრიკიშვილი შარშან ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდა და სალიცენზიო ტურნირებში არც უასპარეზია, მხოლოდ წლევანდელი შედეგები ეთვლება. მან 100-100 ქულა თბილისისა და ბუქარესტის მსოფლიოს თასების მოგებისთვის მიიღო, 60-60 - მსოფლიოს პირველობაზე და ძიგორო კანოს მემორიალზე გამოსვლისთვის, 24 კი ბაქოს „დიდ პრიზზე" მოიპოვა. ამ წონის რეიტინგს 1870 ქულით ასევე დამაჯერებლად ლიდერობს კორეელი **ჯაე-ბუმ კიმი,** რომელიც, სობიროვის მსგავსად, მსოფლიოს ბოლო ორი პირველობის გამარჯვებულია. წლეულს მსოფლიოს გარდა მან აზიის პირველობა და პარიზის უპრესტიჟულესი შეჯიბრებაც მოიგო. მეორეა 73-დან ამონაცვლებული ბრაზილიელი ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი და მსოფლიოს ვერცხლ-ბრინჯაოს ბრაზილიელი მფლობელი **ლეანდრო გილეირო** 1520-ით, რომელიც 81-შიც ისეთივე წარმატებით ჭიდაობს, როგორც - ძველ წონაში, მესამე კი 1000-იანი იაპონელი **ტაკაჰირო ნაკაიაა.**

**90 კგ**

90-შიც შეგვიძლია გულდამშვიდებით დაველოდოთ ლონდონის ოლიმპიადას - **ვალერი ლიპარტელიანი** 746 ქულით მსოფლიოს რეიტინგში მეცხრეა, ოლიმპიურში - მეშვიდე. ის ადრეც მოწინავეთა შორის შედიოდა, მაგრამ აბუ დაბის „დიდი პრიზის" მოგებისთვის მიღებულმა 200-მა ქულამ კიდევ უფრო დააწინაურა. მსოფლიოს რეიტინგში 49-ეა **ზვიად გოგოჭური,** რომელსაც ჩამონათვალში სულ ოთხი შედეგი მოეძევება, ლომის წილი კი ბუქარესტის მსოფლიოს თასის მოგებით მიღებულ 100 ქულაზე მოდის. ცუდია, ხელის ტრავმის გამო ჭიდაობას რომ ვერ ახერხებს. ამ წონის რეიტინგს ჩვენი გაბერძნებული თანამემამულე **ილიას ილიადისი** ლიდერობს 1626 ქულით, რომელიც ასევე მსოფლიოს ბოლო ორი პირველობის გამარჯვებულია. ისიც მშვენიერ სეზონს ატარებს და ოლიმპიადას გამორჩეული ფავორიტის რანგში ხვდება - მსოფლიოს გარდა, წლეულს მოიგო ევროპის პირველობა და მოსკოვის „დიდი მუზარადი", მეორე იყო მასტერსზე. აქ მეორე ადგილის და ლიცენზიისთვის ცხარე ბრძოლა აქვთ გაჩაღებული იაპონელებს, მსოფლიოს ორგზის მესამე პრიზიორი, 1506-იანი **ტაკაში ონო** ჯერჯერობით უსწრებს 1428-იან **დაიკი ნიშიამას,** ვისაც ილიადისმა მსოფლიოს ორივე ფინალი მოუგო. ოლიმპიურ რეიტინგში მესამეა აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ელხან მამადოვი,** მაგრამ, შესაძლოა, მას კონკურენცია საკუთარ გუნდშივე შეექმნას. მოგეხსენებათ, აბუ დაბიში ამ წონაში იჭიდავა და მესამეზეც გავიდა **ელნურ მამადლი,** რომელმაც კარიერა 73-დან დაიწყო. სწორედ იქ მოიპოვა ყველაზე დიდი წარმატებები - მსოფლიოს ვერცხლი 2007-ში და პეკინის ოლიმპიადის ოქრო 2008-ში (აღსანიშნავია, რომ ორივე ფინალში სამხრეთკორეელ **კი ჩუნ ვანგს** შეხვდა). შარშან მან 81-ში გადაინაცვლა, სადაც ევროპის ჩემპიონიც გახდა, მოიგო ქაიროს მსოფლიოს თასი და ბაქოს მასტერსი, დიუსელდორფის „დიდ პრიზსა" და რიო დე ჟანეიროს „დიდ მუზარადზე" კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. დაგვეთანხმებით, მშვენიერი შედეგებია, მაგრამ 81-ში გადმოსვლისთანავე გამოამჟღავნა 90-ში გადასვლის სურვილი, რასაც იქაური ნაკრების მწვრთნელი **აგიარ ახუნდზადე** არ მიესალმა. ამის მიუხედავად, მამადლიმ აბუ დაბიში მაინც იჭიდავა ახალ წონაში, სადაც მედალიც მოიპოვა და მამადოვსაც გაუსწრო. შინ დაბრუნებულმა ადგილობრივ მედიასთან საუბარში 90-ში საბოლოოდ გადასვლის შანსი არ გამორიცხა, მაგრამ აქ საქმეში ოლიმპიური რეიტინგის ამბავი აუცილებლად ჩაერევა - ამ წონაში პირველად გამოვიდა სალიცენზიო ტურნირზე, 81-ში კი რეიტინგში მეოთხე ადგილზეა და საგზური განაღდებული აქვს. 90-ში იქნებ ქულები კიდევ დააგროვოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ერთ სპორტსმენს მხოლოდ ერთ წონაში შეუძლია ლიცენზიისთვის ბრძოლა. ამდენად, 90-ში რომც გაინაღდოს ოლიმპიადა, მაშინ 81-ში ვერ გამოვა. არადა, იქ აზერბაიჯანელებს სხვა რეალური კანდიდატი არ ჰყავთ და ისე გამოვა, ერთ საგზურს ნებაყოფლობით დაკარგავენ, ამაზე კი, არა მგონია, წავიდნენ.

**100 კგ**

ოლიმპიურ რეიტინგში 100-შიც მყარი პოზიცია გვაქვს - ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლომერ ჟორჟოლიანი** 620 ქულით მე-12 ადგილზეა. 22-კაცში შედის **ირაკლი ცირეკიძეც** - მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი 454 ქულით მსოფლიოს მასშტაბით წონაში 23-ეა, ოლიმპიურში კი მე-17 ადგილს იყოფს. საინტერესოა, რომ მან წლეულს მხოლოდ სამ ტურნირში იჭიდავა - ევროპაზე და მსოფლიოზე მესამე იყო, ამათ გარდა კი გერმანიის „დიდ მუზარადზეც" იჭიდავა. ჟორჟოლიანს ბევრად მეტი სტარტი ჰქონდა, თუმცა ამათში ლონდონის წამსვლელის გამოსავლენად მთელი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა.

**მძიმე წონა**

მძიმე წონაში მსოფლიოს რეიტინგში **ზვიად ხანჯალიაშვილი** 23-ეა 370 ქულით, მაგრამ წინმყოფთაგან რამდენიმე ერთი და იმავე ქვეყნის წარმომადგენელია. ამიტომ ჩვენებური ოლიმპიურ სიაში მე-19 ადგილზეა. მსოფლიოს ჩამონათვალში 34-მდე დაქვეითდა 260-იანი **ადამ ოქრუაშვილი,** თუმცა ჯერჯერობით ისევ შედის იმ 22-ში, მაგრამ ხანჯალიაშვილს უკვე ძალიან ჩამორჩა.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



# სამეულში ადგილს ინარჩუნებენ

თურქულ ქოჯაელში გრძელდება 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადა 26 გუნდის მონაწილეობით. გუშინ ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. მე-4 ტურში სრული ფიასკო განიცადა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც სომხეთთან 0:4 წააგო (**ირაკლი ბერაძე, შალვა ნადირაშვილი, გუგა ბურდული** და **ნინო ხომერიკი,** შესაბამისად, კარენ გრიგორიანთან, ჰოვანეს გაბუზიანთან, ტიგრან არუთინიანთან და ზოჰრაკ აპრესიანთან დამარცხდნენ). ტურის დანარჩენი შეხვედრები მეწინავეთა შორის ასე დამთავრდა: ინდოეთი-აზერბაიჯანი 2:2, რუსეთი-შვეიცარია 4:0, ჩეხეთი-ყაზახეთი 2.5:1.5, სლოვაკეთი-თურქეთი (თეთრები) 1:3, ირანი-თურქეთი (წითლები) 3,5:0,5.

მეხუთე ტურში ქართველი მოჭადრაკეები თურქებს (თეთრები) დაუპირისპირდნენ და 3,5 ქულა აართვეს: ბერაძემ, ნადირაშვილმა და ხომერიკმა გუნ სუმერს, მუსტაფა ოზდოვერსა და გემ გუნდოგანს სძლიეს, ბურდული კი იბრაჰიმ ბულდუკს დაუზავდა. ოთხი ტურის შემდეგ ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერი სომხეთის ნაკრები ოლიმპიადის რეიტინგფავორიტ რუსეთის გუნდთან დამარცხდა- 1,5:2,5 (გრიგორიანი-დანიილ დუბოვი 0.5:0.5, ვლადიმირ ფედოსეევი-გაბუზიანი 0:1, არუთინიანი-იური ელისეევი 0:1, კონსტანტინ ნიკოლოგორსკი-აპრესიანი 1:0). აზერბაიჯანმა მეხუთეშიც დაზავება არჩია, ამჯერად - ირანთან, ჩეხეთმა და ყაზახეთმა ერთნაირი ანგარიშით - 2.5:1.5 აჯობეს ინდოეთსა და ინგლისს.

ხუთი ტურის შემდეგ 4-4 მოგება აქვთ და პირველ-მეოთხე ადგილებს იყოფენ სომხეთი (მოჭადრაკეთა საერთო მონაგარი 16 ქულა), რუსეთი (14,5), საქართველო (13,5) და ჩეხეთი (12), სამი მოგება და ორი ფრე აქვს აზერბაიჯანს (13 ქულა).

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: რუსეთი-საქართველო, აზერბაიჯანი-სომხეთი, ირანი (12)-ჩეხეთი (12), ყაზახეთი (11,5)-მალაიზია (12), სლოვაკეთი (11)-ინდოეთი (11,5), შვეიცარია (11)-თურქეთი (წითლები, 11)...

**ვაჟა დანელია**

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობს მსოფლიოს ჩემპიონს სამბოში ბადრი ჯანიაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

*პანაშვიდი 28 ოქტომბერს, გამოსვენება შაბათს, 29 ოქტომბერს, 14 საათზე*

*კასპის რაიონის სოფელი ზემო ჩოჩეთი.*

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

# ქართული სპორტის ქრონიკები

## ქართული სპორტი

### ქართულ-აფხაზური სპორტი


საიდა გუმბა


ვიქტორ სანეევი

# განსხვავებულის და მსგავსის

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები საერთო ფესვებითაა ნასაზრდოები. შორეული წარსულიდან ერთ მიწა-წყალზე მცხოვრები ამ ადამიანების ყოფაში იშვა ერთმანეთისგან განმასხვავებელიც და მსგავსიც. ეს ეხებოდა ფიზიკური აღზრდის ისეთ ფუძემყარ ფენომენს, როგორიცაა ხალხური თამაშობები და სპორტის ეროვნული სახეობები. აქაც მსგავსება-განსხვავება მხოლოდ ადუღაბებდა ურთიერთობას, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ახალგაზრდობის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ აღზრდაში. ყველა ხალხური თამაშობა და ეროვნულ წიაღში აღმოცენებული სპორტის სახეობა ნერგავდა ზნეკეთილობას, აღვივებდა რაინდულ სულს. საერთო ჯამში ეს იყო აგრეთვე წრთობა სამშობლოს დამცველ მეომართა.

XX საუკუნის ქართულ-აფხაზურ სპორტულ მიღწევებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მძლეოსანთა, მოჭიდავეთა, ტყვიის მსროლელთა, ფეხბურთელთა, ფრენბურთელთა, ცხენოსანთა და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა ერთობლივი წვლილი.

დღეიდან „ქართული სპორტის ქრონიკებში" გაგაცნობთ აფხაზეთის სპორტსმენების მონაგარს საქართველოს და სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების სარბიელზე (მასალების შეგროვებაში დახმარება გაგვიწია ქართულ-აფხაზური სპორტის ვეტერანმა მუშაკმა **ამირან ზუხბაიამ**, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ოლიმპიური თამაშებით დავიწყოთ:

1. **ვიქტორ სანეევი** - მძლეოსნობა, სამგზის (1968, 1972, 1976) ჩემპიონი და მეორე პრიზიორი (1980)
2. **საიდა გუმბა** - მძლეოსნობა, მესამე პრიზიორი (1980)
3. **ლუკა (ელდარ) კურტანიძე** - თავისუფალი ჭიდაობა, ორგზის (1996, 2000) მესამე პრიზიორი
4. **ბორის ნიკიტინი** - ცურვა, მესამე პრიზიორი (ესტაფეტა 4X200 მ) და მე—16 (400მ) ადგილი (1956); 1960 წლის ოლიმპიადა მე-8 ადგილი (ესტაფეტა 4X200 მ)
5. **მარლენ პაპავა** - სროლა, 24-ე ადგილი (1976)
6. **ვლადიმერ დგებუაძე** - ძიუდო, X ადგილი (1996)
7. **გურამ მჭედლიძე** - თავისუფალი ჭიდაობა მე-14 ადგილი (2000)

სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში (1980) ჩემპიონი გახდა სოხუმელი **ვლადიმერ დორონოვი**, რომელიც იმ ხანებში რუსეთში გადავიდა და იქ ჯერ ცსკ-ს, შემდეგ კი ლენინგრადის „სპარტაკის" წევრი იყო.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

*გაგრძელება იქნება*

### შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** ვარ 14 წლის. მყავს თანატოლი ინვალიდი მეგობარი. ვიცით, რომ ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები, მათ შორის ოლიმპიური თამაშები ასეთი ადამიანებისთვის. გვინდა ვიცოდეთ, რა კატეგორიის ინვალიდებისთვის ეწყობა ასეთი ასპარეზობები, და სპორტის რომელი სახეობები შედის მის პროგრამაში?

**კოკა შალამბერიძე**
ქუთაისი

**პასუხი:** თქვენ მხედველობაში გაქვთ პარალიმპიური თამაშები, რომელიც ოლიმპიური თამაშების მსგავსი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებაა თანდაყოლილი ან შეძენილი ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებისთვის. ეს თამაშები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ, იქვე, სადაც ოლიმპიური თამაშები იმართება. ასპარეზობის შემოღების იდეა უკავშირდება ინგლისელი ნეიროქირურგის ლუდვიგ გუტმანის სახელს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქ ეილსბერიში, სტიქ-მენდევილის ჰოსპიტლის ბაზაზე ხერხემლის ტრავმების სამკურნალო ცენტრი დააარსა. მან პირველმა ჩართო აქტიური სპორტი იმ ჯარისკაცთა რეაბილიტაციის პროცესში, რომლებსაც ზურგის ტვინი ჰქონდათ დაზიანებული. 1948 წლის 28 ივლისს სტოქ-მენდევილის ჰოსპიტალში გაიმართა პირველი შეჯიბრება მშვილდოსნობაში ინვალიდებს შორის. მონაწილენი სარბიელზე ეტლებით გამოვიდნენ. ტურნირი სიმბოლურად დაემთხვა ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნის თარიღს. 1956 წელს ლუდვიგ გუტმანმა შეიმუშავა ქარტია, რომელიც საფუძვლად დაედო ინვალიდთა სპორტის განვითარებას მთელ მსოფლიოში. 1960 წელს, რომის XVII ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე გაიმართა ინვალიდთა საერთაშორისო შეჯიბრება ერთდროულად რამდენიმე სპორტულ დისციპლინაში. მონაწილეობდა 23 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი.



1976 წელს შვეიცარიაში გაიმართა ზამთრის პირველი თამაშები ინვალიდებისთვის. 1988 წელს, სეულის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, ორგანიზატორებმა ოლიმპიური დარბაზები და სტადიონები ინვალიდებს დაუთმეს. აქედან მოყოლებული, ამ შეჯიბრებას პარალიმპიური თამაშები ეწოდება. 1982 წელს შეიქმნა ინვალიდთა სპორტის მსოფლიო ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი, რომელმაც ხელი შეუწყო პარაოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციასა და გაფართოებას. 1989 წლიდან ჩამოყალიბდა საერთაშორისო პარალიმპური კომიტეტი. დღეს მის შემადგენლობაში შედის 166 ქვეყნის ეროვნული პარალიმპური კომიტეტი და 5 საერთაშორისო სპორტული ფედერაცია. პარალიმპელები მონაწილეობენ 20-ზე მეტ სპორტულ დისციპლინაში. მათ შორისაა: მშვილდოსნობა, ტყვიის სროლა, მძლეოსნობა, ძალოსნობა, ველოსპორტი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჰოკეი, ფარიკაობა, თხილამურობა, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა სახეობები.

### მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# თემურ ხუბულური



დაიბადა 24.04.1955, სკრა, გორი. ძიუდო (95 კგ). ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი (1979, 81), მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1980), ევროპის ორგზის ჩემპიონი (1976, 77) და მეორე პრიზიორი (1981), ევროპის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1977), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი (1979), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1979, 82), საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1976), საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1979). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

### სათავეები


ლეილა მესხი

# ჩოგბურთი

საქართველოში ჩოგბურთის განვითარება დასაბამს იღებს XIX საუკუნის დამლევიდან, როცა ინგლისის ფირმა Forward and salinas-ის მმართველმა **ჯონ ტარსეიმ** ჭიათურის მკვიდრთ ახალი თამაში გააცნო. გამოჩენილი ჩოგბურთელისა და პედაგოგის, **იან ჰომერის** გადმოცემით, საჩოგბურთო სანახაობას **აკაკი წერეთელიც** დასწრებია ოჯახის წევრებთან ერთად. ჭიათურიდან ჩოგბურთი გავრცელდა ჯერ თბილისსა და ბათუმში, მოგვიანებით კი სხვა ქალაქებშიც. 1910 წელს თბილისში დაფუძნდა ჩოგბურთის პირველი საზოგადოება, რომელმაც ორ წელიწადში საქმიანობა დროებით შეწყვიტა, 1916 წელს კი კვლავ განაახლა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდანვე ქართულმა ჩოგბურთმა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა ყოფილ სსრკ-ში. 30-იან წლებში საკავშირო სარბიელზე თავი გამოიჩინეს **არჩილ მდივანმა** და **თამარ გოგოლაურმა**, მოგვიანებით - **ბორის კრუპენიკოვმა, ვანო ელერდაშვილმა, გივი კოკაიამ, ვიქტორ ურაევსკიმ.** 60-იანი წლებიდან გამოჩნდა ნიჭიერ ჩოგბურთელთა ახალი თაობა, რომლებიც საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოდიოდნენ.

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია** დაფუძნდა 1991 წლის 7 ივნისს.

1993 წლიდან ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის წევრია.

თანამედროვე ჩოგბურთის ისტორია იწყება 1874 წლიდან, 1877 წელს კი სათავე დაედო მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად აღიარებულ უიმბლდონის ტურნირს. ევროპის ჩემპიონატი იმართებოდა 1969-83 წლებში; დევისის თასი თამაშდება 1900-იდან, ფედერაციის თასი _ 1963-იდან; მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება 1978-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1896-1924 და 1988-იდან.

საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1913 წლის 1 მარტს პარიზში.

### ვინ რა თქვა...

„რაოდენ ბედნიერები ხართ ქართველები, რომ გყავთ ისეთი უნივერსალური და უნიკალური ნახევარმცველი, საერთაშორისო კლასის ისეთი ბრწყინვალე დიდოსტატი, როგორიც არის „დინამოს" კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძე. ჩვენი ხანგრძლივი საფეხბურთო პრაქტიკის მანძილზე მსოფლიოს სტადიონებზე იშვიათად შეგვხვედრია ესოდენ ფართო დიაპაზონის ფეხბურთელი".

„ნაპოლის" მწვრთნელი ბრუნო პესაოლა, თბილისი

### ფოტომატიანე



**ტრიფონ (ბიჭიკო) მესხი** (27.10.1928, ყვარელი - 12.11.1993, თბილისი) ქართული ფარიკაობის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელი იყო. მისი აღზრდილები არიან: ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა, მორის სახვაძე (სურათზე მწვრთნელთან ერთად).

ფოტო „ლელოს" არქივიდან

### თარიღი

**27 ოქტომბერი-2 ნოემბერი**

**27. X. 1928 წ.** დაიბადა **ტრიფონ (ბიჭიკო) მესხი** - ფარიკაობა (მწვრთნელი). გარდაიცვალა 1993 წელს.

**27. X. 1915 წ.** დაიბადა **ვლადიმერ სვეტილკო** - ძალოსნობა. გარდაიცვალა 1996 წელს.

**27. X. 1976 წ.** დაიბადა **ბესიკ ვარძელაშვილი** - კრივი.

**28. X. 1950 წ.** დაიბადა **ამირან მუზაევი** - ძიუდო.

**29. X. 1950 წ.** დაიბადა **ნოდარ მოდებაძე** - თავისუფალი ჭიდაობა.

**30. X. 1949 წ.** თბილისის „სპარტაკის" საფეხბურთო გუნდმა მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური.

**30. X. 1906 წ.** დაიბადა **ლევან ფალავანდიშვილი** - კალათბურთი. გარდაიცვალა 1997 წ.

**30. X. 1961 წ.** დაიბადა **მიხეილ მესხი (უმცროსი)** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2003 წელს.

**30. X. 1977 წ.** დაიბადა **რამაზ გაზაშვილი (ბებნაძე)** - კრივი.

**01. XI. 1902 წ.** დაიბადა **ივანე (კაკო) მარი**-ალპინიზმი. გარდაიცვალა 1990 წელს.

**01. XI. 1944 წ.** დაიბადა **მიხეილ ჯიშკარიანი** - ფეხბურთი.

**02. XI. 1944 წ.** დაიბადა **ალექსანდრე მეტრეველი** - ჩოგბურთი.

**02. XI. 1968 წ.** დაიბადა **მევლუდ ლობჟანიძე** - ძიუდო.

**02. XI. 1991 წ.** დამთავრდა ფეხბურთში საბჭოთა კავშირის უკანასკნელი 54-ე ჩემპიონატი.

### ვიქტორინა

**1. თბილისის რომელი გუნდი იყო პირველი, სადაც ფოთიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსულმა ბორის პაიჭაძემ დაიწყო თამაში?**

ა — „დინამო"
ბ — „ლოკომოტივი"
გ — ზიი

**2. საქართველოს რომელი კუთხიდან იყო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი თენგიზ გავაშელი?**

ა — სამეგრელოდან
ბ — სვანეთიდან
გ — აჭარიდან

**3. რომელ წელს გახდა დამოუკიდებელი საქართველოდან მსოფლიოს პირველი ჩემპიონი მუხრან ვახტანგაძე?**

ა — 1994 წელს
ბ — 1999 წელს
გ — 2001 წელს

**4. საქართველოს ბატუტზე მხტომელებიდან რომელმა სპორტსმენმა მიაღწია პირველ დიდ წარმატებას ევროპის იუნიორთა პირველობაზე?**

ა — რუსუდან ხოფერიამ
ბ — ფატი ფირანიშვილმა
გ — ზაქარია აბრამიშვილმა

**5. რომელ წელს გახდნენ მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ჩემპიონები ირინა გაბაშვილი და ლალი დოლიძე.**

ა — 1979 წელს
ბ — 1982 წელს
გ — 1983 წელს

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-გ, 4-ბ, 5-ა.

### პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლა სპორტის ზამთრის სახეობებში ჩამოყალიბდა 1979 წელს საქართველოს განათლების სამინისტროსთან მინისტრის მაშინდელი მოადგილის **ნუგზარ ფოფხაძის** ძალისხმევით.

**პირველმა** სათხილამურო სპორტში სპორტის ოსტატობის ნორმატივი შეასრულა ბაკურიანელმა **ლალა ფანჯიკიძემ** 1940 წელს.

**პირველად** საქართველოში სათხილამურო სპორტი და სამთო ტურიზმი ჩაისახა ბაკურიანში. დასაწყისად კი 1931-1932 წლებია მიჩნეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა MVP

# ...ფარლალავას ჯერია

„ლელოს“ გუშინდელ ნომერში საკალათბურთო კლუბ „სოხუმს“ ვრცელი სტატია მივუძღვენით. ძირითადად უარყოფითზე ვილაპარაკეთ, დღეს პოზიტიურზე ვიტყვით - ჟურნალისტთა გამოკითხვაში მეორე ტურის საუკეთესო კალათბურთელად **ლევან ფაცაცია** დასახელდა, რომელმაც „სამედიცინოსთან“ 26 ქულა, 11 მოხსნა და 6 პასი მოაგროვა, მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით (30) კი ტურში საუკეთესო იყო.

მეტს არ განვაგრძობთ, მოვუსმინოთ ტურის MVP-ს.

- წინასწარ ვიცოდით, რომ „სამედიცინოსთან“ რთული მატჩი გველოდა, რადგან ნიჭიერი კალათბურთელებით გუნდი კარგადაა დაკომპლექტებული. მოლოდინი გამართლდა - მეტოქემ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, თუმცა მეორე ტაიმში მოვახერხეთ და მატჩში გარდატეხა შევიტანეთ.

**- მაინც რის ხარჯზე აჯობეთ „სამედიცინოს“?**

- ალბათ, ფიზიკური მომზადებისა და დაცვაში თამაშის გამოსწორების ხარჯზე. მეორე ნახევარში სროლა მეც წამივიდა და დანარჩენ თანაგუნდელებსაც.

**- შესაბამისად, ტურის საუკეთესოდ დასახელდი.**

- „სოხუმის“ პრესცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ პაჭკორიამ დამირეკა და მომილოცა. ეს პირველად სწორედ მისგან გავიგე. გამიხარდა. ტურში კალათბურთელთა გამორჩევა მოთამაშეებს მეტ სტიმულს აძლევს.

**- პირველ ტურში ასევე სოხუმელი ბრენდონ გაი ვაღიარეთ №1 კალათბურთელად...**

- ვეცდებით, ეს პატივი არც მესამე ტურში დავუთმოთ ვინმეს. ახლა ლაშა ფარლალავას ჯერია, რომელმაც პირველ ტურშიც დამაჯერებლად ითამაშა და მეორეშიც. თუმცა, ნებისმიერი ჩვენგანისთვის მთავარი მაინც გამარჯვებაა.

**-„სოხუმიდან“ ბრენდონ გაიც წავიდა...**

- სამწუხაროა, რომ ამერიკელებმა დაგვტოვეს. შევსუსტდით, მაგრამ ამის მიუხედავად, არავისთვის არაფრის დათმობას არ ვაპირებთ, ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- ბოლოს „მინსკთან“ საკვალიფიკაციო მატჩებზე გკითხავ. პირველ შეხვედრაში მოცემული იმედი მეორეში გაგვიცრუვდა...**


ლევან ფაცაცია

- ჩვენც გაწბილებულები ვართ. „მინსკთან“ თბილისში ასეთ იოლ გამარჯვებას არ ველოდით, ისევე როგორც მოულოდნელი იყო გასვლაზე დიდი სხვაობით მარცხი. ბელარუსში გამართულ მატჩზე ბევრი ითქვა. სკანდალურს ვერაფერს ვხედავ, ლეგიონერებს თამაში არ წაუვიდათ, ისევე როგორც ჩვენ. მთლიანად გუნდმა ვერ ითამაშა სათანადოდ.

**- უცხოელებისგან გაცილებით მეტს ველოდით.**

- ქართველებს მოტივაციისთვის პატრიოტიზმი გვყოფნის, ჩვენი ქვეყნისთვის ვიბრძვით, უცხოელი კალათბურთელის მთავარი მოტივაცია კი ფინანსებია. არსებული მატერიალური პრობლემების გამო ალბათ ლეგიონერებს სათანადოდ განწყობა გაუჭირდათ. ეს სპორტია, შესაძლოა ერთი მატჩი გამოგივიდეს, მეორე - ვერა.




სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ბათუმი-თსუ | 68:77 |
| რუსთავი-ქუთაისი | 61:98 |
| სოხუმი-სამედიცინო | 88:70 |
| არმია-დინამო | 90:53 |
| შსს-სტუ | 94:88 |

**რეკორდები**

**ქულა**

**31 - ბრენდონ გაი (სოხუმი)**
2-ქულ 4/6; 3-ქულ 6/12; საჯ 5/6
15.10.11 სოხუმი-რუსთავი

**31 - ლაშა ფარლალავა (სოხუმი)**
2-ქულ 4/8; 3-ქულ 5/10; საჯ 8/16
22.10.11 სოხუმი-სამედიცინო

**მოხსნა**

**16 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)**
(მეტოქ: 5; საკუთ: 11)
15.10.11 თსუ - ოლიმპი

**პასი**

**10 - რობერტ კრეპსი (შსს)**
15.10.11 შსს-ბათუმი

**10 - ლაშა ფარლალავა (სოხუმი)**
15.10.11 სოხუმი-რუსთავი

**ჩაჭრა**

**5 - დუდა სანაძე (დინამო)**
16.10.11 ქუთაისი-დინამო

**დაფარება**

**6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)**
15.10.11 თსუ-ოლიმპი

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 2 | 50 | 25 |
| 2 | რობერტ კრეპსი | შსს | 2 | 49 | 24.5 |
| 3 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 2 | 42 | 21 |
| 4 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 2 | 42 | 21 |
| 5 | ბრენდონ გაი | სოხუმი | 2 | 37 | 18.5 |
| 6 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 2 | 37 | 18.5 |
| 7 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 2 | 36 | 18 |
| 8 | მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 2 | 36 | 18 |
| 9 | ტატო ჩაჩიბაია | სტუ | 2 | 36 | 18 |
| 10 | დუდა სანაძე | დინამო | 2 | 35 | 17.5 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შებ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 2 | 7 | 14 | 21 | 10.5 |
| 2 | ბრენდონ გაი | სოხუმი | 2 | 4 | 17 | 21 | 10.5 |
| 3 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 2 | 6 | 13 | 19 | 9.5 |
| 4 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 2 | 2 | 15 | 17 | 8.5 |
| 5 | სოსო შერმადინი | თსუ | 2 | 6 | 11 | 17 | 8.5 |
| 6 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 2 | 6 | 10 | 16 | 8 |
| 7 | დავით გუგავა | რუსთავი | 2 | 9 | 7 | 16 | 8 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 2 | 14 | 7 |
| 2 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 2 | 13 | 6.5 |
| 3 | რობერტ კრეპსი | შსს | 2 | 12 | 6 |
| 4 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 2 | 12 | 6 |
| 5 | თეიმურაზ ბაბუნაშვილი | ქუთაისი | 2 | 11 | 5.5 |
| 6 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 2 | 11 | 5.5 |
| 7 | მალხაზ აბაიშვილი | სამედიცინო | 2 | 11 | 5.5 |
| 8 | გიორგი გაფრინდაშვილი | სოხუმი | 2 | 10 | 5 |
| 9 | ბრენდონ გაი | სოხუმი | 2 | 9 | 4.5 |
| 10 | დავით არწივიძე | რუსთავი | 2 | 9 | 4.5 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დუდა სანაძე | დინამო | 2 | 6 | 3 |
| 2 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 2 | 6 | 3 |
| 3 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 2 | 6 | 3 |
| 4 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 2 | 6 | 3 |
| 5 | ბრენდონ გაი | სოხუმი | 2 | 5 | 2.5 |
| 6 | რობერტ კრეპსი | შსს | 2 | 5 | 2.5 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟოლივეტ ტუჯანი | შსს | 2 | 6 | 3 |
| 2 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 2 | 4 | 2 |
| 3 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 2 | 4 | 2 |
| 4 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 2 | 3 | 1.5 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 2 | 10 | 5 |
| 2 | ილია ლონდარიძე | შსს | 2 | 8 | 4 |
| 3 | რობერტ კრეპსი | შსს | 2 | 8 | 4 |
| 4 | რატი ბააკაშვილი | რუსთავი | 2 | 7 | 3.5 |
| 5 | კოკა ტომარაძე | სამედიცინო | 2 | 7 | 3.5 |

ტრანსფერი

# გზა ოლიმპისკენ: ოლიმპიადან ოლიმპში

„სოხუმის“ ცენტრ **სერგო ათუაშვილს** სუპერლიგაში თანატოლი გამოუჩნდა - „ოლიმპმა“ ზუსტად სერგოს სიმაღლის (224 სმ) ცენტრი დაიმატა. ოლიმპელთა ღირსებას მიმდინარე სეზონში ჩეხი მეფარე **ივო ჰოგერი** დაიცავს. იგი ამ ქართული კლუბის მეოთხე უცხოელი იქნება. მწვრთნელს, **გია კაზანჯიანის** საინტერესო გეზი აქვს არჩეული, არა ამერიკელ, არამედ ევროპელ ლეგიონერებს იწვევს: **მილუტინოვიჩმა, სლიუკამ** და **ტუტუსმა** საქართველოს ჩემპიონატში უკვე ითამაშეს, ახლა ჰოგერის ჯერია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ტუტუსს ხელი აქვს მოტეხილი და მკურნალობისთვის დაახლოებით ორი კვირა დასჭირდება.




ახლა რაც შეეხება ჩეხ ახალწვეულს. ყველაზე „ფერადოვანი“ კარიერა სწორედ მას აქვს. ახალგაზრდულ ასაკში სლოვენიაში გადავიდა, სადაც „ოლიმპიაში“ გამოიწვრთნა, თუმცა მთავარ გუნდში მხოლოდ 6 მატჩი ჩაატარა.

> **დოსიე**
>
> **ივო ჰოგერი**
>
> **ჩანაწერი**
>
> **დაიბადა:** 17.09.1982
> **სიმაღლე:** 224 სმ
> **წონა:** 125 კგ
> **პოზიცია:** ცენტრი
> **გუნდი:** ოლიმპი
>
> **კარიერა**
>
> 1999-2002 ოლიმპია (სლოვენია, ახალგაზრდები)
> 2002-03 ტრიგლავი (სლოვენია)
> 2003-04 კაპფენბერგი (ავსტრია)
> 2004-06 პოლტენი (ავსტრია)
> 2006 სპარტა (ჩეხეთი)
> 2006 ცსკა (ბულგარეთი)
> 2007 პლოვდივი (ბულგარეთი)
> 2007-10 სვედბორგი (დანია)
> 2010 აელ (კვიპროსი)
> 2011 ფუკუოკა (იაპონია)
> 2011-12 ოლიმპი (საქართველო)
>
> **მიღწევები**
>
> 2000 სლოვენიის ჩემპიონი (17-წლამდელებში)
> 2001 ჩეხეთის 20-წლამდელთა ნაკრების წევრი
> 2007, 2008 დანიის „ოლ სტარის“ მონაწილე
> 2008 დანიის თასის მფლობელი
> 2008 დანიის ჩემპიონატის საუკეთესო ცენტრი
> 2010 დანიის ჩემპიონი

სლოვენიიდან ივო ავსტრიაში გადაბარგდა. იქ სათამაშო დრო საკმარისად ჰქონდა და საშუალოდ 10 ქულასაც ასცდა. შემდეგ იყო პრაღის „სპარტა“, ბულგარეთის ცსკა და „პლოვდივი“...

კარიერის საუკეთესო წლები ივო ჰოგერს დანიის ჩემპიონატში აქვს გატარებული: ვიკინგთა ჩემპიონიც გახდა, ვარსკვლავთა მატჩშიც ითამაშა. მოკლედ, დანიაში №1 ცენტრი იყო.

გასული სეზონი ჩეხმა გოლიათმა კვიპროსში დაიწყო და იაპონიაში განაგრძო...

- იაპონელებს კარგი ლიგა აქვთ. ადგილობრივი კალათბურთელები ევროპელებთან შედარებით დაბლები არიან, სამაგიეროდ, მაღალი სისწრაფე აქვთ. თუმცა, ყველა კლუბში ტანმაღალი უცხოელები არიან და გუნდები თანაბრადაა დაბალანსებული, - ასე იხსენებს იაპონიას ივო.

მან ჩეხ ჟურნალისტთან საკუთარ სიმაღლეზეც ილაპარაკა:

- სიმაღლის გამო თავიდან დისკომფორტი მექმნებოდა, მინდოდა ყველა ჩემი ტოლი ყოფილიყო, ან მე ვყოფილიყავი სხვების სიმაღლისა. თუმცა, ნელნელა ყველაფერს შევეჩვიე და ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მილუტინოვიჩთან ერთად ჰოგერი სუპერლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო წინა ხაზს შექმნის.



გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარბაროსები-ავსტრალია

# გრემ ჰენრი ბარბაროსებს გაწვრთნის

მსოფლიოს თასის გამარჯვებულის ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გრემ ჰენრი** და მისი ასისტენტი **სტივენ ჰანსენი** 26 ნოემბერს „ბარბაროსებს“ უხელმძღვანელებენ, რომელიც ლონდონში, „თვიქნემზე“ ავსტრალიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

უკვე ცნობილია, რომ „ბარბაროსთა“ შემადგენლობაში „ოლ ბლექსის“ ბევრი მორაგბე ითამაშებს, მათ შორის **სონი ბილ ვილიამსი, კევინ მეალამუ** და **ჯერომ კაინო.**

*„უდიდესი პატივია, რომ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ახლახან გამარჯვებული მორაგბეები „ბარბაროსების“ კვართს მოირგებენ, მათი დამრიგებლები კი ჩვენი გუნდის მწვრთნელები იქნებიან ავსტრალიასათან მატჩში.*

*წინასწარი მონაცემებით, მატჩზე დასასწრები უკვე 40 ათასი ბილეთი გაყიდულია. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, „თვიქნემზე“ ანშლაგი იქნება“* - თქვა „ბარბაროსების“ პრეზიდენტმა **ჯონ სპენსერმა.**

მოსალოდნელია, რომ ავსტრალიელთა წინააღმდეგ მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებში ითამაშონ **ლი ჰალფენიმ, ჯიმი რობერტსმა, სტივენ ჯოუნზმა, ადამ ჯოუნზმა** (ოთხივე-უელსი), **დენი სიპრიანიმ** (ინგლისი), **სტირლინგ მორთლოქმა** (ავსტრალია) და **ჯეისონ ვაითმა** (შოტლანდია).

სკანდალი

# შვალგერმა სამოა შეაზანზარა

სამოას ნაკრების კაპიტანმა **მაონრი შვალგერმა** ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ღია წერილით მიმართა, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობის მუშაობა და საქმისადმი დამოკიდებულება ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის მსვლელობისას.

წერილში კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა სამოას რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **ჰარი შუსტერი,** აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ შუსტერი,** ნაკრების მწვრთნელი **მეთიუ ვაეა** და მისი ასისტენტი **რაიან შუსტერი.**

*„ჰარი სრულიად სხვა ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე ვიცნობდი. მას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა, მეგობრებთან ერთად გართობა. მხოლოდ სასტუმროს ბარი იყო ის ადგილი, სადაც მისი ნახვა შეიძლებოდა.*

*მან გართობა - ღრეობაში მთავარი მწვრთნელი მეთიუ ვაეაც ჩაითრია. ვგრძნობდი, რომ მასაც ძალიან უნდოდა მათთან ერთად ყოფნა. ის რამდენჯერმე გაქრა გუნდიდან და ორი-სამი დღე არსად ჩანდა. ისე იქცეოდა, თითქოს გუნდის მწვრთნელი კი არა, მფლობელი იყო.*

*მისი ასისტენტი რაიან შუსტერი ცდილობდა მთავარი მწვრთნელის სამუშაო შეესრულებინა მაშინ, როცა ის დასალევად და გოლფის სათამაშოდ მიდიოდა. რაიანს ეს ცუდად გამოსდიოდა, რადგან არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვს, ის დაბალი დონის სპეციალისტია.*

*ყოველივე ამან გუნდის თამაშსა და მსოფლიოს თასზე ნაჩვენებ შედეგზე დიდი გავლენა იქონია. მიმაჩნია, რომ ჩვენთვის ამ უმნიშვნელოვანესი მატჩებისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადეთ.*

*ვფიქრობ, სამოას რაგბის წინსვლისთვის აუცილებელია, ხელმძღვანელად გვყავდეს წესიერი და საქმისადმი ერთგული ადამიანები.*

*მთელი გუნდის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ქომაგებს უდიდესი მხარდაჭერისთვის, რომლის გარეშეც ვერაფერს მივაღწევთ. ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავალაგოთ სამოას რაგბიში აწეწილი ვითარება, ეს საჭიროა არა მარტო ამჟამინდელი, არამედ ჩვენი მომავალი თაობებისთვისაც.*

*გარწმუნებთ, თუ ყველაფერი მოწესრიგდება და საქმეს პროფესიონალები გააკეთებენ, სამოას ნაკრებს ვერავინ შეაჩერებს,“* - წერს მაონრი შვალგერი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

მსოფლიოს თასის ექო

# ლე ბლო ბევრჯერ გაგვაოცებს

ახალ ზელანდიაში დასრულებული მსოფლიოს თასის გათამაშება ჯერ კიდევ დიდხანს იქნება სარაგბო სპეციალისტების განსჯის საგანი. გასაანალიზებელი ჯერ კიდევ ბევრია. წინასწარი ინფორმაციით მსოფლიოს თასის ეს გათამაშება ფინანსურად წამგებიანი გამოდგა. ამიტომ, ცხადია, საინტერესოა რა გზით განაგრძობს განვითარებას მსოფლიოს რაგბი.

ამჯერად კი, მოდით, მსოფლიოს თასის ფინალისტის, საფრანგეთის ნაკრების შესახებ ვიმსჯელოთ. ეს ქვეყანა სარაგბო თვალსაზრისით ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და ახლობელიცაა, რადგან ქართველ ლეგიონერთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ საფრანგეთის ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონში ასპარეზობს.

საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს თასზე არაერთგვაროვანი შთაბეჭდილება დატოვა. ჯგუფურ ტურნირში ‘„ლე ბლომ“ ორი თამაში წააგო. თუ ახალ ზელანდიასთან მარცხი გასაგები და მისაღებია, ტონგასთან წარუმატებლობას არავინ ელოდა. თუმცა, მერე პლეი ოფში ასპარეზობისას გამოჩნდა, რომ ფრანგებს შესანიშნავი რაზმი ჰყავთ და ფინალში თამაში ალალად დაიმსახურეს.

უცნაურია, მაგრამ საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ „ლე ბლოს“ მწვრთნელ **მარკ ლივერმონის** თანამდებობიდან განთავისუფლებაზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მსოფლიოს თასის წინ მიიღო. მისი შემცვლელიც მალევე დაასახელეს, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის“ თავკაცი **ფილიპ სენტ-ანდრე.** ის ახალ ზელანდიაში იმყოფებოდა და მომავალ შეგირდებს თვალს ტრიბუნიდან ადევნებდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თაობათა შორის წყვეტა ფრანგულ რაგბიში არასდროს ხდება. ფრანგთა ამჟამინდელ ნაკრებში ბევრი ისეთი ახალგაზრდა მოთამაშეა, რომელთა უკვე საკმოდ მდიდარ გამოცდილებას მომავალი მწვრთნელი თამამად უნდა დაეყრდნოს. **მაქსიმ მედარი, მორგან პარა, ფრანსუა ტრინ-დუკი, ლუი პიკამოლი, ფაბიენ ბარსელა, ფულენსე უოდრაოგო, მაქსიმ მერმოსი და ტომა დომინგო** ის მოთამაშეები არიან, რომლებმაც მომავალი ოთხი წლის განმავლობაში თავიანთი მხრებით უნდა ზიდონ ნაკრების ლიდერების მძიმე ტვირთი.

საფრანგეთი მდიდარია ნიჭიერი მორაგბეებით. ამ ქვეყნის სამხრეთში რაგბი არანაკლებ ესმით და უყვართ, ვიდრე ახალ ზელანდიაში. რაგბი აქ უდავოდ სპორტის ნომერ პირველი სახეობაა. რაგბის „ლე ბლოსეული“ სტილი ყოველთვის გამორჩეული იყო, ის სხვას არასდროს ჰგავდა.

რაგბის პროფესიულ ერაში ფრანგთა თამაში რომანტიკულთან ერთად პრაგმატულიც გახდა, იხვეწება და, შესაბამისად, „ლე ბლო“ მომავალშიც ბევრჯერ გაგვაოცებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ინტერვიუ ლევან გოგიასთან



ბურთით ლევან გოგია

# ჩემპიონობის შანსი არ დაგვიკარგავს

**საქართველოს U-17, U-18 და U-19 ნაკრების ყოფილი წევრი ლევან გოგია „აიაში მეორე სეზონია რაც ასპარეზობს. ქუთაისელთა 22 წლის ცხრა ნომერს იმედი აქვს, რომ წლეულს იმერულ გუნდთან ერთად ჩემპიონატისა და თასის გათამაშებაში წარმატებულად ისაპარეზებს და „არმიასთან“ შესარჩევ ფინალში მარცხის მიუხედავად, ტიტულებს მოიპოვებს. სხვათა შორის, არმიელებთან ბოლო წუთზე გოგიამ ლელოც გაიტანა, თუმცა ამან ქუთათურები მარცხისაგან ვერ იხსნა.**

**- თავდაპირველად შენს ყოფილ გუნდებზე ვისაუბროთ, „აიამდე“ სად თამაშობდი?**

- რაგბის თამაში „უნივერსიტეტში“ დავიწყე, შემდეგ თითო-?ითო სეზონი „ლელოში“ და „ლოკომოტივში“ დავყავი. ამ გუნდებში დიდი გამოცდილება შევიძინე. 2010 წლიდან კი „აიას“ წევრი ვარ. შარშანდელი ჩემპიონატიდან მოყოლებული ქუთაისურ გუნდში ვთამაშობ.

**- წლევანდელის არ იყოს, შარშანდელ ჩემპიონატში „აიას“ ფინალში მოხვედრისა და ჩემპიონობის კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა ბოლო შეხვედრები აშკარად ჩააგდეთ. რა იყო ამის მიზეზი?**

- რეგულარულ გათამაშებაში 3 ისეთი მატჩი წავაგეთ, რომელშიც ჩვენ ვიყავით ფავორიტები. ოთხეულში მოვხვდით, მაგრამ ახალი ჩამოყალიბებული გუნდი ვიყავით და პირველ სეზონში მეტის გაკეთება ველარ მოვახერხეთ.

**- მიმდინარე ჩემპიონატში გაცილებით უკეთესად ითამაშეთ და ცხრილში პირველ ადგილზეც გახვედით...**

- შარშანდელმა პირველობამ დიდი გამოცდილება შეგვძინა. ლეგიონერებიც დავიმატეთ და შეთამაშების მხრივაც არ გვაქვს პრობლემა. იმედია, წლეულს ჩემპიონატსა და თასზე წარმატებით ვიასპარეზებთ. ამისთვის ცდას არ დავაკლებთ.

**- შესარჩევ ფინალში საკუთარ მოედანზე მთავარ კონკურენტ „არმიასთან“ დამარცხდით. ამჟამად „არმია“ უფრო ძლიერი გუნდია თუ სხვა რამ იყო წაგების მიზეზი ?**

- ვიცოდით, რომ ჩემპიონატში ყველაზე დიდ კონკურენციას „არმია“ და „ლოკომოტივი“ გაგვიწევდა. ძლიერი გუნდები არიან, მაგრამ „არმიასთან“ ჩვენი შეცდომების გამო უფრო წავაგეთ. მეტოქის სიძლიერე არაფერ შუაშია. ბურთის ფლობის მხრივ ძალიან დიდი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმში კი, კონრშეტევებით ორი ლელო მივიღეთ და მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

**- ეს ზედმეტი ნერვიულობის ბრალი ხომ არ იყო?**

- მატჩის წინ გუნდში კარგი განწყობა სუფევდა. ყველანაირად მობილიზებულნი ვიყავით, მაგრამ როგორც გვინდოდა ისე ვერ ვითამაშეთ და ჩვენივე შეცდომების გამო წავაგეთ.

**- შესარჩევ ფინალში წაგების მიუხედავად ჩემპიონობის შანსი არ დაგიკარგავთ...**

- ჩემპიონატის პირველი ეტაპი კარგად ჩავატარეთ და ახლაც ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. დიდ ფინალში გასვლის შანსი კიდევ გვაქვს. მომავალ შაბათს საკუთარ მოედანზე „ლოკომოტივს“ ვმასპინძლობთ. მართალია, ძლიერი გუნდია და ძალიან რთული თამაში იქნება, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ფინალში გავალთ და „არმიასთან“ რევანშის აღების საშუალება მოგვეცემა.

**- საკუთარ გეგმებზე რას იტყვი, ახლო მომავალში უცხოეთში თამაშზე ხომ არ ფიქრობ?**

- ამ ეტაპზე, როგორც მთელი გუნდის, ისევე ჩემი ყურადღებაც „აიას“ წარმატებებზეა მიმართული. სამომავლოდ კი, თუ შანსი მომეცემა, უცხოურ კლუბებშიც მოვსინჯავ ძალებს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ჭაბუკთა ლიგა

# ჯიქებმა ერთი მოიგო, მეორე...

დასასრულს უახლოვდება შეჯიბრება ჭაბუკთა A და B ლიგებში. ასაკით უფროს A ლიგის გუნდებს შორის ნახევარფინალის პირველი მატჩები გაიმართა. თბილისის „ჯიქებმა“ შინ ქუთაისის „აიას“ ორი ქულის სხვაობით - 19:17 მოუგეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ განმეორებით მატჩში, რომელიც 10 ნოემბერს ქუთაისში გაიმართება, ისევ უშელავათო ბრძოლაა მოსალოდნელი.

კიდევ ერთ ნახევარფინალურ წყვილში „აკადემიამ“ საკმარისად სოლიდური სხვაობით დაამარცხა „თიბისი“ - 20:3 და განმეორებით მატჩს შეუძლია, შედარებით მშვიდად შეხვდეს.

B ლიგაში კი გამარჯვებული უკვე გამოვლინდა. თბილისის „ჯიქებმა“ ფინალში ქუთაისის „აია 2“ დაამარცხეს - 14:0 და პირველობა არავის დაუთმეს. ქუთაისის „აია 1“ კი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თბილისის „აკადემიასთან“ დამარცხდა 20:24.

| | |
|---|---|
| **A ლიგა** | |
| **ნახევარფინალი** | |
| ჯიქები-აია | 19:17 |
| თიბისი-აკადემია | 3:20 |
| **B ლიგა** | |
| **III ადგილი** | |
| აკადემია-აია 1 | 24:20 |
| **ფინალი** | |
| ჯიქები-აია 2 | 14:0 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



მარკ-ანდრე ფლერი

# კოლამბუსმა პირველი მოიგო

ჩემპიონატის სტარტზე ყველაზე დაძაბული გრაფიკის მქონე "პიტსბურგმა" მე-11 თამაშის ჩატარება მოასწრო და "ნიუ იორკ აილენდერსი" დაამარცხა – 3:0. "პინგვინები" თითო პერიოდში თითო შაიბას იტანდნენ, ხოლო მატჩის პირველი ვარსკვლავი გახდა "პიტსბურგის" მეკარე **მარკ-ანდრე ფლერი**, რომელმაც 33-დან 33 დარტყმა მოიგერია და სეზონში პირველი "შათაუტი" შეასრულა. ამ მოგებით "პიტსბურგმა" ოთხამდე გაზარდა თავისი მოგებათა სერია, "აილენდერსმა" კი კარგი სტარტის შემდეგ ზედიზედ მესამე მატჩი წააგო.

როგორც იქნა! სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა "კოლამბუსმა". ამ გუნდმა საკუთარ კედლებში "დეტროიტს" 4:1 მოუგო. პირველად ამ სეზონში მასპინძელთა რიგებში გამოჩნდა **ჯეიმს ვიშნევსკი**, რომელიც რვამატჩიან დისკვალიფიკაციას იხდიდა. თუმცა მას ამ მატჩში ქულა არ დაუგროვებია. "კოლამბუსის" რიგებში საუკეთესონი იყვნენ **რაიან იოჰანსონი** (1+1) და **გრანტ კლიტსომი** (0+3). "დეტროიტმა" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო, თანაც 11 შაიბა გაუშვა და მხოლოდ ორი გაიტანა.

არადამაჯერებელი სტარტის შემდეგ თამაშს მოუმატა "ტამპა ბეიმ". ამ გუნდმა სამმატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხო "ბაფალოს" დამარცხების შემდეგ – 4:3. შესანიშნავ ფორმაში შევიდა მეკარე **მეტიუ გარონი**, რომელმაც სამი დღის წინ "შათაუტი" შეასრულა, ამჯერად კი 36 დარტყმის მოგერიება შეძლო. ასევე სუსტი სტარტის შემდეგ სულ უფრო ხშირად ახარებს თავის გულშემატკივრებს "სან ხოსე". კალიფორნიელებმა "ნეშვილს" 3:1 მოუგეს და ასევე სამმატჩიანი მოგებათა სერია აქვთ. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **პაველსკი-ტორნტონი-მარლოს** სამეულმა. თითოეულმა ჰოკეისტმა ორ-ორი ქულა ჩაიწერა აქტივში.

ბულიტების სერიით დასრულდა "ჩიკაგოსა" და "ანაჰაიმის" დაპირისპირება. ამ მატჩს შეიძლება ვუწოდოთ ორი ვარსკვლავის დაპირისპირება. ერთის მხრივ, ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა **ტეემუ სელიანემ**, რომელმაც გოლით, შედეგიანი პასითა და ბულიტით დაგვამახსოვრა თავი. მეორე მხრივ, ბრწყინვალედ გამოიყურებოდა **პატრიკ კეინი**. მის ანგარიშზე ორი საგოლე პასია, აგრეთვე გადამწყვეტი ბულიტი. ამ მოგებით (და "დეტროიტის" ჩავარდნით) "ჩიკაგომ" ხელთ იგდო ცენტრალური დივიზიონის ლიდერობა. რაც შეეხება "ანაჰაიმს", მისთვის ეს წაგება ზედიზედ მესამე იყო.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გასულ წელს "ედმონტონს" წარმატებისთვის მხოლოდ **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი** არ ჰყოფნიდა. გასულ სათამაშო დღეს **ჰოლი-ებერლე**-ნიუჯენტის ტრიო ისევ მოწოდების სიმაღლეზე იყო – სამ კაცზე ხუთი ქულა დააგროვეს. გარდამტეხი მომენტი გახდა მეორე პერიოდის პირველი ხუთი წუთი, რომლის დროსაც "ედმონტონმა" სამი შაიბის გატანა მოასწრო. ეს მოგება ზედიზედ მეორეა "ოილერზისთვის", რისი წყალობითაც "მენავთობეები" პლეი ოფის ზონაში შევიდნენ.

**აილენდერსი–პიტსბურგი 0:3**

**0:1, 0:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 დუპუი-3 (ორპიკი-1), 0:2 პარკი-2 (ეშემი-2), 0:3 ჯ. სტაალი-6 (დუპუი-5).

**კაროლინა–ოტავა 2:3 (ბ)**

**0:0, 0:2, 2:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 კონოპკა-1 (გონჩარი-5, ვინჩესტერი-1), 0:2 სპეცაა-5 (გრინიგი-3, გონჩარი-6), 1:2 ტ. რუუტუ-3 (ჰარისონი-2), 2:2 სკინერი-4 (მაკბეინი-3, ე. სტაალი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** სპეცა (ოტავა).

**კოლამბუსი–დეტროიტი 4:1**

**2:1, 1:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 უმბერგერი-1 (ვერმეტი-3, რ. იოჰანსენი-2), 1:1 ჰელმი-1 (აბდელკადერი-1, ბერტუცი-2), 2:1 რ. იოჰანსენი-1 (კლიტსომი-3, რასელი-1), 3:1 ჯ. მური-1 (ბასი-1, კლიტსომი-4), 4:1 მაკენზი-1 (უმბერგერი-2, კლიტსომი-5).

**ბაფალო–ტამპა ბეი 3:4**

**2:2, 0:1, 1:1**

**გოლები:** 1:0 ვანეკი-7 (პომინვილი-8, ლ. ადამი-4), 2:0 ბოიესი-1 (მაკორმიკი-1, ელისი-1), 2:1 ლეკავალიე-4 (სან ლუი-5), 2:2 ტომპსონი-2 (პიატი-1, დ. მური-3), 2:3 სტემკოსი-4 (გილროი-3, მ-ა. ბერჟერონი-8), 2:4 მელოუნი-3 (ბ. კლარკი-2), 3: 4 გერბე- 2 (ბოიესი-2, გოსტადი-1).

**ნეშვილი–სან ხოსე 1:3**

**0:1, 0:0, 1:2**

**გოლები:** 0:1 კუტური-2 (ჰავლატი-3), 1:1 კ. სმიტი-3 (შ. უებერი-3, ფიშერი-1), 1:2 პაველსკი-5 (მარლო-3, ჯ. ტორნტონი-4), 1:3 პაველსკი-6 (მარლო-4, ჯ. ტორნტონი-5).

**ჩიკაგო–ანაჰაიმი 3:2 (ბ)**

**0:0, 1:2, 1:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 გეტცლაფი-3 (პერი-2, სელიანე-3), 1:1 მარიან ჰოსა-5 (პ. კეინი-5, ო'დონელი-3), 1:2 სელიანე-3 (კოლიანო-1), 2:2 შარპი-3 (პ. კეინი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** ტეუვზი (ჩიკაგო), სელიანე (ანაჰაიმი), პ. კეინი (ჩიკაგო).

**ედმონტონი–ვანკუვერი 3:2**

**0:0, 3:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ებერლე-1 (ტ. ჰოლი-5, პოტერი-3), 2:0 ჰორკოფი-1 (რ. სმიტი-3), 3:0 ტ. ჰოლი-2 (ებერლე-6, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-3), 3:1 ჰოჯსონი-2 (ედლერი-6, მალორტა-3), 3:2 ბაროუზი-3 (ჰ. სედინი-8, სალო-4).

**ფინიქსი–დალასი 2:3**

**1:1, 0:0, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ტორესი-1 (კორპიკოსკი-2, ეკმან-ლარსონი-1), 1:1 სურეი-2 (ბენი-6, ოტი-5), 2:1 დოუნი-4 (რეი უიტნი-4, ლენგკოუ-4), 2:2 ბარიში-2 (რიბეირო-6, მოროუ-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ო'სალივანი (ფინიქსი), რაიდერი (დალასი), დელეი (დალასი).

**ლოს ანჯელესი–ნიუ ჯერსი 0:3**

**0:0, 0:3, 0:0**

**გოლები:** 0:1 ზუბრუსი-1 (ე. გრინი-3, ელიაში-3), 0:2 ელიაში-4 (სიკორა-3, ე. გრინი-4), 0:3 ზუბრუსი-2 (სიკორა-4, ფეინი-2).

კალათბურთი

# კიდევ ერთი საფრთხე: დრიმ თიმსაც ვეღარ ვნახავთ?

**რომ არა ლოკაუტი, NBA-ის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატი ხუთი დღის შემდეგ, პირველ ნოემბერს დაიწყებოდა. ოფიციალურად, სტარტი მინიმუმ ორი კვირით არის გადადებული, მაგრამ ოკეანის გაღმიდან ბოლო ინფორმაციები არასაიმედო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: სავარაუდოდ, მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში სეზონი მთლიანად გაუქმდება.**

**ლოკაუტმა ახალი საფრთხეც გააჩინა - გაისად, ლონდონის თამაშებზე, შესაძლოა, მორიგი ამერიკული „დრიმ თიმი" ვერ ვიხილოთ.**

გასულ კვირას ლიგის ხელმძღვანელობა და მოთამაშეთა პროფკავშირი საბოლოოდ წაეკიდნენ ერთმანეთს. თვით ცნობილმა შუამავალმა და კონფლიქტების მომრიგებელმა **ჯორჯ კოენმაც** ჩაიქნია ხელი - ამ სიტუაციაში, ჩემს სამსახურს აზრი არ აქვს, თითოეული მხარე ძალიან მყარად დგას თავის პოზიციაზეო.

ერთი კვირის წინ, სწორედ კოენის დახმარებით ურთიერთობებში წინსვლა შეინიშნებოდა და სწრაფი კომპრომისის იმედიც წარმოიშვა. პროფკავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **ბილი ჰანტერმა** ისიც კი განაცხადა, რომ ოთხი კლუბი - „ლეიკერსი", „მაიამი", „დალასი" და „ნიუ იორკი" უკვე დღეს არიან მზად მოთამაშეთა წამოყენებული პირობების მიღებაზე.

მაგრამ არაფერი გამოვიდა. მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მთავარი საკამათო საკითხი საერთო მოგების განაწილება იყო. მოთამაშეები 53 პროცენტზე დაბლა არ ჩამოვიდნენ, **დევიდ სტერნმა** კი წილის თანაბრად გაყოფა დაიჟინა. თუმცა ყველაზე დიდი ვნებათაღელვა სხვა პუნქტმა გამოიწვია. NBA-ის ნამდვილი მიზანია - მიაღწიოს მკაცრი სახელფასო ლიმიტის დაწესებას, ისეთის, როგორიც NHL-ში მოქმედებს. სწორედ ამის გამო უწოდა ჰანტერმა მატყუარები ლიგის მთელ ხელმძღვანელობას.

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს, როცა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების დრო მოვიდა, პროფკავშირი ასევე აღშფოთებული იყო იმით, რომ მოთამაშეები მზად იყვნენ კომპრომისზე წასასვლელად, ლიგა - არა. კლუბების მფლობელები მყარად იდგნენ სახელფასო ლიმიტის შემოღების იდეაზე (რომელიც ადრე საერთოდ არ ყოფილა), მოთამაშეები კი პასუხობდნენ, რომ ამას არასოდეს დათანხმდებოდნენ.

მაგრამ სრულად გაუქმდა 2004-05 წლების სეზონი და ამან უფრო მეტად ჰოკეისტები დააზარალა, ვიდრე კლუბები, ამიტომაც მოთამაშეებმა სწრაფად გადადგეს შემხვედრი ნაბიჯები. დღეს ჰანტერი NBA-ს სწორედ იმაში ადანაშაულებს, რომ ასოციაცია ზუსტად ისე იქცევა, როგორც ამას შვიდი წლის წინ NHL აკეთებდა.

გასაგებია, რომ NBA იცავს ლიგის ოცდაათივე გუნდის ინტერესებს და ზრუნავს იმაზე, რომ საჩემპიონო ტიტულის ბედი ბიუჯეტის ოდენობამ არ განსაზღვროს - წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონობა ხუთ-ექვს გუნდს შორის გათამაშდება. და იმისთვის, რომ მოთამაშეთა კონტრაქტები კოსმოსური სიჩქარით არ გაიზარდოს, ლიგა გამოდის წინადადებით: არა მარტო შემცირდეს ხელფასების მაქსიმალური ზღვარი, არამედ გაუქმდეს ის გამონაკლისები, რომლის მეშვეობითაც ამ ზღვარს გვერდს უვლიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდათ „რბილი" ლიმიტიდან ხისტ ლიმიტზე გადასვლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაიამელი **დუეინ უეიდის** კონტრაქტი ველარ გავა სახელფასო ბიუჯეტიდან. ეს თანხა კი 14 მილიონ დოლარს უდრის.

მოკლედ, გამოსავალი არ ჩანს და შეიძლება ის სიტუაცია განმეორდეს, როგორიც შვიდი წლის წინ NHL-ში იყო - სეზონის გაუქმება.

ევროპისთვის NBA-ში სეზონის გაუქმება კი შემდეგს ნიშნავს: ჯერ ერთი, NBA-ის სუპერვარსკვლავები, რომლებმაც უკვე გააფორმეს კონტრაქტები ევროპულ კლუბებთან, 2011-12 წლების სეზონს ბოლომდე ითამაშებენ. ე. ი. გულშემატკივრები **ტონი პარკერს, დერონ უილიამსს, ნიკოლა ბატუმსა** და სხვებს ეროვნული ჩემპიონატებისა და ევროთასების გადამწყვეტ მატჩებში იხილავენ.

მეორე: ზამთარში ევროპას მოაწყდება NBA-ის უფრო ხარისხიანი ვარსკვლავების ტალღა. თანაც ლაპარაკია არა მხოლოდ ევროპელ ვარსკვლავებზე (ძმებ **გასოლებზე**, რომლებიც „ბარსელონაში" ვარჯიშობდნენ ან **დირკ ნოვიცკიზე**, ვინც გერმანიაში ინარჩუნებს სპორტულ ფორმას), არამედ ამერიკელებზე, მათ შორის - **კობი ბრაიანტზე, ლებრონ ჯეიმსზე**, დუეინ უეიდზე, **დუაიტ ჰოვარდზე, კევინ დურანტსა** და სხვებზე...

დაბოლოს, ოკეანის გაღმიდან მოსული არც ისე სასიამოვნო ამბები საფრთხეს უქმნის 2012 წლის ოლიმპიადაზე NBA-ის მოთამაშეების მონაწილეობას. თუ ლიგა და პროფკავშირი ვერ მოასწრებენ ლონდონის თამაშებამდე ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებას, ეროვნულ ფედერაციებს მოუწევთ სრულად დააზღვიონ თავიანთი ლეგიონერების ზღაპრული კონტრაქტები. და თუ ევროპული ნაკრებების შემთხვევაში ამის მიღწევა შესაძლებელია (ევრობასკეტზე ესპანეთისა და საფრანგეთის ფედერაციებმა საკუთარი ლეგიონერების დაზღვევისთვის შესაბამისად, 5,6 და 2,9 მილიონი დოლარი გადაიხადეს), ამერიკის ნაკრების შემთხვევაში ეს თითქმის გამორიცხულია, რადგან ძალიან დიდი თანხა გროვდება. უფრო მოსალოდნელი ის არის, რომ ლონდონში აშშ-ის ღირსებას არა ლებრონი ან კობი, არამედ ევროპაში მოთამაშე ამერიკელები დაიცავენ. ბოლოს ასეთი რამ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე მოხდა, როცა NBA-ში წინა ლოკაუტი მძვინვარებდა. სხვათა შორის, აშშ-ის „ევროპულმა" ნაკრებმა ოქრომდე ვერ მიაღწია - ნახევარფინალში რუსეთის ნაკრებთან წააგო და ეს შედეგი არავის მოუნათლავს სენსაციად.



პეკინის დრიმ თიმი

# ჟალგირისმა მეორე წააგო

საკალათბურთო ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე მეორე ტური B ჯგუფის ერთი მატჩით გაიხსნა. ესპანურმა „უნიკახამ" საკუთარ მოედანზე უმასპინძლა კაუნასის „ჟალგირისს".

ლიტვური გრანდი ახლა მთავარი მწვრთნელის ძიებაშია. პირველ ტურში მოსკოვის ცსკა-სთან წაგების შემდეგ, გუნდის ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან დაითხოვა ბერძენი **ცუროსი**, თუმცა ამ ნაბიჯმა „ჟალგირისს" ვერ უშველა და მან ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო.

სტუმრებმა მხოლოდ მეორე მეოთხედში ითამაშეს უმაღლეს დონეზე - 10-წუთიანი მონაკვეთი 20:8 მოიგეს და „უნიკახა" მდევრის როლში აღმოჩნდა. ესპანელთა დევნა წარმატებით დასრულდა - მასპინძლებმა მოახერხეს შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა.

დამატებით დროში გუნდებმა დაცვა საერთოდ დაივიწყეს და შედეგიანი თამაში აჩვენეს. ხუთ წუთში „უნიკახამ" 18 ქულა ჩააგდო, „ჟალგირისმა" - მხოლოდ 11 და საბოლოოდ, ესპანური კლუბის 7-ქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა - 85:78.

**უნიკახა–ჟალგირისი 85:78 (ო)**

**22:19, 8:20, 19:13, 18:15, 18:11**

**უ:** ფრილენდი (21+12 მოხსნა), ვალტერსი (20+7 პასი), ფიტჩი (9), როდრიგესი (9).

**ჟ:** უიმსი (21+8 მოხსნა), პოპოვიჩი (18+6 მოხსნა), კალნიეტისი (11), კლიმავიჩუსი (8+6 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1


ახალი ტრასის მაკეტი

# რბოლა ნიუ იორკის ქუჩებში

ნიუ ჯერსის შტატში გამართული პრესკონფერენციის დროს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ შტატის მთავრობამ ფორმულა 1-ის მენეჯმენტთან 10-წლიანი კონტრაქტი გააფორმა მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპის ჩატარებაზე. შტატის გუბერნატორმა **კრის კრისტიმ** განაცხადა, რომ პირველი რბოლა, რომელსაც ამერიკის გრანპრი უწოდეს, 2013 წლის ზაფხულში გაიმართება.

*„მოხარული ვარ, რომ ნიუ ჯერსი 2013 წლიდან მოყოლებული ჩაატარებს ფორმულა 1-ის რბოლას,* - ამბობს კრისტი ESPN-თან კომენტარში. - *ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარური და სანახაობრივი სახეობის მასპინძლები გავხდებით. რბოლა საქალაქო ტრასაზე არსებულ გზებზე ჩატარდება. გულშემატკივრებს მთელი მსოფლიოდან შეუძლიათ ჩამოვიდნენ და იხილონ ეს უნიკალური სანახაობა“.*

ტრასის სიგრძე 5.1 კილომეტრი იქნება. გამოიყენებენ მდინარე ჰუძონის გასწვრივ გამავალ საქალაქო მაგისტრალებს. ნიუ იორკიდან რბოლის ჩატარების ადგილამდე მისვლა რამდენიმე წუთში იქნება შესაძლებელი. პროექტი ცნობილი გერმანელი არქიტექტორის **ჰერმან ტილკეს** მიერ არის მომზადებული. რბოლის პრომოუტერია ყოფილი პილოტი, ამჟამად კი ტელეკომპანიის ხელმძღვანელი **ლეო ჰინდლერი**. მისი პარტნიორი გახლავთ ნასკარის სარბოლო სერიის ორგანიზატორი **ჰამპი უილერი**.

ამავდროულად, ეს ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებია ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობას. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ **ბერნი ექლსტოუნი** არ ესწრებოდა ნიუ ჯერსიში პრესკონფერენციას, რადგან ამ უქმეებზე ინდოეთის სადებიუტო ეტაპს უნდა ესტუმროს.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს აშშ-ის ტერიტორიაზე უკვე დაგეგმილია ფორმულა 1-ის რბოლის გამართვა. მას აშშ-ის გრანპრი (არ აგერიოთ ამერიკის გრანპრიში) ჰქვია და ტექსასის შტატის ქალაქი ოსტინი უმასპინძლებს.

კრივი

# ჩემპიონებმა ქუჩაში იჩხუბეს

კრივის საერთაშორისო ფედერაციის (IBF) ვერსიით 49-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონმა **ულისეს სოლისმა** და WBC-ის (მსოფლიო საკრივო საბჭო) ვერსიით 69.9 კილოგრამში უძლიერესმა **საულ ალვარესმა** მექსიკის ქალაქ გვადალახარაში ქუჩური ჩხუბი გამართეს.

21 წლის ალვარესმა 30 წლის სოლისს ყბა გაუტეხა და კბილი "ამოუღო". დეკემბერში სოლისს საჩემპიონო ტიტული უნდა დაეცვა, მაგრამ მოკრივის პრომოუტერის სიტყვებით, ახლა ულისესს ოპერაციის გაკეთება მოუწევს და ბრძოლაც 2012 წლამდე არ გაიმართება. პრომოუტერმა ისიც განაცხადა, რომ სოლისი სასამართლოში ჩივილს აპირებს.

როგორც ინტერნეტ-გამოცემა Fightnews აღნიშნავს, ჩხუბის მიზეზი გახდა ის, რომ სოლისი ზედმეტ ყურადღებას იჩენდა ალვარესის შეყვარებულის მიმართ. ახალგაზრდა მოკრივემ თავიდან სოლისის ლანძღვა დაიწყო, შემდეგ კი მუშტები ჩართო საქმეში.

ალვარესის მენეჯერი და მწვრთნელი **ედი რეინოსო** აცხადებს, რომ ჩხუბის შესახებ ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. მწვრთნელის თქმით, ალვარესი მთლიანად კონცენტრირებულია მორიგი ბრძოლისთვის მზადებაზე. რეინოსო გაკვირვებულია, საიდან გაჩნდა ჭორი ამ ქუჩური ჩხუბის შესახებ. თავად ალვარესმა განაცხადა, რომ სოლისთან არა მან, არამედ მისმა ერთ-ერთმა ძმამ იჩხუბა.

სოლისმა პროფესიულ რინგზე 39 ბრძოლა ჩაატარა. 34-ში მან გამარჯვებას მიაღწია (21 - ნოკაუტით), ორი წააგო და სამჯერ ბრძოლა ფრედ დასრულდა. ალვარესს 39 შეხვედრაში 38 მოგება (28 - ნოკაუტით) და ერთი ფრე აქვს. ალვარესის შემდეგი ბრძოლა 2011 წლის 26 ნოემბერს გაიმართება: მექსიკელი პუერტორიკოელ **კერმიტ კლინტრონს** შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


სოლისი მართლა უცემიათ

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევრო 2012 — UNDER 17

| | |
|---|---|
| რუსეთი-რუმინეთი | 1:0 |
| პორტუგალია-ფინეთი | 2:1 |
| შოტლანდია-მაკედონია | 1:0 |
| სან მარინო-თურქეთი | 0:2 |
| ინგლისი-ლატვია | 4:0 |
| ჰოლანდია-ბოსნია | 3:0 |

### ევრო 2012 — UNDER 19

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-სლოვაკეთი | 1:1 |
| ანდორა-სომხეთი | 0:1 |
| ნორვეგია-ისლანდია | 2:2 |
| კვიპროსი-ლატვია | 2:0 |

### ინგლისი — ჩემპიონშიპი

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-ლიდსი | 1:0 |

### ინგლისი — ლიგის თასი. 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| სტოკი-ლივერპული | 1:2 |
| ვულვზი-მანჩესტერ სიტი | 2:5 |
| ბლექბერნი-ნიუკასლი | 2:2 დ.დ. 4:3 |
| ევერტონი-ჩელსი | 1:1 დ.დ. 1:2 |

### იტალია

| | |
|---|---|
| მილანი-პარმა | 4:1 |
| ატალანტა-ინტერი | 1:1 |
| ჩეზენა-კალიარი | 1:1 |
| კიევო-ბოლონია | 0:1 |
| ჯენოა-რომა | 2:1 |
| ლაციო-კატანია | 1:1 |
| ნაპოლი-უდინეზე | 2:0 |
| ნოვარა-სიენა | 1:1 |

### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ხეტაფე-ოსასუნა | 2:2 |
| ლევანტე-სოსიედადი | 3:2 |
| რაიო ვალეკანო-მალაგა | 2:0 |
| სარაგოსა-ვალენსია | 0:1 |
| მალიორკა-სპორტინგი | 1:2 |
| რეალი-ვილიარეალი | 3:0 |

### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ალმერია-ხიმნასტიკი | 3:1 |
| ელჩე-კორდობა | 0:1 |
| უესკა-ბარსელონა B | 0:1 |
| ნუმანსია-გვადალახარა | 4:0 |
| რეკრეატივო-რეალი | 0:2 |
| ხერესი-საბადელი | 2:2 |
| ლას პალმასი-ალკორკონი | 2:0 |

### გერმანიის თასი — 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-მაინცი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| კილი-დუისბურგი | 2:0 |
| კარლსრუე-შალკე | 0:2 |
| ესენი-ჰერტა | 0:3 |
| ბაიერნი-ინგოლშტადტი | 6:0 |
| აინტრახტი-კაიზერი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| აუე-ნიურნბერგი | 1:2 |
| შტუტგარტი-ფრანქფურტი | 3:0 |

### საფრანგეთი — ლიგის თასი. 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| დიჟონი-პსჟ | 3:2 |
| მონპელიე-ლორიანი | 1:2 |
| ოსერი-კაენი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ლე მანი-რენი | 0:0 პენ. 1:0 |
| ლილი-სედანი | 3:1 |
| ნიცა-სოშო | 2:1 |
| სტ. ეტიენი-ლიონი | 1:2 |

### ჰოლანდიის თასი — 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ვიტესი-დენ ჰააგი | 2:1 |
| დე ტრეფერსი-გრააფსხაპი | 1:5 |
| ტვენტე-ვენემუიდენი | 4:3 |
| ჰერაკლესი-ბერკუმი | 4:0 |
| პსვ ეინდჰოვენი-ლისე | 3:0 |
| სპარტა (რ)-სპარტა (ნ) | 4:0 |
| როდა-აიაქსი | 2:4 |

### ბელგიის თასი — 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ვარეგემი-სტანდარდი | 1:2 |
| ანდერლეხტი-რუპელი | 1:2 |
| სერკლი-ბეერსხოტი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| კორტრიიკი-სტ. ტრუიდენი | 1:0 |
| ლოკერენი-ვესტერლო | 3:1 |
| მონსი-მეხელენი | 1:0 |
| გენკი-ლიერსი | 0:2 |
| გენტი-ბრიუგე | 4:4 პენ. 5:4 |

### პორტუგალია — ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ნავალი-სეტუბალი | 1:2 |
| მორეირენსე-ბეირა მარი | 2:2 |
| პორტიმონენსე-ფეირენსე | 1:0 |
| ეშტორილი-ოლანენსე | 4:3 |

### შოტლანდია — ლიგის თასი. 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ჰიბერნიანი-სელტიკი | 1:4 |

### დანიის თასი — 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ჰერლევი-ჰორსენსი | 2:3 |
| ნაესბი-სილკებორგი | 4:3 |
| ჰობრო-სონდერიისკი | 0:0 დ.დ. 0:2 |
| ვეილე-აგფ ორჰუსი | 0:0 დ.დ. 1:0 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 2:0 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| იუვიასკიულა-მარიეჰამნი | 2:0 |
| ჰაკა-კუოპიო | 2:1 |
| ჰონკა-იარო | 1:1 |
| მიუპა-ვაასა | 2:3 |
| როვანიემი-ჰიკ | 1:4 |
| ტურკუ-ინტერი | 1:1 |

### ავსტრიის თასი — 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| რაიხენაუ-ავსტრია (ვ) | 0:2 |
| რაპიდი-რიდი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ზალცბურგი-ლინცი | 2:1 |
| შტურმი-ადმირა | 3:1 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-სერვეტი | 1:4 |
| სიონი-ბაზელი | 0:1 |
| თუნი-ციურიხი | 0:2 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| ბუიუქსეჰირი-ესქისეჰირი | 2:2 |
| სამსუნი-ქარაბუქი | 0:0 |
| ორდუ-ბურსა | 1:1 |
| გალათასარაი-გაზიანთეფი | 2:4 |
| ტრაბზონი-ანთალია | 2:2 |

### ჩეხეთის თასი — 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-პრევისოვი | 2:1 |
| ვიქტორია-ბუდეიოვიცე | 1:1 |

### სლოვაკეთის თასი — 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-სლოვანი | 1:1 პენ. 1:2 |

### უკრაინის თასი — 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| სტალი-ჩერნომორეცი | 0:4 |
| ბუკოვინა-არსენალი | 0:2 |
| მეტალურგი (დ)-კრივბასი | 4:0 |
| ვოლინი-დნიპრო | 2:2 დ.დ. 3:2 |
| სუმი-ზორია | 1:3 |
| მეტალურგი (ზ)-ვორსკლა | 3:0 |
| კარპატი-მეტალისტი | 1:0 |
| დინამო-შახტარი | 2:3 |

### პოლონეთის თასი — 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ლიმანოვია-ვისლა | 1:2 |
| ლეგია-ვიძევი | 3:0 |

### ხორვატიის თასი — 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| რუდესი-სიბალია | 0:1 |
| ვინოგრადარი-სლავენი | 2:1 |
| ჰაიდუკი-კარლოვაცი | 3:2 |

### სლოვენიის თასი — 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ზავრცი-მარიბორი | 3:3 |
| კოპერი-გარმინი | გადაიდო |
| პუბლიკუმი-ინტერბლოკი | 7:0 |

### სერბეთის თასი

| | |
|---|---|
| სპარტაკი-რადნიჩკი | 1:1 პენ. 2:1 |
| ოფკ-კოლუბარა | 5:0 |
| ინდიია-ვოივოდინა | 1:2 |
| სლობოდა-სმედერევო | 1:1 პენ. 1:2 |
| პროლეტერი-ბორაცი | 0:0 პენ. 0:1 |
| იაგოდინა-იავორი | 1:1 პენ. 1:2 |
| პარტიზანი-მეტალაკი | 3:1 |

### რუმინეთის თასი

| | |
|---|---|
| პანდური-ბრაშოვი | 0:0 პენ. 1:0 |
| დინამო-გაზ მეთანი | 5:0 |

### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| ბეროე-სლავია | 1:0 |

### ჩემპიონთა ლიგა — აზია. 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| ჟეონბუკი-ალ ითიჰადი | 2:1 |
| ალ სადი-სუვონი | 0:1 |

### არგენტინა

| | |
|---|---|
| ტიგრე-ბელგრანო | 0:1 |

## კალათბურთი

### ევროლიგა — კაცები

| | |
|---|---|
| ცსკა-ბამბერგი | 94:74 |
| ზაგრები-პანათინაიკოსი | 62:81 |
| ეფესი-შარლერუა | 79:80 |
| კახა ლაბორალი-კანტუ | 81:69 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| სევერსტალი-აკ ბარსი | 4:0 |
| სპარტაკი-ნეფტეხიმიკი | 2:7 |
| ვიტიაზი-ს. იულიაევი | 2:1 (ბ) |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| პლზენი-სპარტა | 4:5 (ბ) |

## ჩოგბურთი

### ATP. მოსკოვი

| | |
|---|---|
| ანდრეევი-**გრანოლერსი** | 3:6, 6:4, 7:6 |
| ბერლოკი-**კოლშრაიბერი** | 7:6, 3:6, 1:6 |
| სეპი-პოსპიშილი | 7:5, 7:6 |
| ტიპსარევიჩი-ო. როხუსი | 6:2, 7:5 |
| იუჟნი-ბენეტო | 6:4, 3:6, 6:2 |
| მანარინო-როსოლი | 6:2, 7:6 |

### ATP. ვენა

| | |
|---|---|
| პეტცშნერი-**დელ პოტრო** | 3:6, 4:6 |
| **დარცისი**-დავიდენკო | 3:6, 6:0, 7:6 |
| **ნიემინენი**-ჰაასე | 7:6, 6:4 |
| **ანდერსონი**-ბალდატისი | 6:2, 7:6 |

### WTA. სტამბოლი

| | |
|---|---|
| **აზარენკა**-სტოსური | 6:2, 6:2 |
| შარაპოვა-**ნა ლი** | 6:7, 4:6 |
| ვოზნიაცკი-**ზვონარევა** | 2:6, 6:4, 3:6 |

TV პროგრამა

## 27 ოქტომბერი. ხუთშაბათი

### GMG-ფეხბურთი

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პარმა.
**12:00** ინგლისის ლიგის თასი. 1/8 ფინალი. ვულვზი-მანჩესტერ სიტი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-უდინეზე.
**16:00** იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-რომა.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:00** იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-ინტერი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-ლანუსი.
**23:00** გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ატლეტიკო.

### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-მილუოკი.
**13:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**14:20** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-ეინდჰოვენი.
**17:00** ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.
**22:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო - ლეჩე (LIVE).
**00:35** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-მილუოკი.

### GMG-სპორტი 2

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**10:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/8 ფინალი. ალდერშოტი-მანჩესტერ იუნ.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**18:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლორიანი-ტულუზა.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ბეტისი (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ატლეტიკო (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

**22:40** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რეალი-მილანი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სანკტ პეტებურგი. რუსეთი (LIVE).
**21:55** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მონტეპასკი-ოლიმპია (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**18:40** რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-ვოლგა (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

**12:45** ATP-ის ტური. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი (LIVE).
**18:00** WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).

### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

**20:55** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. გალათასარაი-უნიქსი (LIVE).
**22:40** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ოლიმპიაკოსი-ფენერბაჰჩე (LIVE).

### SPORT+

**18:40** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-ვოლგა (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სანკტ პეტებურგი. რუსეთი (LIVE).

### EUROSPORT

**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).



მარია შარაპოვა

# მარიამ წააგო და წავიდა

## კაროლინ ვოზნიაცკი წელს პირველი ჩოგანის რანგში დაასრულებს

გუშინ, წლის შემაჯამებელ ტურნირში სასტარტო შეხვედრები ჩაატარეს „თეთრი ჯგუფის“ ბინადრებმა - **ვიქტორია აზარენკამ** და **ნა ლიმ** და ორივემ გამარჯვება მოიპოვა.

ბელარუსი ჩოგბურთელი ავსტრალიელ **სამანტა სტოსურს** ხვდებოდა, ვინც წინა დღეს ორ სეტში მოუგო რუს **მარია შარაპოვას** და შეწყვიტა ამ ჩოგბურთელთან ცხრამატჩიანი წაგებათა სერია. სამანტას აზარენკასთანაც ცუდი სერია ჰქონდა - ვიკას მანამდე ოთხჯერ შეხვდა და ოთხივეჯერ წააგო. მაგრამ ამჯერად ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონმა ვერ გატეხა ნავსი. აზარენკა მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა კორტზე და საათსა და 17 წუთში 6:2, 6:2 მოიგო.

აზარენკამ 11 ბრეიკ-პოინტი მიიღო და აქედან ოთხი გამოიყენა, სამანტას კი ერთადერთი ბრეიკის შანსი ჰქონდა, ისიც მატჩბოლზე, მაგრამ ვერც ის გამოიყენა. ახლა ვიქტორია ურთიერთშეხვედრებში 5:0-ს უგებს სტოსურს.

■ ■ ■

როლან გაროსის ჩემპიონი ნა ლი მარია შარაპოვას ხვდებოდა, რომელსაც უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა - ზედიზედ მეორე წაგება რუსს თითქმის უკარგავდა ნახევარფინალში გასვლის შანსს. შესაბამისად, მატჩი ძალიან დაძაბული და დრამატული გამოვიდა.

შარაპოვამ ბრეიკით დაიწყო, მაგრამ წარმატების განვრცობა ვერ შეძლო და ჩინელს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. თუმცა მარიამ კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება, 4:2-ს იგებდა, მაგრამ კვლავ ნა ლიმ ისარგებლა შარაპოვას შეცდომებით და ამჯერადაც აღადგინა სტატუს-ქვო. მეტოქეებმა კიდევ ერთხელ გაცვალეს ბრეიკები და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა.

„შემოკლებულ გეიმში“ შარაპოვა 4:0-ს იგებდა, მაგრამ ზედიზედ შვიდი ქულის წაგება მოახერხა.

მეორე სეტის სტარტი მთლიანად ჩინელი ჩოგბურთელის მხარეს იყო - ლიმ ზედიზედ ორი ბრეიკი აიღო და 5:2-ის შემდეგ თითქოს იოლად უნდა მოეგო შეხვედრა, მაგრამ პირიქით მოხდა - როლან გაროსის ჩემპიონმა მეტოქეს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირების შანსი მისცა. განმეორდა წინა დღეს სტოსურისა და შარაპოვას მატჩის ფინალი. 5:4-ზე ლი მატჩზე აწვდიდა და მარიამ ისევ მიიღო რამდენიმე ბრეიკ-პოინტი, მაგრამ ყველა გაანიავა, მისმა მეტოქემ კი პირველივე მატჩბოლი გამოიყენა - 7:6, 6:4.

თითქმის ორსაათიან მატჩში შარაპოვას ოთხი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, ერთით მეტი - ნა ლის. მეტოქეებმა თითო ეისი ჩააწოდეს, ორმაგ შეცდომებში კი მარიამ 6:4 მოუგო ჩინელს.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მარია შარაპოვა აღარ აპირებს მესამე ტურში ვიქტორია აზარენკას წინააღმდეგ კორტზე გასვლას.

*„ფეხის ტრავმის შემდეგ სათანადოდ აღდგენა ვერ მოვახერხე. ამასთან დაკავშირებით არ მსურს არასასურველი რისკის გაწევა“*, - განაცხადა შარაპოვამ პრესკონფერენციაზე.

ასე რომ, მესამე ტურში აზარენკას წინააღმდეგ ფრანგი **მარიონ ბარტოლი** ითამაშებს, რომელიც ტურნირზე სათადარიგო მოთამაშის რანგში ჩავიდა.

ასევე აღვნიშნავთ, რომ მარიას უარმა წლის შედეგების მიხედვით რეიტინგში პირველი ადგილი გაუნაღდა დანიელ **კაროლინ ვოზნიაცკის**. ტურნირზე გამარჯვების შემთხვევაში სწორედ შარაპოვას ჰქონდა სკანდინაველი ჩოგბურთელის გადასწრების შანსი.

**WTA**

**WTA Championships**

სტამბოლი (თურქეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 900 000 დოლარი

**წითელი ჯგუფი**

**ვერა ზვონარევა (რუს)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 2:6, 6:4, 6:3.

**თეთრი ჯგუფი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა) 6:2, 6:2; **ნა ლი (ჩინ)**-მარია შარაპოვა (რუს) 7:6(4), 6:4.

# ყველაზე ხმაურიანები

**ავტორიტეტულმა გამოცემა The Telegraph-მა შეადგინა იმ ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგი, რომლებიც თამაშის დროს ყველაზე ძლიერ ხმებს გამოსცემენ.**

1. **მარია შარაპოვა, 101 დეციბელი.** ამ რეიტინგის ღირსეული გამარჯვებული. ჩოგბურთისგან შორს მყოფმა ადამიანებმაც კარგად იციან, რომ მარია შარაპოვა კორტზე ძალიან ხმაურობს. ამ თემაზე უამრავი ანეკდოტიც არსებობს. სხვათა შორის, 101 დეციბელი ის ხმაა, რომელსაც დაშვებისას თვითმფრინავი გამოსცემს.

2. **მიშელ ლარშერ დე ბრიტუ.** ჯერჯერობით ზუსტად არ არის გარკვეული პორტუგალიელის ხმის სიმძლავრე, მაგრამ შარაპოვას ბევრით არ ჩამორჩება. ზოგიერთი მაყურებელი აღნიშნავდა, რომ ხმა თავისი სიმძლავრით ჰგავდა ფორმულა 1-ის რბოლების დროს ხმაურს.

3. **მონიკა სელეში, 93,2 დეციბელი.** ის ერთხელ უიმბლდონის დროს კინაღამ დააჯარიმეს კორტზე გაუთავებელი ყვირილის გამო, ამიტომაც ხმაურს უკლო. სხვათა შორის სპორტსმენი ამის გამო დღესაც ნანობს.

4. **სერენა უილიამსი, 88,9 დეციბელი.** ამერიკელის ხმაურის ექვივალენტია - პნევმატური ჩაქუჩის ხმა.

5. **ვენუს უილიამსი, 85 დეციბელი.** შორს არ არის სერენას უფროსი და. როგორც ჩანს, ეს ოჯახური ტრადიციაა. „დიდი მხიარულობა“ იყო კორტზე მაშინ, როცა 2007 წელს ვენუსი და შარაპოვა შეხვდნენ ერთმანეთს. თავიდან კომენტატორი ბევრს იცინოდა ამაზე, მაგრამ ბოლოს აშკარად გაღიზიანებული ჩანდა.

6. **ვიქტორია აზარენკა, 83,5 დეციბელი.** ახასიათებს მოკლე, მაგრამ მკვეთრი ყვირილი. დაახლოებით ასეთი ხმაურია მატარებლის სადგურებზე.

7. **ელენა ბოვინა, 81 დეციბელი.** ხმები, რომელსაც ის გამოსცემს, მონიკა სელეშისას ჰგავს: ორფაზიანი ყვირილი. ასეთივე ხმაური იქნება, თუ პნევმატური იარაღიდან გავისვრით.

8. **ანა კურნიკოვა, 78,5 დეციბელი.** ის მხოლოდ დაძაბული მატჩების დროს ყვიროდა. მაგრამ მაინც მოახერხა ამ რეიტინგში მოხვედრა.

9. **კიმ კლაისტერსი, 75 დეციბელი.** ჰგავს კურნიკოვას. მის ხმას მხოლოდ სტრესულ სიტუაციებში თუ გაიგონებთ. სახასიათო დაბალი ყვირილი დარტყმის მომენტში მიუთითებს სპორტსმენის მონდომებასა და დაღლილობაზე.

10. **ელენა დემენტიევა, 73 დეციბელი.** მის ხმასაც მხოლოდ რთულ და მარათონულ მატჩებში თუ გაიგონებდით.



ვიქტორია აზარენკა

## ამბები

### ჰოკეი

## დრაფტი პიტსბურგში შედგება

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გაარკვია მომავალი დრაფტის ჩატარების ადგილი. პიტსბურგმა ჯერ კიდევ შარშან გამოთქვა ამ ღონისძიების ორგანიზების სურვილი და აი, გუშინ, ამერიკის ამ ქალაქს ეს უფლება მიანიჭეს.

როგორც ირკვევა, 2012 წლის დრაფტი მომავალ წლის 22-23 ივნისს, „კონსოლ ენერჯი ცენტრში“ გაიმართება.

პიტსბურგის მთავარი კონკურენტი ტამპა ბეი იყო.

### მძლეოსნობა

## სემენიას ლეგენდა გაწვრთნის

სკანდალურად ცნობილი სამხრეთაფრიკელი მორბენალი **კასტერ სემენია** სახელგანთქმული მოზამბიკელი მძლეოსნის, 800 მეტრზე 2000 წლის ოლიმპიადის გამარჯვებულისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის **მარია მუტოლას** ხელმძღვანელობით ივარჯიშებს. სემენიას წინა მწვრთნელი იყო **მაიკლ სემე** - სწორედ მან აღმოაჩინა სემენია და 18 წლის ასაკში 800 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.

სამხრეთაფრიკელის თქმით, მუტოლა ყოველთვის მისი კერპი იყო და დარწმუნებულია, მისგან ბევრ სასარგებლო რჩევას მიიღებს. აღსანიშნავია, რომ მუტოლა მორბენლის კარიერის დასრულების შემდეგ სამშობლოში ნახევრადპროფესიულ დონეზე ფეხბურთს თამაშობდა.

*„ჩემთვის დიდი გამოწვევაა კასტერთან ერთად მუშაობის დაწყება. ის ბრწყინვალე ახალგაზრდა ათლეტია“*, - განაცხადა მუტოლამ.

# ვარსკვლავთცვენა საამიროებში

ახალი სეზონის წინ, აბუ დაბიში ტრადიციული საჩვენებელი ტურნირი გაიმართება. ამჯერად, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მამაკაცთა ჩოგბურთის თანავარსკვლავედი შეიკრიბება: **ნოვაკ ჯოკოვიჩი, რაფაელ ნადალი, როჯერ ფედერერი, გაელ მონფილსი, ჟო-ვილფრიდ ცონგა** და **დავიდ ფერერი.**

მსოფლიოს პირველი ჩოგანისთვის, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის ეს იქნება დებიუტი აბუ დაბის საჩოგბურთო ცენტრის კორტებზე.

„აბუ დაბის შესახებ ბევრი მსმენია. მინდოდა ცოცხლად მენახა ეს ადგილი და იქაურ კორტებზე რომელიმე ვარსკვლავთან მეთამაშა. ეს წელი ჩემთვის განსაკუთრებული იყო, რადგან კარიერაში საუკეთესო ჩოგბურთს ვაჩვენებდი. მაგრამ უკვე ვიწყებ ფიქრს ახალ სეზონზე და მინდა მაღალ დონეზე თამაში სწორედ აბუ დაბიდან დავიწყო. ეს ტურნირი საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ საკუთარი თავი შევამოწმო და სეზონში კარგად შევხვიდე“, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

ტურნირის მოქმედი ჩემპიონია რაფაელ ნადალი, რომელმაც შარშან ფინალურ შეხვედრაში როჯერ ფედერერი დაამარცხა - 7:6(4), 7:6(3).




*„გადავხედე მონაწილეთა შემადგენლობას და უკვე დავიწყე ამ ტურნირისთვის მომზადებაზე ფიქრი. მინდა ტიტულის შენარჩუნება. ვიცი, რომ ამისთვის საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება მომიწევს და ეს სწორედ ის არის, რაც ავსტრალიის ღია პირველობისთვის მზადებისას მჭირდება“*, - ამბობს ესპანელი ჩოგბურთელი.

„დიდი სლემის“ ტურნირების 16-გზის ჩემპიონი როჯერ ფედერერი ბოლოს სამი წლის განმავლობაში აბუ დაბის ტურნირის ორგანიზატორებისგან მაყურებელთა სიმპათიის პრიზს იღებდა. შვეიცარიელმა აღიარა, რომ ყოველთვის სიხარულით ჩადის აბუ-დაბიში: *„დიდი მადლობა ორგანიზატორებს. ტურნირი ყოველწლიურად სულ უფრო უკეთესი ხდება, ხოლო აბუ დაბი უმსხვილეს საჩოგბურთო ცენტრად ყალიბდება. ქალაქი ძალიან ბევრს აკეთებს ჩოგბურთის განვითარებისთვის. ჩვენთვის დიდი პატივია ჩოგბურთის ამ ზეიმში მონაწილეობა. აქ ყოველთვის კარგად ვატარებდი დროს და სიხარულით ვბრუნდები აბუ დაბიში“*.

ტურნირი 29-31 დეკემბერს გაიმართება. გამარჯვებული ჩოგბურთელი 250 ათას დოლარს მიიღებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**